შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი " ენმედიცი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ქ. თბილისი

2023 წელი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 10

მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება 11

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 12

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 13

1. იურიდიული სტატუსი და ზოგადი ინფორმაცია 14

2, მომზადების საფუძვლები 15

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა 15

2.2 შეფასების საფუძვლები 15

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 15

4. ტერმინების განმარტებები: 16

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 19

ძირითადი საშუალებები 20

ძირითადი საშუალებების აღიარება და.შეფასება 20

აღიარების შეწყვეტა 21

არამატერიალური აქტივები 22

აღიარება და შეფასება 22

ამორტიზაცია 22

აღიარების შეწყვეტა 22

აქტივების გაუფასურება 23

იჯარა 23

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 24

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 24

სავაჭრო ვალდებულებები 25

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები 25

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები 25

დაბეგვრა 25

ამონაგების აღიარება 26

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი 27

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 28

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი 28

აქტივები 28

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა 30

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა 30

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი 30

მნიშველოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 30

ანგარიშგების მომზადების საფუძველი 30

კაპიტალი 33

ფული და ფულის ექვივალენტები 33

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები 33

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასებების ძირითადი საფუძვლები 34

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 38

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები 44

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები 48

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 49

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი ენდემეცის“ (შემდგომში - „კომპანია“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის ფინანსურ ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, **მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების** საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია **ამ** დასკვნის აბზაცში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **კომპანიისაგან როგორც ამას მოითხოვს** პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) **მიერ შემუშავებული** „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი“ რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ პუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშგებაზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებისა და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ჩვენი, როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

ასევე ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისატვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

- **მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („მსს ფასს“).

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონიერების უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანაგრიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, **რომ** ფინანსური ანგარიშგება **არ** შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომრლიც მოიცავს ჩვენს აუდიტორის დასკვნას (მოსაზრებას).

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ - ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებასა და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითად უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორლ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ,

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით. თუ დავასკვნით რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებუებებს. თუმცა, ამის შემდგომშ მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებსა და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს გარანტის სახელით

მმართველი პარტნიორი: ნათელა ჭიაბერაშვილი

05 სექტემბერი 2023 წელი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	2022	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	8319702	5743632	5158606
არამატერიალური აქტივები	5			
გრძელვადიანი ინვესტიციები	10	77830	77830	77830
სულ გრძელვადიანი აქტივები		8397532	5821462	5236436
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	1645230	3628304	3153951
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	673524	1013838	564948
მარაგები	8	1300785	1394339	1251773
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		1265611	519119	279433
წინასწარ გადახდილი გადასახადები		231728	91422	27548
გაცემული სესხები	11.1	1130150	45379	56773
სულ მოკლევადიანი აქტივები		**6247028**	**6692401**	**5334426**
სულ აქტივები		14644560	12513863	10570862
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-1375378	-13064	-13064
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		-8421275	-8080229	-7701376
გადაფასების რეზერვი		-324108	-324108	-324108
სულ კაპიტალი		**-10120761**	**-8417401**	**-8038548**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	-4523799	-4096462	-2532314
საგადასახადო ვალდებულებები				0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-4523799	-4096462	-2532314
სულ ვალდებულებები		-4523799	-4096462	-2532314
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**-14644560**	**-12513863**	**-10570862**

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11
მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	-11519457	-10513717
თვითღირებულება	13	6992900	6261054
საერთო მოგება		-4526557	-4252663
სხვა შემოსავლები	12	-59271	0
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	3677780	3150595
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	132478	146556
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		**-775570**	**-955512**
ფინანსური შემოსავალი		-54306	-135514
ფინანსური ხარჯი	17		
წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი		564993	432319
მოგება დაბეგვრამდე		**-264883**	**-658707**
მოგების გადასახადი	18	0	0
წმინდა მოგება		**-264883**	**-658707**
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		**-264883**	**-658707**

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	**-13064**	**-324108**	**-7859299**	**-8196471**
წმინდა მოგება			157923	157923
სხვა სრული შემოსავალი				0
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის 31/12/2020	-13064	-324108	-7701376	-8038548
მოგება/ზარალი			-658707	-658707
სხვა სრული შემოსავალი	0	0		0
პერიოდის სრული შემოსავალი	**0**	**0**	**-658707**	**-658707**
დივიდენდის გამოცხადება			187048	187048
სხვა			92806	92806
2021 წლის 31 დეკემბერი	**-13064**	**-324108**	**-8080229**	**-8417401**
წმინდა მოგება			-264883	-264883
სხვა სრული შემოსავალი	0			
პერიოდის სრული შემოსავალი	**0**	**0**	**-264883**	**-264883**
დივიდენდის გამოცხადება			157466	157466
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-1362314		-233629	-1595943
2022 წლის 31 დეკემბერი	**-1375378**	**-324108**	**-8421275**	**-10120761**

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნ	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპარაციო საქმიანობიდან			
წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა		2128178	2613905
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-3953786	-1952504
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4,/5	-157466	-187048
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	18	-1983074	474353
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	15	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	15	3628304	3153951
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1645230	3628304

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

1. იურიდიული სტატუსი და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია მეტაბოლოგია დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“ (ს/კ 206047400) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსებულია 1996 წლის 30 ივლისს. კომპანიის მთავარი საქმიანობის სფერო არის სამედიცინო მომსახურება. ასევე ფარმაცევტული საქმიანობა, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინანდლის ქ #9/11, სათაო ოფისი განთავსებულია იურიდიულ მისამართზე. ასევე კომპანია ფლობს 3 ფილიალს შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, არაყიშვილის ქ. #2 და ქ. ბათუმი,ჯავახიშვილის ქ.#3ა. 2022 წელს გავიხსნა ახალი ფილიალი თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას 38ა.

კომპანია წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ენდოკრინოლოგიურ პროფილზე. გარდა ამისა ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებებს: სტაციონარული მომსახურება, ქირურგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია, პედიატრიული, გადაუდებელი, რადიოლოგოია, ლაბორატორიული და სხვა მომსახურება.

2022 წელში კომპანია მოემსახურა 89280 პაციენტს.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია კობა ბურნაძე;

კომპანიის დირექტორია კობა ბურნაძე.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 01 იანვრისათვის და 31 დეკემრისათვის შეადგენს შესაბამისად 13064 ლარს და 1 375378 ლარს.

კომპანიაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო საშუალოდ 318 თანამშრომელი, ხოლო 2021 წელს საშუალოდ დასაქმებული იყო 294 თანამშრომელი

მფლობელებს შორის წილები განაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კობა ბურნაძე 01030008738	100%	100%
სულ	100%	100%

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
2021 წელში კლინიკამ შეიძინა შპს „ეიბისი“-ს წილის 80% -ი, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს სამედიცინო კლინიკებისათვის პროგრამული უზრუნველყოფა. ამავე წელს დაიგეგმა ახალი ფილიალის გახსნა თბილისში დიღმის მასივში. განვლილ პერიოდში შპს ეიბისი- შეძენილი კომპანიის მიერ აქტივობა არ დაფიქსირებულა.

2, მომზადების საფუძვლები

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (მსს ფასს)

2.2 შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ერთ ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მეხუთე შენიშვნაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

4. ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება- არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება - არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება - არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება - არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს,

მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება - არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები - კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები -ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები -ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა -კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები -ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა -კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა - ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდისატვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას მომავალ პერიოდში.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში., როდესაც შეფასება იქნა გადახედილი.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება და.შეფასება

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ქონების დასახელება	მოსალოდნელი სავარაუდო მომსახურების ხანგრძლივობა
1	2
შენობა და კომერციული ფართები	20-50 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი- და სხვა ინვენტარი	5 -7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შეკეთება განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათ ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება იმ წლის მოგება - ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებისთვის განსაზღვრული

სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ლიცენზიები 5 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა განსხვავების შედგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას, თუ შეფასებული ანაზრაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზრაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს , თუ სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განსაზღვრულია იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხებათ ცვეთა და ისე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებისა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება სპეციფიკური იდენთიფიკაციის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება

იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაიანგარიშება საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე გადასახადისაგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს,

რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა;
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა;
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;;
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება;
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები.

გადასახადები გარდა მოგებისა, აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომხმარებელს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების ოდენობა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს ან სავარაუდოა, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის. ჯანდაცვის შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებს სამართლიანი ღირებულებებით, ჯანდაცვის შემოსავლები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
შემოსავალი კერძო პაციენტებისგან - კომპანია აღიარებს არადაზღვეული პირების შემოსავალს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის დამტკიცებული ფასების საფუძველზე. ჩვეულებრივ, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით. გაწეული მომსახურება აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

შემოსავლები იურიდიული პირებისგან - კომპანია აღიარებს შემოსავალს ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისას დადებული კონტრაქტის საფუძველზე, ანგარიშსწორება ხდება გარკვეული პერიოდულობით, რომელიც არის ხელშეკრულებით დამტკიცებული.

შემოსავლები სადაზღვეო კომპანიებისაგან - კომპანია აღიარებს ფიზიკურ პირთა შემოსავალს, რომლებიც დაზღვეულია სახვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების საფუძველზე და შეთანხმებულ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

შემოსავლები სახელმწიფო სტრუქტურებისგან - კომპანია აღიარებს იმ პირთა შემოსავალს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების შევსების საფუძველზე და შეთანხმებულ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან. აღნიშნული სამედიცინო დანახარჯები მოიცავს სამედიცინო პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, მასალებს, მარაგების, კომუნალურ და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.702	2.8844
კურსი 20221 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.504

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

- ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები.

2022 წლის 1 იანვრიდან სასამართლოში განიხილებოდა სამი საქმე შემდეგ მხარეებთან:რომელიც ერთი მორიგებით დასრულდა.ერთი საქმე წაგებული იქნა და ერთი განხილვის პროცესშია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანისა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მუხლი შედგება: დამფუძნებლის მიერ ფულადი შენატანებისგან, 2011 წლიდან მოყოლებული დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან და 2011 წელში შენობის გადაფასებით მიღებული რეზერვისგან. კომპანია მიღებულ მოგებას ძირითადად იყენებს რეინვესტირებისთვის. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. 2022 წელს შპს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1 362314 ლარით კომპანიის მიერ ქ. თბილისი მეფე მირიანის ქ 15-ში შესყიდული კომერციული ფართის ღირებულებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო და სხვა მოკვლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოყვანილი მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქცია თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახული ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლით კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასებების ძირითადი საფუძვლები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ისტორიული ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვივალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულები გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას და განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომელებისთის რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებელს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსებების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველ აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადასახადის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური სპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამარლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შეიძლება იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად („ზარალის შემთხვევები“), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზეადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლის მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივიების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირბელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებიშიც არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რევიზიის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახვას ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე - აგმვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად - განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან - საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა – 4

ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა–ნაგებობები	მანქანა–დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	ჯამი
2021 ლის ბოლოს მდგომარეობით	**5013506**	**7558350**	**688363**	**154836**	**1025245**	**0**	**14440300**
შესყიდვა	2879736	1111142	49713	228018	60047	0	4328656
გასვლა	499480	79167		318298	3776		900721
გაუფასურება						0	0
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							0
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	**7393762**	**8590325**	**738076**	**64556**	**1081516**	**0**	**17868235**
დაგროვილი ცვეთა							0
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-1383245**	**-5906993**	**-505426**	**-136102**	**-764902**	**0**	**-8696668**
ცვეთის ხარჯი	-137053	-716557	-70936	-10896	-103480		-1038922
გასული აქტივის დაგროვ. ცვეთა		76667		110390			187057
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-1520298**	**-6546883**	**-576362**	**-36608**	**-868382**	**0**	**-9548533**
საბალანსო ღირებულება							0
2021 წლის ბოლოს	**3630261**	**1651357**	**182937**	**18734**	**260343**	**0**	**5743632**
2022 წლის ბოლოს	**5873464**	**2043442**	**161714**	**27948**	**213134**	**0**	**8319702**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა – 5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2021 წლის ბოლოს			21859	21859
შემოსვლა			0	0
გასვლა			0	0
2022 წლის ბოლოს	0	0	21859	21859
დაგროვილი ამორტიზაცია				0
2021 წლის ბოლოს			21859	21859
2022 წლის ბოლოს	0	0	21859	21859
საბალანსო ღირებულება				0
2021 წლის ბოლოს	0	0	0	0
2022 წლის ბოლოს	0	0	0	0

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არის სრულად ამორტიზირებული არამატერიალური საშუალებები.

შენიშვნა – 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	25130	19452
ფული საბანკო ანგარიშებზე	1620100	3608852
	1645230	3628304

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა – 7 სავაჭრო და სხვა მკლევადიანი მოთხოვნები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	673524	1013544
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	0	0
მოთხოვნები საქარმოს პერსონალის მიმართ	0	294
	673524	1013838

შენიშვნა – 8 მარაგები

ლარში	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია		
ნედლეული	369340	327442
დაუმთავრებელი წარმოება		
საქონელი	368	375
სხვა მარაგები	931077	1066522
	1300785	1394339

შენიშვნა– 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	-4515776	-4096462
მიღებული ავანსები	-6816	0
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		
სხვა ვალდებულებები	-1207	
	-4523799	-4096462

შენიშვნა – 10

	31.12.2022	31.12.2021
რეალური ღირებულება 01/01/2022	77830	
მოგება/ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან	0	77830
რეალური ღირებულება 31/12/2022	77830	77830

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა 11.1

ლარში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2022	31.12.2021
ბანკის სესხები	0	0	0	0
დაკავშირებული მხარეების სესხი	1130150	45379		
ოვერდრაფტები	0	0		
სულ სესხები	1130150	45379	0	0

შენიშვნა – 12 ამონაგები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	-11319807	-10141804
იჯარა და დღგ–ით დასაბეგრი ოპერაციები	-5286	-27355
სხვა საოპარაციო შემოსავლები (აფთიაქი)	-194364	-344558
	-11519457	-10513717

შენიშვნა – 13 თვითღირებულება

ლარში	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქციის თვითღირებულება		
საქონლის თვითღირებულება	395775	190601
მომსახურების თვითღირებულება	6597125	6070453
	6992900	6261054

შენიშვნა – 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
სარეკლამო ხარჯი	132478	133444
საწვავის ხარჯი		
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი		
რეალიზაციის ხარჯი		13112
	132478	*146556*

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა - 15 სხვა ხარჯები

	31.12.2022	31.12.2021
დებიტორული დავალიანებების რეზერვი	0	0
მარაგების გაუფასურება	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი/კანონმდებლობის თანახმად	0	0
ქონების გადასახადი	0	0
	0	**0**

13/1-გაწეული მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
პირდაპირი მასალები	842613	1245478
შრომის ანაზღაურება	3835114	3252934
კომუნალური ხარჯი	172478	
ცვეთა და ამორტიზაცია	839904	828060
დამხმარე მასალები	665488	0
რემონტის ხარჯი	543763	389913
სხვა ხარჯი	93540	544669
	6992900	6261054

შენიშვნა – 17 ფინანსური ხარჯი

ლარი	31.12.2022	31.12.2021
ბანკის სესხის პროცენტი	0	0
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		
სხვა ფინანსური ხარჯები	0	0

შენიშვნა – 16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება	2 812 332.00	2 308 528.00
ცვეთა და ამორტიზაცია	199 018.00	194 595.00
დაზღვევის ხარჯი	972.00	1 468.00
საგადასახადო ხარჯი	10 482.00	842.00
საკონსულტაციო ხარჯი	6 000.00	35 164.00
საკანცელარიო ხარჯი	40 672.00	-
ბანკის მომსახურება	9 430.00	9 323.00
წარმომადგენლობითი ხარჯები	34 138.00	15 975.00
იჯარის ხარჯი	86 659.00	68 113.00
მივლინების ხარჯები	55 986.00	69 624.00
კომუნიკაციის ხარჯები	18 734.00	15 858.00
კომუნალური ხარჯები	19 164.00	178 410.00
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	384 193.00	252 695.00
სულ	**3 677 780.00**	**3 150 595.00**

მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ლარი	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე მოგების ხარჯი	0	0
	0	0

კომპანიამ 2022 წელს გაანაწილა დივიდენდი 157 466 ლარი, რომელიც არ დაიბეგრა მოგების გადასახადით, ვინაიდან გასანაწილებელი მოგება იყო მიღებული 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდის და სუბიექტის მიერ გამოყენებულია სსკ-ის 309-ე მუხლის 92-93[2] პუნქტით განსაზღვრული შეღავათი.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტის მათვარი მიზანია დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

სხვა ბიზნესის მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკი და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სესხები	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	4 523 799.00	4 096 462.00
	4 523 799.00	4 096 462.00

ფინანსური აქტივები

2022 წლის დასაწყისში	მოკლევადიანი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები
	4 687 521.00	
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3 628 304.00	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 013 838.00	0
გაცემული სესხები	45 379.00	0
2022 წლის ბოლოს	**3 448 904.00**	**0**
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1 645 230.00	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	673 524.00	0
გაცემული სესხები	1 130 150.00	0
აქტივების ზრდის ეფექტი	(1 238 617.00)	0

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უთარდება გამოკითხვა სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მომსახურების პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რადგან სესხი სრულად აქვს დაფარული.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	სულ	ლარი	დოლარი	ევრო	GBP	GHF	რუბლი
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	1645230	377829	1267401	0	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	673525	673525					
გაცემული სესხები		1130150	1130150					
სულ ფინანსური აქტივები		3448905	2181504	1267401	0	0	0	0

კომპანიაში საჭიროების მიხედვით ხორციელდება საგარეო-ეკკონომიკური საქმიანობა და ვაჭრობა უცხოური ვალუტით. არსებითია დადგინდეს რა გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე სავალუტო კურსის ცვლილებებს. განიხილავენ სავალუტო რისკის შემდეგ ტიპებს:

- საოპერაციო რისკი;
- ეკონომიკური რისკი.

საოპერაციო რისკი არის ოპერაციის ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღებს შორის პერიოდში ვალუტის კურსის ცვლილების რისკი,საოპერაციო რისკი არის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი- მოგება ან ზარალი. კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს რისკის მინიმუმამდე შემცირება ანუ ჰეჯირება თუ საქმე ეხება:

- მნიშვნელოვან მოცულობას; დროის მნიშვნელოვან პერიოდს; მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ სავალუტო კურსი მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ეკონიმიკური რისკი არის სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების გამო, საქმიანობის ღირებულების ცვალებადობა, ეს არის საოპერაციო რისკის გრძელვადიანი ვერსია.

ეკონიმიკური რისკის საფრთხის წინაშე კომპანია შეიძლება ორი-პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღმოჩნდეს:

პირდაპირი გზა გულისხმობს, რომ ადგილობრივი ვალუტის გამყარების შემთხვევაში , უცხოელ კონკურენტებს შეეძლებად გაყიდვების გაზრდა .

სავალუტო რისკის საფრთხე შემოისაზღვრება მხოლოდ ანგარიშზე არსებული წმინდა ნაშთით.

ამრიგად სავალუტო რისკი წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ერთი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მეორესთან მიმართებაში. მიზანშეწონილია საწარმომ ჩამოაყალიბოს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის იდენთიფიცირებას, მისი გამომწვევი მიზეზის დადგენას, რისკის გაზომვის , კონტროლირებისა და მისი გავლენის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანას.

სავალუტე რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიაროზის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

	აშშ დოლარის ცვლილების გავლენა 20%-ით გაუფასურების შემთხვევაში			აშშ დოლარის ცვლილების გავლენა 20%-ით გამყარების შემთხვევაში		
მოგება/ზარალი			-390883			-586334
მოგება/ზარალ	469060	390883	78177	469060	586334	-117274

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს. 2022 წელს კომპანიამ ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მიიღო 564993 ლარი ზარალი (781504-216511).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულება არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებტან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ემოსვლა შესაძლებელია კომპანიაში, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასტან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა ცვლილებას.

ანარიცხები წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულეება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

დავალიანებას,, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წელს კომპანია გეგმავს ახალი ფილიალის გახსნას ქ. თბილისში.

ასევე ფართოვდება სათაო ფილიალის შენობა და სერვისების არეალი (თბილისი, წინანდლის ქუჩა).

ШПС ვ.ივერიელის სახ. ენდოკრინოლოგია-
მეტაბოლოგია- დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში აუდიტორის წერილთან ერთად



V. Iverieli Endocrinology, Metabology, Dietology center "E N M E D I C"

შპს ვ.ივერიელის სახ. ენდოკრინოლოგია-
მეტაბოლოგია- დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“
V. Iverieli Endocrinology, Metabology, Dietology center "E N M E D I C"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდულის პასუხისმგებლობის საზოგადოება ვ. ივერიელის სახ. ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი „ ენმედიცი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიში მომზად ცემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდ 06 სექტემბერს :

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

ფინანსური დირექტორი ზურაბ ბიბილაშვილი

1. კომპანიის დამფუძნებლები

- კობა ბურნაძე -წილი-100%

ძირითადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ცენტრი „ენმედიცი“ დაარსდა 1999 წელს, ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიური განყოფილების ბაზაზე. თანდათან ცენტრის სამედიცინო მომსახურება გაფართოვდა სხვადასხვა კლინიკური დარგების მიმართულებით. ამჟამად დაწესებულება შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

- ამბულატორიული დეპარტამენტი
  - ენდოკრინოლოგიური განყოფილება
  - ექიმი სპეციალისტები
  - დიაგნოსტიკური განყოფილება
  - ვაკის ენმედიცი
  - ბათუმის ენმედიცი

- სტაციონარული დეპარტამენტი
  - ენდოკრინოლოგიური სტაციონარი
  - ქირურგია:
    - ენდოკრინოლოგიური ქირურგია
    - მუცლის ღრუს ქირურგია
    - გინეკოლოგიური ქირურგია
    - მამოლოგია
  - ოფთალმოქირურგია
  - რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია

- ლაბორატორია
  - კლინიკური ლაბორატორია
  - მორფოლოგიური ლაბორატორია
  - ლაბორატორიის ფილიალები
  - კურიერული მომსახურება

- ადმინისტრაცია
  - ბუღალტერია
  - იურისტ(ებ)ი
  - საწყობი (ლაბორატორიის მიმართულება/ლოჯისტიკა - გამგე, მენეჯერი)
  - სამეურნეო ნაწილი (უფროსი, დაქირავებული მუშაკები საჭიროებისამებრ)
  - კადრების მენეჯერი/HR

- კვების ბლოკი

- მენეჯერები
- რეგისტრატურის მენეჯერი
- შესყიდვების მენეჯერი
- დაზღვევასთან ურთიერთობის მენეჯერი
- სახელმწიფო პროგრამების მენეჯერი

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
- სოციალური ქსელების მენეჯერი
- პრესასა და ტელევიზიასთან ურთიერთობის მენეჯერი
- ცხელი ხაზი (ქოლ-ცენტრი)

- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- თსსუ რეზიდენტურის მიმართულება
- უმცროსი ექიმების მიმართულება
- უსგ/უპგ პროგრამების მიმართულება
- სამეცნიერო კონფერენციები
- კლინიკური კვლევები

კომპანია წარმოადგენს ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ მრავალპროფილურ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას, სადაც შესაძლებელია ამბულატორიული მომსახურებისა და ლაბორატორიული კვლევების სრული სპექტრის მიღება.

კომპანიის ულტრათანამედროვე დიაგნოსტიკური ლაბორატორია დაკომპლექტებულია ბოლო თაობის ანალიზატორებით. გამოკვლევების სრული ავტომატიზაცია, კომპიუტერული მართვა, ყველა ტექნოლოგიური პროცესისა და გამოკვლევების უნიკალური მეთოდიკები, უმაღლესი პროფესიონალიზმის კადრები, უზრუნველყოფს შედეგების მაღალ ხარისხსა და სიზუსტეს.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში შექმნილია სამედიცინო მომსახურების და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების კომიტეტი (შემდგომში ხარისხის მართვის კომიტეტი), რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის ყოველდღიური მუშაობა კლინიკაში.

აღნიშნული სახელმძღვანელო დეტალურად ასახავს მოთხოვნებსა და პოლიტიკას კონკრეტული დაწესებულებისათვის, რომელიც მიმართულია მომხმარებლის სრული კმაყოფილების მისაღწევად და ექვემდებარება მომხმარებლისა და ISO 9001:2008-ის მოთხოვნებს.

დაწესებულებამ დანერგა და გაითავისა ბიზნეს პროცესის სქემა, რომელიც დაფუძნებულია ხარისხის მართვის სისტემაზე ISO 9001:2008.

კომპანია აკ.ვ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები, მოწყობილობები და პერსონალი სათანადოდ ლიცენზირებული და სერტიფიცირებულია. პირველ რიგში, „ენმედიცი“ აკმაყოფილებს ყველა სამედიცინო და იურიდიულ მოთხოვნას, რომელიც დადგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

დაწესებულების ისტორია

ცენტრი აკადემიკოს ვაჟა ივერიელის (ლეკიშვილის) სახელს ატარებს. მის სახელთანაა დაკავშირებული კლინიკის ისტორიაც. იგი ჩამოყალიბდა თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ერთ-ერთი განყოფილების ბაზაზე, სადაც დიდი მეცნიერის, პედაგოგისა და კლინიცისტის, ვაჟა ივერიელის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კლინიკურ ენდოკრინოლოგიას ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში. 60-იანი წლების ბოლოს განყოფილებაში ფუნქციონირებას იწყებს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრა, რამდენიმე წელიწადში ამავე ბაზაზე გაიხსნა საქართველოში პირველი ენდოკრინოლოგიური განყოფილება, რომელიც შემდგომში საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში პირველ დამოუკიდებელ ენდოკრინოლოგიურ კლინიკად ჩამოყალიბდა. შემდგომი წლების განმავლობაში კლინიკის ბაზაზე თბილისის სამედიცინო აკადემიის ორი კათედრა ფუნქციონირებდა: ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის კათედრა აკადემიკოს ივერიელის ხელმძღვანელობით და ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების ენდოკრინოლოგიის კათედრა პროფესორ დავით მეტრეველის ხელმძღვანელობით. კლინიკა დღესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზას წარმოადგენს, სადაც მიმდინარეობს დიპლომისშემდგომი მზადება სხვადასხვა საექიმო სპეციალობაში.

კომპანია რეგისტრირებულია 1999 წლის 11 აგვისტოს დღეს ცენტრი წარმოადგენს ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ მრავალპროფილურ დაწესებულებას ამბულატორიული და სტაციონარული სერვისებით, მძლავრი ლაბორატორიით.

კომპანიას ყავს შვილობილი საწარმო სადაც წილის 80%-ს ფლობს. 2022 წელს შვილობილ კომპანიას საქმიანობა არ განხორციელებულა.

ხარისხი

კლინიკა „ენმედიცი“-ს მუშაობა ეფუძნება ხარისხის პოლიტიკას, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს, რომ ჩვენი მომსახურება და პროდუქტები სრულად შეესაბამებოდეს

მომხმარებლის მოთხოვნებს, როგორც ხარისხის, ისე ფასის მიხედვით. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ პაციენტის კმაყოფილების მაღალ დონეს. სწორედ ამ მიზნის მიღწევისათვის შრომობს ჩვენი თითოეული თანამშრომელი.

სერვისები

ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:

• *ბავშვთა ენდოკრინოლოგია*	• *ოტორინოლარინგოლოგია*
• *თერაპია*	• *ოფთალმოლოგია*
• *ქირურგია*	• *ანგიოლოგია*
• *ნევროლოგია*	• *დერმატოლოგია*
• *ბავშვთა ნევროლოგია*	• *საოჯახო მედიცინა*
• *გინეკოლოგია*	• *პედიატრია*
• *რეპროდუქტოლოგია*	• *ჰეპატოლოგია*
• *სექსოლოგია*	• *ნეფროლოგია*
• *მამოლოგია*	• *კარდიოლოგია*
• *მამოლოგია*	• *ფსიქოლოგიური სამსახური*

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება

• ენდოკრინოლოგიური ქირურგია	• მამოლოგია
• მუცლის ღრუს ქირურგია	• თვალის ქირურგია
• ონკოქირურგია	• რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია
• ღვიძლის სიმსივნეების აბლაცია - რადიოსიხშირული/მიკროტალღური	• ენდოკრინოლოგიური სტაციონარი
• გინეკოლოგიური ქირურგია	• ონკოგინეკოლოგია

დიაგნოსტიკური სამსახურები:

• ციფრული რენტგენი	• ელექტროკარდიოგრამა
• რენტგენოსკოპია/გრაფია	• 24 საათიანი ეკგ და არტერიული წნევის ჰოლტერის მონიტორინგი

• რენტგენოკონტრასტული კვლევები	• ეკგ დატვირთვის ტესტი ტრედმილით
• ექოსკოპია (ყველა სისტემა)	• კოლპოსკოპია
• გოჯ-მხარის ინდექსის განსაზღვრა	• ჰისტეროსკოპია
• ენდოსკოპია	• კლინიკური ლაბორატორია
• ეზოფაგოგასტროსკოპია	• ჰისტომორფოლოგია
• კოლონოსკოპია	• იმუნოჰისტოქიმია
• დენსიტომეტრია	• ციტოლოგია
• ფიბროელასტოგრაფია (ფიბროსკანი)	• ვირუსული გენეტიკური მასალის დეტექცია პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით
• ასპირაციული ბიოფსია	• ელექტროენცეფალოგრაფია-ეგგ

კომპანიის კრედო

ის, რისი განხორციელებისკენაც ისწრაფვის „ენმედიცი“ ადვილი ჩამოსაყალიბებელია, მაგრამ რთული მისაღწევია. ჩვენი მისიაა პაციენტების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. ჩვენი მისიის განხორციელებაში სამ ძირითად პრინციპს ვეყრდნობით:

ინოვაცია. ხედვა. პროფესიონალიზმი.

მიზანი

პროდუქტისა და მომსახურების ხარისხი უნდა ემთხვეოდეს უმაღლეს სტანდარტებს, რომლებიც დაწესებულია ორგანიზაციის მიერ და აგრეთვე მომხმარებელთა მოთხოვნებს.

შესაძლებლობები

დაწესებულება წარმოადგენს ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ მრავალპროფილურ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას, სადაც შესაძლებელია ამბულატორიული მომსახურებისა და ლაბორატორიული კვლევების სრული სპექტრის მიღება.

„ენმედიცი“ სამედიცინო მომსახურების კომპანიაა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსურ, მოქნილ, საერთაშორისო სტანდარტების სამედიცინო მომსახურებას ეკონომიურ ფასებად საქართველოს დედაქალაქში მდებარე მრავალპროფილიან კლინიკაში.

ამ ეტაპზე ორგანიზაცია აერთიანებს სათაო კლინიკას - ამბულატორიულ-სტაციონარული სერვისებით და ბათუმის ენმედიცსა და ვაკის ენმედიცს (თბილისში), სადაც გთავაზობთ მომსახურების შემდეგ სახეებს:

სერვისები

სათაო კლინიკა თბილისი	
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:	
• ენდოკრინოლოგია • ბავშვთა ენდოკრინოლოგია • თერაპია • ქირურგია • ნევროლოგია • ბავშვთა ნევროლოგია • გინეკოლოგია • რეპროდუქტოლოგია • სექსოლოგია • მამოლოგია	•ოტორინოლარინგოლოგია • ოფთალმოლოგია • ანგიოლოგია • დერმატოლოგია • საოჯახო მედიცინა • პედიატრია • ჰეპატოლოგია • ნეფროლოგია • კარდიოლოგია • ფსიქოლოგიური სამსახური
სტაციონარული სამედიცინო მომსახურება:	
• ენდოკრინოლოგიური ქირურგია • მუცლის ღრუს ქირურგია • ონკოქირურგია • ოპერაციები ღვიძლზე • ღვიძლის სიმსივნეების აბლაცია - რადიოსიხშირული/მიკროტალღური	• გინეკოლოგიური ქირურგია • ონკოგინეკოლოგია • მამოლოგია • თვალის ქირურგია • რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია • ენდოკრინოლოგიური სტაციონარი
დიაგნოსტიკური სამსახურები:	
• ციფრული რენტგენი: • რენტგენოსკოპია/გრაფია • რენტგენოკონტრასტული კვლევები • დენსიტომეტრია • ექოსკოპია (ყველა სისტემა) • გოჯ-მხარის ინდექსის განსაზღვრა • ენდოსკოპია • ეზოფაგოგასტროსკოპია • კოლონოსკოპია • ფიბროელასტოგრაფია (ფიბროსკანი) • კოლპოსკოპია	• ელექტროკარდიოგრამა • 24 საათიანი ეკგ და არტერიული წნევის ჰოლტერის მონიტორინგი • ეკგ დატვირთვის ტესტი ტრედმილით • ჰისტეროსკოპია • კლინიკური ლაბორატორია • ჰისტომორფოლოგია • იმუნოჰისტოქიმია • ციტოლოგია • ასპირაციული ბიოფსია • ელექტროენცეფალოგრაფია-ეგგ
ლაბორატორიული სამსახური:	
• ბიოქიმია • ჰემატოლოგია	

- იმუნოლოგია
- ბაქტერიოლოგია
- ჰისტო-მორფოლოგია
- ციტოლოგია
- გენეტიკა
- იზოსეროლოგია
- კოაგულოლოგია
- ალერგოლოგია

ვაკის ენმედიცი **თბილისი**	
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:	
• ოჯახის ექიმი • ენდოკრინოლოგია • ბავშვთა ენდოკრინოლოგია • თერაპია • კარდიოლოგია • ნევროლოგია • ბავშვთანევროლოგია • გინეკოლოგია	• მამოლოგია • ოფთალმოლოგია • ოტორინოლარინგოლოგია • დერმატოლოგია • პედიატრია • ფიზიოთერაპია
დიაგნოსტიკური სამსახური	
• დენსიტომეტრია • ექოსკოპია - ყველა სისტემის კვლევა; საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებები ექოსკოპიის კონტროლით.	
ლაბორატორიული სამსახური	
• სისხლის აღება და სხვა ბიოლოგიური მასალის აღება და ტრანსპორტირება სათაო ლაბორატორიაში	

ბათუმის ენმედიცი **ბათუმი**	
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:	
• ოჯახის ექიმი • იმუნიზაცია • ენდოკრინოლოგია • თერაპია • კარდიოლოგია • ნევროლოგია • ბავშვთა ნევროლოგია • ბავშვთა ალერგოლოგია	• გინეკოლოგია • ოფთალმოლოგია • ოტორინოლარინგოლოგია • დერმატოლოგია • ბავშვთა ქირურგია • ქირურგია • ფსიქიატრია
დიაგნოსტიკური სამსახური	
• ექოსკოპია - ყველა სისტემის კვლევა; • საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებები ექოსკოპიის კონტროლით.	
ლაბორატორიული სამსახური	
• კლინიკური ლაბორატორიული მომსახურება • სისხლის აღება და ტრანსპორტირება სათო ლაბორატორიაში	

ლაბორატორია

ლაბორატორიას შეუძლია შემოგთავაზოთ დაახლოებით 1000 მდე სახეობის გამოკვლევა დიაგნოსტიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა: ბიოქიმია, ჰემატოლოგია, იმუნოლოგია, ბაქტერიოლოგია, მორფოლოგია, გენეტიკა, იზოსეროლოგია, კოაგულოლოგია, ალერგოლოგია. კლინიკა „ენმედიცი"–ს ლაბორატორია სარგელობს მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული სამედიცინო ბრენდების ავტომატიზირებული ანალიზატორებით. მათ შორისაა: **Abbott, Seimens Healthcare Diagnostics, Instrumentation Laboratory, Bayer Diagnostics, Dako, Spinreact, BPS Biosed, Radim** და სხვა. თანამედროვე მედიცინაში დიაგნოსტიკური ინფორმაციის 80% მიიღება დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში. მსოფლიო ლიდერების აღჭურვილობა და მსოფლიო ბრენდების მიერ წარმოებული რეაგენტები - არის შედეგების სიზუსტის გარანტი. სანდო და მაღალი ხარისხის ამომწურავი დიაგნოსტიკური შედეგების და ლაბორატორიული მომსახურების წარმოება კლინიკური ლაბორატორიის ფარგლებში.

1.0 ხარისხის პოლიტიკა

კომპანიის მუშაობა ეფუძნება ხარისხის პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ჩვენი მომსახურება და პროდუქტები სრულად შეესაბამებოდეს მისი კლიენტების მოთხოვნებს. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ პაციენტების კმაყოფილების უმაღლეს დონეს და აღნიშნული დონის მიღწევისათვის ვქმნით დამხმარე მართვისა და ბიზნესის ოპერაციულ სისტემებს.

ჩვენ გვჯერა, რომ პაციენტებთან და მომწოდებლებთან ერთად მუშაობა დაგვეხმარება აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციაში, და მუდმივად ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობის თითოეული სფერო.

ჩვენი ხარისხის პოლიტიკა ეფუძნება 4 ძირითად პრინციპს:

1. შესაბამისობა კლიენტების მოთხოვნებთან - ჩვენ სრულად ვახდენთ იდენტიფიცირებას და ვექვემდებარებით მათ საჭიროებებს
2. თვალყურს ვადევნებთ ჩვენი საქმიანობის პროცესს, ვახდენთ შეცდომების პოტენციალის იდენტიფიცირებას და ვატარებთ აუცილებელ ღონისძიებებს მათ სალიკვიდაციოდ
3. ჩვენ უზრუნველვყოფთ, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე ყველა თანამშრომლის მხრიდან მასზე დაკისრებული ფუნქციების მაღალ დონეზე ცოდნას და სათანადო შესრულებას.
4. ყველა მუშაკი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე

ხარისხის პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისთვის ვასრულებთ შემდეგი ტიპის ოპერაციებს:

1. პერსონალს ეკისრება პასუხისმგებლობა, რათა მოახდინოს მომხმარებლის მოთხოვნების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს, რომ ჩატარდეს ზუსტი პროცედურები აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
2. ხორციელდება მიზნების დასახვა, განსაზღვრა და მონიტორინგი, რომლებიც საჭიროა იმისათვის რათა მოთხოვნები იქნას დაცული და მუდმივი ხარისხის გაუმჯობესების პროცესები ტარდებოდეს მოცემული პოლისის თანახმად
3. ხარისხის პოლიტიკის მიზნები და პრინციპები მუდმივად არის გამოცხადებული და ხელმისაწვდომი თითოეული მომსახურე პერსონალისთვის
4. ტრენინგი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია რათა მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს
5. კლინიკა „ენმედიცი“ ექვემდებარება ხარისხის მართვის სისტემის კონტროლსა და დისციპლინებს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ISO 9001:2008-ის სტანდარტებს

6. მუდმივად ხდება სერვისების განახლება და გაუმჯობესება, რათა ვუზრუნველყოთ რომ სამუშაო შესრულდეს ყველაზე ფინანსურად მომგებიანი და დროული გზით, რასაც თავის მხრივ სარგებელი მოაქვს ჩვენი მომხმარებლისთვის.
7. ვუზრუნველყოფთ რომ პერსონალს საფუძვლიანად ესმოდეს და სრულად ახორციელებდეს ჩვენი კომპანიის პოლისებსა და მიზნებს, აგრეთვე იყოს უნარიანი რომ ეფექტურად შეასრულოს მისი მოვალეობები მიმდინარე ტრენინგებისა და განვითარების პროგრამების პარალელურად.

2.1 მისია:

კლინიკა „ენმედიცი“-ს მისიას წარმოადგენს სანდო და გარანტირებულად მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება თითოეული მომხმარებლისთვის, რომელიც დაფუძნებულია კლასიკური მედიცინის საუკეთესო ტრადიციებზე, მაღალ პროფესიონალიზმზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ თანამედროვე მიდგომების გამოყენებაზე, დიაგნოსტიკისა და კვლევის უახლეს მეთოდებზე, ულტრათანამედროვე აპარატურაზე.

კლინიკა „ენმედიცი“-ს მისიაა

- ხელი შეუწყოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტიკას, მკურნალობას და მონიტორინგს
- განავითაროს და განახორციელოს დაავადების მართვის სტრატეგიები ისე რომ შემცირდეს ხარჯები და უკეთესი მომსახურეობა მიეწოდებოდეს პაციენტს
- მოხდეს მომსახურების ფასების შემცირება სტანდარტიზირებით და ლაბორატორიული სერვისების ინტეგრირებით
- შემოსავლის გაზრდა პროგრამული სერვისების გაძლიერებით

უახლოეს მომავალში კლინიკას დაგეგმილი აქვს სტაციონარული დეპარტამენტის გაფართოება.

კლინიკა „ენმედიცი“-ში ფუნქციონირებს თანამედროვე დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რომელიც დაკომპლექტებულია ბოლო თაობის ანალიზატორებით. გამოკვლევების სრული ავტომატიზაცია, კომპიუტერული მართვა, ყველა ტექნოლოგიური პროცესისა და გამოკვლევების უნიკალური მეთოდიკები, შესაბამისად პროფესიონალი კადრები არის შედეგების მაღალი ხარისხის და სიზუსტის გარანტი.
ლაბორატორიას შეუძლია შემოგთავაზოთ დაახლოებით 1000 მდე სახეობის გამოკვლევა დიაგნოსტიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა: ბიოქიმია, ჰემატოლოგია, იმუნოლოგია, ბაქტერიოლოგია, მორფოლოგია, იზოსეროლოგია, კოაგულოლოგია, ალერგოლოგია.
კლინიკა „ენმედიცი“-ს ლაბორატორია სარგებლობს მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული სამედიცინო ბრენდების ავტომატიზირებული ანალიზატორებით. მათ

შორისაა **Abbott, Seimens Healthcare Diagnostics, Instrumentation Laboratory, Bayer Diagnostics, Dako, Spinreact, BPS Biosed, Radim** და სხვა.

თანამედროვე მედიცინაში დიაგნოსტიკური ინფორმაციის 80%-ის მიღება დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში, მსოფლიო ლიდერების აღჭურვილობა და მსოფლიო ბრენდების მიერ წარმოებული რეაგენტები – არის შედეგების სიზუსტის გარანტი.

კლინიკა „ენმედიცი"-ში **საქართველოში პირველად** დაინერგა კვლევის იმუნოჰისტოქიმიური მეთოდი. დღეისათვის, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, იგი გამოიყენება რუტინულ დიაგნოსტიკაში. დღეისათვის კლინიკა „ენმედიცი"-ში ფუნქციონირებს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მორფოლოგიური კვლევის ცენტრი, სადაც ხორციელდება ძუძუს სიმსივნეების, ლიმფოპროლიფერაციული დაავადებების, ენდოკრინოლოგიური, შარდ-სასქესო სისტემის, გასტროინტესტინალური ტრაქტის, ჰემობლასტოზების, ნერვული, რბილი ქსოვილების და სხვა ორგანოების მორფოლოგიური დიაგნოსტირება ჰისტოქიმიის და იმუნოჰისტოქიმიის გამოყენებით.

ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზის სისწორე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჰისტოლოგიური პრეპარატების ხარისხზე, ამიტომ ჩვენი ცენტრის დევიზია - ***„ხარისხიდან -სანიმუშომდე".***

ასევე პირველად საქართველოში დაინერგა საკვების მიმართ ინტოლერანტობის ტესტი, რომელიც ეფუძნება IgG -ის დონის განსაზღვრას სისხლში 221 საკვები პროდუქტის მიმართ.

კლინიკას გააჩნია ფილიალი, სადაც ასევე შესაძლებელია ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მომსახურების მიღება.

კომპანია აკრედიტირებულია.

5.1 ორგანიზაცია და მენეჯმენტი

დაწესებულების დირექტორს გააჩნია პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება რათა უზრუნველყოს, რომ ყველა სამედიცინო მომსახურება, რასაც გვთავაზობს კლინიკა „ენმედიცი" ემთხვეოდეს პაციენტთა საჭიროებებს და აგრეთვე, რომ დაწესებულების შტატი იყოს სრულად პასუხისმგებელი პაციენტის მზრუნველობაზე.

დაწესებულების დირექტორი და ტოპ მენეჯმენტი პასუხისმგებელია და უზრუნველყოფს რომ დაწესებულების დაგეგმარება ემთხვეოდეს ISO 9001:2008-ის სტანდარტებს.

ხარისხის მართვის სამსახური პასუხისმგებელია და უზრუნველყოს, რომ ხარისხის პოლიტიკა იყოს დაწესებულების მიზნების შესაბამისი და ხელს უწყობდეს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებასა და განახლებას.

დაწესებულების მენეჯმენტი პასუხისმგებელია, რომ შეინარჩუნოს ეფექტურობა, ადეკვატურობა და გაუმჯობესება ხარისხის მართვის სისტემის. რაც მოიცავს შემდეგს:

1. დაწესებულების პერსონალისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება და რესურსებით უზრუნველყოფა, რათა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები
2. გარკვეული ღონისძიებების ჩატარება, რომ მენეჯმენტსა და პერსონალზე არ იმოქმედოს და არ იქონიოს უარყოფითი გავლენა რაიმე შიდა თუ გარე კომერციულმა, ფინანსურმა ან რაიმე სხვა ფაქტორმა, რაც უარყოფითად აისახება მათი მუშაობის ხარისხზე
3. პოლისები და პროცედურები რათა უზრუველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობა
4. პოლისები და პროცედურები ისეთი აქტივობების თავიდან ასაცილებლად, რაც შეამცირებს ლაბორატორიის რწმენას მის კომპეტენციაში, მიუკერძოებლობასა და ოპერაციულ სისრულეში
5. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი კავშირი ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან
6. პერსონალის სპეციფიური მოვალეობები, უფლებამოსილება და ურთიერთდამოკიდებულება
7. შტატის ადეკვატური ტრენინგი და შესაბამისი ზედამხედველობა კომპეტენტური პირის მიერ, რომელიც არის კვალიფიციური და გათვითცნობიერებული დაწესებულების მიზნებში, სპეციფიური გამოკვლევის პროცედურებსა და შედეგების შეფასებაში
8. ტექნიკური მენეჯმენტი, რომელიც სრულად არის პასუხისმგებელი მიმდინარე ტექნიკურ ოპერაციებზე, და ისეთი რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც აუცილებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესანარჩუნებლად
9. ხარისხის მართვის სამსახურის შექმნა, რომელიც იქნება უფლებამოსილი და მოვალე, რომ თვალყური ადევნოს შეესაბამება თუ არა მუშაობა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნებს.

მენჯმენტის მიმოხილვა

დაწესებულების მენეჯერები და ხარისხის მართვის კომიტეტი პერიოდულად ატარებენ კრებებს გარკვეული პროცესების განსახილველად.
მენეჯმენტის კრებები მხედველობაში იღებს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- წინა მენეჯმენტის მიმოხილვის შედეგების შემდგომი დაკვირვება
- ჩატარებული კორექციული და პრევენციული ქმედებების სტატუსი
- საბოლოო შიდა აუდიტის შედეგები
- შეფასება გარე სტრუქტურების მიერ
- გარე ხარისხის შეფასების გამოსავალი და სხვა ინტერ-ლაბორატორიული შედარებები
- შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ტიპში ნებისმიერი ცვლილება
- გამოხმაურება, რომელიც მოიცავს საჩივრებს და სხვა შესაბამის ფაქტორებს, ექიმების, პაციენტების და გარეშე პირებისაგან

- მიღებული სამედიცინო მომსახურებით პაციენტის კმაყოფილების შეფასებისათვის შემუშავებულია სპეციალური კითხვარები.
- ხარისხის მაჩვენებლები ლაბორატორიის მუშაობის მონიტორინგზე
- შეუსაბამობები
- მუდმივი გაუმჯობესების პროცესების შედეგები
- მომწოდებლების შეფასება

აღნიშნული კრებების აღმოჩენები და მათგან გამომდინარე ქმედებები, უნდა იქნას დაფიქსირებული და ხარისხის მმართველობამ უნდა უზრუნველყოს, რომ იქნას განხორციელებული დროულად.

შტატის განათლება და ტრენინგი

სამედიცინო და ადმინისტრაციულ მომსახურებაში უმაღლესი ხარისხის უზრუნველსაყოფად კლინიკა „ენმედიცი“ ზრუნავს მომსახურე პერსონალის უწყვეტ განათლებაზე, მათი ცოდნის გაღრმავებასა და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ასევე ახდენს :

- პერსონალის კომპეტენციის იდენტიფიცირება, რომელიც ატარებს ტესტირებას
- სპეციფიური სამუშაოებისა და მოვალეობების იდენტიფიცირება პერსონალისთვის, მათი გამოცდილების, განათლების, ტრენინგის ან სპეციფიური უნარებისა თუ შესაძლებლობების მიხედვით
- ტრენინგებით უზრუნველყოფა, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს
- უზრუნველყოფა იმისა, რომ შტატი იყოს გარკვეული, მათი ქმედებების შესაბამისობასა და მნიშვნელობაზე და თუ როგორ ემსახურებიან ხარისხის მიზნების მიღწევას
- ტრენინგის ეფექტურობის შეფასება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება
- განათლების, ტრენინგის, უნარებისა და გამოცდილების შესაბამისი დოკუმენტაციის შენარჩუნება

2.0 ხარისხის დაზღვევა

კლინიკის ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებს (ხარისხის სახელმძღვანელო, პროცედურები, პოლისები ჩანაწერები და სხვ.), შტატის ტრენინგით, კორექციული ქმედებებით, შიდა აუდიტით, ჩანაწერების კონტროლით და პროცესების კონტროლით, რომ კლინიკის საქმიანობა მუდმივად შესაბამისობაში იყოს ISO 9001:2008 სტანდარტებთან.

ამისთვის კლინიკაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის დაზღვევის პროცესები, რომლებიც იყოფა სამ ფაზად; პრე-ანალიტიკური, ანალიტიკური და პოსტ-ანლიტიკური.

აღნიშნული სექციის შესაბამისი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურებია:

შეცდომების მართვა – SOP-AU #13
შიდა აუდიტი – SOP -TD QCU #03

ინფრასტრუქტურა

დაწესებულების მენეჯმენტი საზღვრავს, უზრუნველყოფს და ინარჩუნებს ისეთ ინფრასტრუქტურას, როგორიც შეესაბამება მომსახურება/პროდუქტის მოთხოვნებს და მოიცავს:

- შენობა, სამუშაო სივრცე და ასოცირებული ნაგებობები
- ანალიტიკური აღჭურვილობა (აპარატურა და პროგრამული რესურსები)
- დამხმარე მომსახურება (ტრანსპორტი და კომუნიკაციები)
- სამუშაო გარემო

სამუშაო გარემო

დაწესებულების მენეჯმენტი საზღვრავს და მართავს სამუშაო გარემოს, ასევე ატარებს აუდიტს რათა მიღწეულ იქნას მომსახურება/პროდუქტის შესაბამისობა მოთხოვნებთან. აღნიშნული აუდიტი მოიცავს: ა)ინფრასტრუქტურა, ბ)ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, გ)სამუშაო ეთიკა დ)ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმე სექციის შესაბამისი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურები:

შეცდომების მართვა – SOP-AU N13
შიდა აუდიტი – SOP-TD QCU N 03

ინსტრუმენტები

კლინიკა „ენმედიცი“ იყენებს ისეთი დონის აღჭურვილობას, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებს შეესაბამება და არის პერსონალისა და პაციენტების უსაფრთხოების გარანტი გამოკვლევების ჩატარების პროცესში. არსებობს აღჭურვილობის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხდება აპარატურის გამოყენება კომპანიაში და მოიცავს შემდეგს:

- დაგეგმილი გამოყენების განსაზღვრა და სელექცია
- არჩევის კრიტერიუმები, ვადა
- შტატის ტრენინგი
- ტექნიკური მოვლა, მომსახურება და შეკეთება
- პრობლემური საკითხების გადაჭრა
- ინსტრუმენტის შეცდომების და გაფუჭების ჩანაწერები და შესაბამისი კორექციული ქმედებები
- დაგეგმილი ჩანაცვლება და გადაგდება (ნაწილების)
- მნიშვნელოვანი გაფუჭებისას ანგარიშის წარდგენა

დაწესებულების მენეჯმენტი უზრუნველყოფს, რომ აღჭურვილობასთან დაკავშირებული ჩანაწერები და ფორმები ინახებოდეს და ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნისამებრ.

რეაგენტების და სხვა მოხმარების მასალების მართვა

არსებობს სპეციალური წესები, შექმნილი კლინიკა "ენმედიც"ის მიერ, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგენტების და სხვა ფართო გამოყენების მასალების მართვა, შენახვისა და ანალიზების ჩატარების პერიოდში. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია რეაგენტების ვარგისიანობის და ხელმისაწვდომობის, ასევე კალიბრაციისა და ხარისხის კონტროლის მასალის უზრუნველყოფა. შესყიდვების დეპარტამენტის პირველადი პასუხისმგებლობაა მიღებული მასალების იდენთიფიცირება, შემოწმება და შენახვა მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად. კლინიკას გააჩნია მომმარაგებელთა მართვის პროცესი, სადაც მათი გადარჩევა და შეფასება ხდება, რაც ეფუძნება შიდა კრიტერიუმებს და ტარდება პერიოდულად საჭიროებისამებრ. აგრეთვე ახსნილია თუ როგორ უნდა მოხდეს მასალის განაწილება საჭიროებისამებრ. ხდება ყველა ჩანაწერის შენახვა და დაარქივება. გამოყენებადი მასალა სწორად უნდა იყოს იდენტიფიცირებული მიღების თარიღით, ლოტის ნომრებით, პირველი გამოყენებით და ვადით.

ლაბორატორიული გამოკვლევის პროცედურების გადარჩევა და დამტკიცება

ლაბორატორიის მენეჯმენტი ახდენს გადარჩევას და ირჩევს ახალ გამოკვლევის პროცედურას, რომელიც შეესაბამება მომხმარებლისა და ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. არჩეული მეთოდი ან პროცედურა შედის კომპანიის კომპეტენციაში და უნდა იყოს დამტკიცებული მის წარდგენამდე. დამტკიცების მეთოდის და სხვა მონაცემების სათანადო ჩანაწერები საჭიროებისამებრ შენახულია მომავალში ფაქტობრივი მტკიცებულების არსებობისათვის. კომპანიაში ყველა არსებული გამოკვლევის პროცედურა არის დამტკიცებული და ყველა გამოკვლევისათვის არის შესაბამისი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურა და სათანადო ფორმები. ყველა ამჟამინდელი გამოკვლევის პროცედურები კლინიკაში ინახება და ხელმისაწვდომია ლაბორატორიის შესაბამის სექციებში.

უსაფრთხოება

კომპანიას აქვს გამოცემული და დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს და შეინარჩუნოს უსაფრთხო სამუშაო გარემო პაციენტებისათვის, შტატისა და ნებისმიერი პერსონალისთვის, რომელიც დაშვებულია კლინიკაში. უსაფრთხოების პოლიტიკა არის შემდეგნაირი:

კომპანია პერსონალს სთავაზობს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო ადგილებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გაიდლაინები საზღვრავს აუცილებელ სტანდარტებს თანამშრომელთა ჯანდაცვისა და უსაფრთხოებისთვის. აღნიშნულ სტანდარტებს, შესაძლოა დაემატოს გარკვეული სტანდარტები კანონმდებლობის მიერ, ასევე კონკრეტული კლინიკის უსაფრთხოების პოლისები და განყოფილების პროცედურები.

კომპანია მაქსიმალურად ცდილობს მოახდინოს შესაძლებელი ოკუპაციური ზიანის პრევენცია. მენეჯმენტს ევალება გადაჭრას ჯანდაცვის და უსაფრთხოების პრობლემები თანამშრომლებთან კოოპერატიული მიდგომით, ჩაატარონ სამუშაო ადგილების ინსპექცია, სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების მონიტორირება, ჯანდაცვის და უსაფრთხოების პროგრამის აუდიტირება, აგრეთვე იყოს ჩართული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესების პროცესებში.

კომპანია მუდმივად ატარებს ტრენინგებს და ამლევდეს მოტივაციას თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობისათვის. აგრეთვე ხელს უწყობს, რათა განაახლოს და გააღრმავოს მათი ცოდნა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. უსაფრთხოების ცოდნა და მისი შესრულება შერწყმულია ოპერაციულ პროცესებთან.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ ყველა მისი მუშაკი მუშაობდეს უსაფრთხოდ და უსაფრთხოება იყოს მათთვის პრიორიტეტი ყველა სამუშაოსთან დაკავშირებულ ქმედებებში. თანამშრომლები კარგად იცნობენ მიღებულ უსაფრთხოების მოთხოვნებს და მათი სამუშაოს შესაბამის ორგანიზაციულ პოლისებს, რათა წინასწარ გაითვალისწინონ თითოეული სამუშაოსთვის უსაფრთხოების საჭიროებები. ისინი აკეთებენ რეპორტს რისკ ფაქტორების ან აღმოჩენილი დარღვევების შესახებ, აგრეთვე ხელს უწყობენ თანამშრომელთა და მენეჯმენტის ინიციატივებს, რაც შეეხება სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას.

გამოკვლევის პროცედურების ნუსხა

კომპანიას გააჩნია დამოწმებული სტანდარტულ ოპერაციული პროცედურები თითოეული გამოკვლევის ჩატარებისათვის, რაც მოიცავს შემდეგს:

- გამოკვლევის მიზანი
- პრინციპი პროცედურისა, რომელიც გამოიყენება გამოკვლევაში
- ნიმუშის მოთხოვნები და იდენტიფიკაციის მნიშვნელობა
- აღჭურვილობა და სპეციალური მარაგი
- რეაგენტები, კალიბრატორების სტანდარტები, და შიდა ხარისხის კონტროლის მასალა
- შესაბამისი სამუშაო ინსტრუქციები
- გამოკვლევის ლიმიტები
- ჩანაწერები და შედეგების გამოთვლა
- რეფერენს ლიმიტების ანგარიში
- პერსონალის პასუხისმგებლობა სანებართვო პირობებზე, ანგარიშგებასა და რეპორტების მონიტორირებაში

- რისკების და უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ზომები

ლაბორატორიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ გამოკვლევის პროცედურის შემცველობა იყოს სრული და განახლებული. თითოეული სტანდარტულ ოპერაციული პროცედურის მიმოხილვა ხდება წელიწადში ერთხელ, და მოწმდება ლაბორატორიის მენეჯმენტის მიერ.

ვალიდაციის შედეგები

ყველა სამედიცინო აღჭურვილობა კლინიკაში გადის პრევენციული მოვლის პროგრამას რათა აწარმოონ სწორი და უტყუარი ანალიზის პასუხები, პაციენტის უსაფრთხოებისათვის.

არსებობს დადგენილი და დამტკიცებული პოლისები, რომლებიც ასწავლის ლაბორატორიის პერსონალს, თუ როგორ მოახდინონ ანგარიშგება და მოიქცნენ არასწორი ანალიზების პასუხების შემთხვევაში. მას შემდეგ როცა ლაბორატორიის პერსონალი გადახედავს შედეგებს და დარწმუნდება რომ არ არის არანაირი შეუსაბამობა ან დეფექტი, დამატებით უნდა მოხდეს ყველა ანალიზის პასუხების მიმოხილვა და ვალიდაცია კლინიკის სამედიცინო დირექტორის მიერ, აგრეთვე არსებობს ლაბორატორიის ინფორმაციული სისტემის მენეჯმენტი კლინიკაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მომსახურება იყოს უფრო დახვეწილი, შემცირდეს დროის დაკარგვა ანალიზების ჩატარების დროს და მივიღოთ საიმედო ანალიზის შედეგები.

საკორექციო ქმედებები და საჩივრები

დაწესებულების მენეჯმენტი ჩართულია ნებისმიერი პრობლემისა თუ საჩივრის გადაჭრაში, იქნება ეს საჩივარი შიდა თუ გარე. პრობლემის წამოჭრისთანავე დაწესებულების მენეჯმენტი ახდენს მის დოკუმენტირებას და აკისრებს ვალდებულებას კონკრეტულ პირს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემის გადაჭრა მოიცავს მისი გამომწვევის საფუძვლიან ანალიზს, კორექციულ და პრევენციულ ქმედებებს.

კლინიკა „ენმედიცი“-ს – შეცდომების მართვის პოლიტიკა საზღვრავს შემდეგ მოთხოვნებს:

- შეუსაბამობათა მიმოხილვა (მომხმარებელთა საჩივრების ჩათვლით)
- საჭირო მოქმედებათა შეფასება, რათა შეუსაბამობები აღარ განმეორდეს
- საჭირო კორექციული და პრევენციული ქმედებების განსაზღვრა და განხორციელება
- მიღებული კორექციული და პრევენციული ქმედებების მიმოხილვა
- შეუსაბამობის მოხდენის საპრევენციო ქმედების საჭიროების შეფასება

აუდიტი

კლინიკაში ტარდება შიდა აუდიტი, რათა განისაზღვროს შეესაბამება თუ არა ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001:2008-ისა მოთხოვნებს და არის თუ არა ეფექტურად განხორციელებული და შენარჩუნებული. ხარისხის კომიტეტი განავითარებს აუდიტის გეგმას ყოველწლიურად, სადაც მხედველობაში მიიღება ქმედებების სტატუსი და მნიშვნელობა და აგრეთვე ის სფეროები სადაც უნდა ჩატარდეს აუდიტი, ასევე შედეგები მანამადე ჩატარებული აუდიტის. აუდიტის გეგმის განხილვა ხდება ყოველი ჩატარებული აუდიტის შემდეგ და საჭიროებისამებრ ხდება მისი განახლება. ხდება განსაზღვრა აუდიტის კრიტერიუმების, მიზნის, სიხშირის და მეთოდების. შიდა აუდიტირების პოლიტიკა განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს და მოთხოვნებს აუდიტის ჩასატარებლად, შედეგების ჩასანიშნად და ანგარიშის წარსადგენად. პასუხისმგებელი მენეჯერები ატარებენ დროულ კორექციულ ქმედებებს აუდიტის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად. შემდგომი ქმედებები მოიცავს კორექციული მოქმედებების განხორციელების კონტროლს და კონტროლის შედეგების ანგარიშს.

დაწესებულების ინფორმაციული სისტემის მართვა

როგორც ყველა სხვა თანამედროვე სამედიცინო დაწესებულება, კლინიკა „ენმედიცი“ იყენებს ინფორმაციულ სისტემას კლინიკის ყველა ასპექტში, რაც მოიცავს: პაციენტების რეგისტრირებას (კონსულტაციები/გამოკვლევები), ნიმუშების მიღება, აღება, ანალიზი, შედეგების რეპორტი.

ეთიკა

დაწესებულების მენეჯმენტს აქვს დაფუძნებული პრინციპები და სტანდარტები, რომლითაც შიდა შტატი ხელმძღვანელობს და პრაქტიკაში ახორციელებს მათ მოვალეობებსა და ყოველდღიურ ქმედებებს. მოცემულია შემდეგი ეთიკური წესები პერსონალისთვის:

- სამედიცინო პერსონალმა უნდა შეინარჩუნოს მკაცრი კონფიდენციალურობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
- იყოს პასუხისმგებელი მომსახურების ხარისხისა და სიზუსტის, აგრეთვე ანალიზების, რომლებსაც ისინი აწარმოებენ
- შეინარჩუნონ რეპუტაცია პატიოსნების, ხელშეუხებლობის და სანდოობის
- დაამყარონ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ჯანდაცვის პროფესიონალებთან და კოლეგებთან
- ხელი შეუწყონ საზოგადოების ზოგად კეთილდღეობას




ADVIA Centaur XP

კომპანია მომხმარებელს თავაზობს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას.

ამიტომ ცენტრის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში, სემინარებში, კონფერენციებში სადაც იღებენ ახალ ინფორმაციას და აწვდიან თავიანთ გამოცდილებას კოლეგებს.

2017- 2018 წლებში გარდა ადგილობრივი კონფერენციებისა, ჩვენმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებში:
(გთხოვთ, იხილოთ მცირედი ჩამონათვალი)

2017

1. 6th EASD postgraduate Course on Clinical Diabetes and its Complications, Kiev, Ukraine
2. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its complications, Tbilisi, Georgia
3. Diabetes Mellitus, Master class, Tbilisi, Georgia
4. 3rd EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its Complications Sofia, Bulgaria
5. 2nd EASD Oskar Minkowski Diabetes Clinical Research Course, Kaunas, Lithuania
6. 3rd European Young Endocrine Scientist Meeting, Modena, Italy
7. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its complications, Tashkent, Uzbekistan
8. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its complications, Prague, Czech Republic
9. 51st Annual meeting of the European Association for the Study of Diabetes, Stockholm, Sweden
10. The 5th World Congress on Controversies to Consensus in Diabetes, Obesity and Hypertension, Istanbul, Turkey

2018

1. 18th Congress of European Society for Sexual Medicine, Madrid, Spain
2. ESE Basic Course on Endocrine and Neuroendocrine Cancer, Porto, Portugal
3. World congress on Osteoporosis, Osteoarthritis and Musculoskeletal diseases 2016, Malaga, Spain
4. EASD DF workshop I&K - Certificate of active participation, Portoroz, Slovenia
5. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its Complications Belgrade, Serbia

6. 39th Annual meeting of the European Thyroid Association, Copenhagen, Denmark

ექიმების უმეტესობა არის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ასოციაციის წევრი, მათ შორის:

- საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოება
- საქართველოს ექიმთა ასოციაცია
- European Association for the Study of Diabetes
- European Thyroid Association
- American Association of Clinical Endocrinologists

დაწესებულებამ ჩაატარა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია. მ.შ. დიაბეტის საერთაშორისო დღესთან და ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

პარტნიორები

მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურების გასაწევად და მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით რეგულარულად ხდება ექიმების გადამზადება, ტრენინგები, ცოდნის გაცვლა. ჩვენი პარტნიორია ლონდონის კინგს კოლეჯი. ჩვენი ორიენტირება მომხმარებლებზე იცავს მომხმარებლის კონფიდენციალობას, რასაც ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ემატება. ანგარიშვალდებულება მომხმარებელთა გაზრდილი მნიშვნელობითა და ეკონომიურობით ყველა ჩვენს გადაწყვეტილებაში და საქმიანი პრაქტიკის გამჭვირვალობა ჩვენი საქმიანობის ძირითადი მახასიათებლებია, ხოლო ყველა საქმიანობა და ოპერაცია ხორციელდება უმაღლესი ეთიკის სტანდარტების შესაბამისად, ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციის მკაცრი დაცვით.

ობიექტების მოშორებული მდებარეობის, რისკ ფაქტორების, არახელსაყრელი ამინდის პირობების, სახიფათო სამუშაო გარემოს და სათანადო სამედიცინო დაწესებულებების არარსებობის გამო პროექტის ჯანდაცვის მიზნები ფოკუსირებული უნდა იყოს სამედიცინო მხარდაჭერის უწაკლო და ინტეგრირებული სისტემისა და საევაკუაციო მომსახურების გაწევაზე და მიზნები უნდა იყოს შემდეგი:

- პირველად სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს პროექტის სამუშაო გუნდის პერსონალისთვის ობიექტზე და თბილისში.

- სათანადო სამედიცინო პროვაიდერების ქსელის განვითარება და ორგანიზება მეორადი დახმარების გაწევასთან ერთად, სტაციონარული მკურნალობა/სპეციალისტთან გაგზავნა, ინტეგრირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით.

- ადგილზე ჩატარებულ იქნება სასწრაფო სამედიცინო რეაგირება, რეანიმაცია და

სტაბილიზაცია, სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის სკრინინგი.

- ადგილობრივი სამედიცინო მომსახურება - ადგილობრივ კლინიკებს უნდა შეეძლოთ სწრაფი რეაგირება შემთხვევის ადგილზე და გადაუდებელი/ტრავმატოლოგიური მომსახურების გაწევა. ნებისმიერი დაზარალებული შეიძლება გადაყვანილ იქნას განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში შემდგომი მკურნალობის, სტაბილიზაციისა და სამედიცინო ევაკუაციისთვის.

- სამედიცინო ევაკუაციები - იმ პაციენტებისთვის, რომლებიც სერიოზულად ავად არიან ან სერიოზული ტრავმა აქვთ მიღებული, საჭირო იქნება სათანადო დაწესებულებაში სამედიცინო ევაკუაციის ორგანიზება და კოორდინაცია. ადგილობრივი პერსონალისთვის ეს იქნება **კომპანიის** კლინიკა ან/და შესაფერისი/სასურველი კლინიკა საქართველოში. საერთაშორისო უფლებამოსილი პირებისთვის/ პეროსონალითვის ეს შეიძლება იყოს სამედიცინო ცენტრი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

- საწარმოო ჯანდაცვის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

- სამედიცინო და ჯანდაცვის საკითხებში საკონსულტაციო წვდომა კომპანიის პროექტის სამედიცინო და ჯანდაცვის საკითხებზე რეკომენდაციების, მითითებების მისაღებად და კოორდინაციისთვის, სამედიცინო და გადაუდებელი შემთხვევების მაღალხარისხიანი და დაუყოვნებელი მართვისთვის უშუალოდ შემთხვევის ადგილიდან სათაო ოფისში და პირიქით.

- ფართო სპექტრის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგის პროგრამები -

კომპანიას აქვს რესურსები პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგის პროგრამებით კონტრაქტორის პერსონალის უზრუნველსაყოფად ობიექტებზე და ასევე საკუთარ ობიექტებზე.

საწარმოო ჯანდაცვის მომსახურება

კომპლექსური საწარმოო ჯანდაცვის პროგრამა შემუშავებულ და განხორციელებულ იქნება პროექტისთვის. ეს მოიცავს დასაქმებამდე სამედიცინო შემოწმებებს ობიექტზე და მის მიღმა, პროექტზე სამუშაოდ მოსული მთელი პერსონალის სკრინინგისთვის.

გეგმა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პროცედურებით, კომპანიის მოთხოვნისთანავე:

- დასაქმებისწინა სკრინინგები
- პერიოდული სკრინინგი
- ავადმყოფობის შემდგომი სკრინინგი
- სკრინინგი უცხოეული სპეციალისტების თანამდებობაზე დანიშვნამდე
- რესპირატორული საშუალებების შერჩევა
- მეხანძრეები და საავარიო ბრიგადის წევრები
- ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული შემოწმებები, აუდიტები და კვლევები
- წყლის შემოწმება
- ჯანდაცვის განვითარებისა და განათლების პროგრამები მნიშვნელოვან საკითხებზე (გრიპის პრევენცია, სიცხისა და გაციების პრევენცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, აივ, ჯანმრთელობა და ჰიგიენა, ცოფი, მალარია და ა.შ.)
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება
- პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი
- კომპანიის მოთხოვნისამებრ ტესტირების ჩატარება ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე (დასაქმებისწინა, პერიოდული, ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, სამსახურში დაბრუნებისას, რეაბილიტაციის პერიოდში, 100% უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არაგეგმიური და ა.შ.) "ენმედიცის" თბილისის კლინიკაში და ობიექტებზე არსებულ კლინიკებში.
- იმუნიზაცია /ვაქცინაცია (პროფილაქტიკური და პოსტ-კონტაქტური)
- მოგზაურობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია

თანამშრომლების სკრინინგი უნდა ჩატარდეს ან "ენმედიცის"სამედიცინო დაწესებულებაში თბილისში ან ობიექტებზე არსებულ კლინიკებში, მათ განაწილებამდე. ყველა ანგარიში და შედეგი ეგზავნება პროექტის სამედიცინო მენეჯერს თბილისში განხილვისა და ვარგისიანობის დამოწმებისთვის. მიმდინარე სამედიცინო სკრინინგები ჩატარდება სათანადო სიხშირითა და პოზიციის მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, საკვები მრეწველობის ან საზოგადოებრივი კვების სფეროს მუშაკის სამედიცინო სკრინინგი ყოველ 6 თვეში ჩატარდება. "ენმედიცის" თბილისის კლინიკაში სკრინინგს ატარებს OGUK-ის რეგისტრირებული ექიმი.

სამუშაო გამოცდილება

კომპანიას მასშტაბური პროექტების მხარდაჭერის ფართო გამოცდილება აქვს.

იგი ამჟამად წარმოადგენს ექსკლუზიურ სამედიცინო პროვაიდერს საქართველოში დასავლეთის მიმართულების მილსადენისა და „ბიპის" პროექტების საოპერაციო ფაზისთვის.

რატომ უნდა გვენდოთ ჩვენ?

კომპანია ფლობს:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვებს:

- სტაციონარული დაწესებულების ნებართვას (სანებართვო მოწმობა **N000066**)

ნებართვის დანართებს შემდეგ საქმიანობებში:

- ქირურგიული პროფილის მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003206**)
- სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003207**)
- რეანიმაციული მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003208**)
- ოფთალმოლოგიური პროფილის მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003195**)
- რენტგენოლოგიური მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003196**)
- ორგანოებისა და ქსოვილების აღება, შენახვა, გადანერგვა (სანებართვო მოწმობის დანართი **N003673**)
- ლაბორატორიული მომსახურება კლინიკური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობის დანართი **N004451**)
- ლაბორატორიული მომსახურება ბიოქიმიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობის დანართი **N004452**)
- ლაბორატორიული მომსახურება იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობის დანართი **N004453**)
- ავტორიზებული აფთიაქის ნებართვას (სანებართვო მოწმობა **N000047;**
- მზა წამლის ფორმების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) გაცემა (სანებართვო მოწმობის დანართი **N00237**)
- პათოლოგიური საქმიანობის ლიცენზიაა (სალიცენზიო მოწმობა **N000032**)
- ციტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა (სალიცენზიო მოწმობის დანართი **N 000049**)
- მოლეკულურ- პათოლოგიური დიაგნოსტიკა (სალიცენზიო მოწმობის დანართი **N000050**)
- ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა (სალიცენზიო მოწმობის დანართი **N000048**)
- დიალიზი (სანებართვო მოწმობის დანართი **N005761**)

გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს ლიცენზიას:

- მაიონებელიგამოსხივების გენერატორისსამედიცინო მიზნით გამოყენება (სალიცენზიო მოწმობა **N000223**)

23 წლიანი არსებობის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ინფრასტრუქტურა პაციენტებსა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უკეთესი ზრუნვისთვის. ყველა სამედიცინო მომსახურების გაერთიანება „ერთი ქოლგის ქვეშ“ უფრო მეტ მოქნილობასა და კონტროლს გვანიჭებს შედეგზე.

კომპანიას მინიჭებული აქვს ევროპული აკრედიტაცია და მიღებული აქვს საერთაშორისო „ევროპული ხარისხის ჯილდო.“

კლინიკის JCI აკრედიტაცია განიხილება სამედიცინო მომსახურების ხარისხის დემონსტრირებისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებად. სამედიცინო ცენტრ „ენმედიცი“-ში - აუდიტორთა რამდენიმეკაციანი ჯგუფის მიერ შეფასებული იქნება კლინიკის მიერ წარმოებული საქმიანობის სრული სპექტრი შემდეგი მიმართულებების მიხედვით: პაციენტის უსაფრთხოება, ჯანმრთელობის შეფასებისა და მკურნალობის სქემები, მედიკამენტების მენეჯმენტი, ინფექციების პრევენცია და კონტროლი, ქირურგიული და საანესთეზიო სერვისები, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული სადიაგნოსტიკო სერვისები, საექთნო მოვლა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების უფლებების დაცვა, სამედიცინო ჩანაწერების წარმოება და კომუნიკაცია, სამედიცინო პერსონალის განათლება და კვალიფიკაცია, შენობის ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო ოპერირება, კლინიკური მენეჯმენტის ეფექტურობა.

სამედიცინო ცენტრმა „ენმედიცი“ წარმატებით გაიარა აუდიტი და მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია. შესაბამისად „ენმედიცი “ წარმოადგენს პირველ კლინიკას საქართველოში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ჰოსპიტალური სერვისების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი საერთაშორისო სტანდარტების კრიტერიუმებს.

ჩვენი წინა გამოცდილების თანახმად, "ენმედიცის“ პერსონალს გავლილი აქვს სათანადო ტრენინგი, პრაქტიკა და სათანადო კვალიფიკაცია გააჩნია. პერსონალი იცნობს და გამოცდილია არსებით სტანდარტებში, გაიდლაინებსა თუ მოთხოვნებში.

ენმედიცის “ მთავარ ექიმს - ბატონ კობა ბურნაძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს კლინიკების დაფუძნებასა და მართვაში, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისა და შრომის ჰიგიენის დაცვის მომსახურების განხორციელებასთან ერთად.

"ენმედიცის“ 23 წლიანი გამოცდილება აქვს სამედიცინო მომსახურების გაწევაში

„ენმედიცის“ შეუძლია დაუყოვნებელი და ეფექტური რეაგირება კონტრაქტორის მომსახურების მოთხოვნებზე მორგებისთვის.

ISOS-თან ჩვენი პარტნიორობის შედეგად ყველა საერთაშორისო ევაკუაცია უწაკლოდ განხორციელდა და გარდა ამისა, ეს პარტნიორობა საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ

კომპანია უცხოელი ექიმით მოთხოვნისამებრ და მსოფლიოს მასშტაბით წვდომის წერტილებით პროფესიული სამედიცინო რჩევისა და კონსულტაციისთვის.

2. კომპანიის მენეჯმენტი

o გენერალური დირექტორი

o ადმინისტრაციული დირექტორი

o ფინასური დირექტორი

o სამედიცინო დირექტორი

o ხარისხის მართვის დირექტორი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

- მართებული პოლიტიკის არჩევა, თანმიმდევრული განხორციელება, შედეგების შეფასება
- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობა
- კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესება და ზედამხედველობა

3. განვლილი პერიოდების **კონსოლიდირებული** ფინანსური მაჩვენებლები

ვალუტა ლარი

მოგება-ზარალი

#	დასახელება	2022	2021
1	სამედიცინო შემოსავლები	11319807	10141804
2	საერთო მოგება	4526557	4252663
3	წმინდა მოგება	264883	658707

ბალანსი

	2021	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები	8397532	5821462	5236436
მიმდინარე აქტივები	6247028	6692401	5334426
სულ აქტივები	14644560	12513863	10570862

გრძელვადიანი ვალდებულებებბი	0	0	0
მიმდინარე ვალდებულებები	4523799	4096462	2532314
კაპიტალი	10120761	8417401	8038548
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	14644560	12513863	10570862

სამომავლო გეგმები

4.1 სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

4,2 სამედიცინო სერვისების დანერგვა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება , პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა .ამ შედეგების მისაღწევად მენეჯმენტი ხელმძღვანელობს სპეციალური გეგმით.

კომპანიის ყველა თანამშრომელი მონაწილეობას ღებულობს მიმდინარე და სისტემური ხასიათის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაოებში. ჩვენი ძალისხმევა ფოკუსირებულია უშუალოდ პაციენტისათვის მომსახურების მიწოდების პროცესზე და ხელს შეუწყობს ოპტიმალური შედეგების დადგომასა და ეფექტური ბიზნეს პრაქტიკის დამკვიდრებას. აღნიშნულის აღსრულება ხორციელდება საექსპერტო შეფასებებით, კლინიკური შედეგების განხილვით, შეუსაბამობათა ანალიზით, გაწეული მუშაობის ანალიზით და ხარისხის გაუმჯობესების სხვა შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

კომპანია ერთგულია მიზნის, უზრუნველყოს კომფორტული და უსაფრთხო

გარემოს შექმნა პაციენტების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის, სამედიცინო/ჯანდაცვითი ნაკლოვანებებისა და შეცდომების იდენტიფიკაციის, შეფასების, კონტროლისა და პრევენციის კომპლექსური პროგრამების მეშვეობით, პროცესებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად მთელ ორგანიზაციაში. აღნიშნული მისიის შესასრულებლად, ჩვენს მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების მიზანია, რომ იყოს:

უსაფრთხო

პაციენტების ტრავმატიზმის და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება, სამედიცინო მომსახურებისას

ეფექტური

მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული სერვისების მიწოდება მათთვის ვინც რეალურ სარგებელ მიიღებს და უსარგებლო სერვისებისაგან თავის შეკავება

პაციენტზე ორიენტირებული

პაციენტის ინდივიდუალური პრეფერენციების, საჭიროებებისა და ფასეულობების შესაბამისი მომსახურების გაწევა და უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა კლინიკური გადაწყვეტილების სათავეში იყოს პაციენტის ღირებულებები

დროული

მოცდის დროისა და პოტენციურად საზიანო დაყოვნებების შემცირება

ხარჯთ-ეფექტური

ფუჭი ხარჯების თავიდან აცილება, მათ შორის აღჭურვილობის, მარაგების, იდეებისა და ენერგიის ჩათვლით

თანასწორი

მიწოდებული მომსახურების ხარისხის ვარიაციის დაუშვებლობა, ისეთი პერსონალური მახასიათებლების მიხედვით როგორიცაა სქესი, ეთნიკურობა, გეოგრაფიული მდებარეობა და სოციალურ-ეკონომიური სტატუსი

გეგმა წარმოადგენს ჩვენი კლინიკის ერთგულების დემონსტრირებას მიწოდებული

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისადმი. მკურნალობისა და მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებისადმი. გეგმაში მოცემულია პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიწოდებული სერვისების ოპტიმიზაციისა და პაციენტების მაღალი კმაყოფილების მიღწევის მიზნები და სტრატეგიები.

თავი I. პრინციპები

ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის განხორციელებისას, კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა • ტოპ მენეჯმენტის, მმართველი სამედიცინო რგოლისა და ყველა თანამშრომლის ერთგულება და ჩართულობა მომსახურების საუკეთესო ხარისხის მისაღწევად

ბ • საქმიანობის ფოკუსირება ხარისხის გრძელვადიან და უწყვეტ გაუმჯობესებაზე, რათა გაუმჯობესდეს სისტემები და პროცესები, შემცირდეს რისკები პაციენტებისა და პერსონალისათვის და უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხო გარემო ყველასათვის

გ• სამედიცინო მომსახურების საუკეთესო ხარისხის მიღწევის გეგმა წარმოადგენს ჩვენი მისიის, აღიარებული ფასეულობებისა და დასახული სტრატეგიული მიზნების უტილიზაციას. იგი გულისხმობს სისტემურ მიდგომას შესაძლებლობების რეალიზაციისადმი, რათა მიღწეული იქნეს გაუმჯობესება და გამოსწორდეს შეცდომები, და არა , ვინმე იქნეს დადანაშაულებული.

დ. პაციენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება სამედიცინო მომსახურებისას

მუდმივი სწავლება და წვრთნა ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების სფეროებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კლინიკის მიერ ინიცირებული აქტივობების

ე მხარდაჭერა დროული ტრენინგებით

• პერსონალის საერთო პასუხისმგებლობას მიკუთვნებული ღონისძიებების კოორდინაცია და კომუნიკაცია, რათა პაციენტისთვის გაწეული სერვისების ხარისხის ამაღლების, პაციენტის

ვ უსაფრთხოების, კლიენტთა მომსახურებისა და რესურსების ადექვატური გამოყენების შესაძლებლობების პროაქტიური იდენტიფიკაცია და კვლევა იქნეს უზრუნველყოფილი

ზ• პატივისცემა ყველა თანამშრომლისა და სამედიცინო პერსონალისადმი, მათი ცოდნისა და

წვლილის შეტანისთვის პაციენტის მკურნალობასა და უსაფრთხოებაში.

თ• შეფასება, პროექტის პრიორიტიზაცია და მიზნების ჩამოყალიბება უნდა ეფუძნებოდეს

სათანდო მონაცემებს, ხოლო საჭიროებისას, დაექვემდებაროს სტანდარტიზაციას

თავი II. გეგმის მიზნები

მიზანი 1

• მიღწეული იქნეს ისეთი შედეგები, რომელიც შეესაბამება უმაღლეს ხარისხსა და უსაფრთხოებას, და აკმაყოფილებს ჩვენი კლიენტების გაზრდილ მოლოდინებს

მიზანი 2

• უზრუნველყოფილი იქნეს პროცესების შეფასების, გაუმჯობესებისა და რისკის შემცირების ეფექტიანი და ხარჯთ- ეფეტური მექანიზმების გამოყენება

მიზანი 3

• ხელი შეეწყოს ინტერდისციპლინურ ჯგუფებს, არსებული პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებასა და მყარი უსაფრთხოების მიღწევაში

მიზანი 4

• მხარდაჭერილი იქნეს პროცესები რომლებიც შეესაბამება მარეგულირებელ, სალიცენზო და სააკრედიტაციო მოთხოვნებს.

თავი III. გამოყენების სფერო

სამედიცინო ცენტრი „ენმედიცის“ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს არსებული სისტემების, პროცესებისა და შედეგების მიმდინარე შეფასებას და გაუმჯობესებას, შიდა და გარე ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, იმისათვის, რომ შემცირდეს შეცდომების რაოდენობა და შენარჩუნდეს/გაუმჯებესდეს პაციენტის უსაფრთხოება. გეგმა მოიცავს კლინიკის ყველა დეპარტამენტს, გამონაკლისის გარეშე.

1. დეპარტამენტები/სამსახურები უნდა მონაწილეობდნენ ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც უკავშირდება ხარისხს, რისკის შემცირებას, პაციენტის უსაფრთხოებას, კლიენტის მომსახურებას და რესურსების სათანადო გამოყენებას. ეს მონაწილეობა მოიცავს (თუმცა არ არის შეზღუდული), შემდეგ სფეროებს:

ა) კლინიკური სფერო:

- პაციენტის შეფასება;
- ლაბორატორიული სერვისები;
- რადიოლოგია და გამომსახველობითი სადიაგნოსტიკო სერვისები:
- ქირურგიული პროცედურები;

- ანტიბიოტიკებისა და სხვა მედიკამენტების გამოყენება;
- ანესთეზიისა და სედაციის გამოყენება;
- სისხლისა და სისხლის პროდუქტების გამოყენება;
- სამედიცინო ჩანაწერების ხელმისაწვდომობა, შინაარსი და გამოყენება;
- ინფექციის პრევენცია და კონტროლი, ზედამხედველობა და ანგარიშგება;
- კლინიკური კვლევები.

~ბ) მმართველობითი სფერო:

- პაციენტის მომსახურებისათვის აუცილებელი, რუტინული საჭიროების მასალებისა და მედიკამენტების შესყიდვები;
- წარმოებული საქმიანობის ანგარიშგება კანონმდებლობისა და სარეგულაციო მოთხოვნების მიხედვით:
- რისკის მენეჯმენტი;
- უტილიზაციის მენეჯმენტი;
- პაციენტისა და მისი ოჯახის მოლოდინები და კმაყოფილება;
- თანამშრომელთა მოლოდინები და კმაყოფილება;
- ფინანსური მენეჯმენტი;

გ) JCI – პაციენტის უსაფრთხოების საერთაშორისო მიზნები:

IPSG.1 პაციენტის იდენტიფიკაცია კორექტულად

IPSG.2 კომუნიკაციის ეფექტურობის გაუმჯობესება

IPSG.3 მაღალი რისკის მედიკამენტების უსაფრთხოების გაუმჯობესება

IPSG.4 ქირურგიული ჩარევის ჩატარების უზრუნველყოფა კორექტულ ადგილზე,

კორექტული პროცედურით, კორექტული პაციენტისათვის

IPSG.5 სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების რისკის შემცირება

IPSG.6 პაციენტის დაზიანების რისკის შემცირება წაქცევების შედეგად

2. ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფები

- ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება პროექტის მიზნების მიხედვით.

– ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პროექტი ან ღონისძიება გულისხმობს ცვლილებას

და/ან გაუმჯობესებას ერთ-ერთ პროცესში, სადაც ორი ან მეტი სერვისის გადაიკვეთება;

– რეკონსტრუქციის სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პროექტი ან ღონისძიება მოიცავს კონსტრუქციისა და დიზაინის ცვლილებისა და/ან გაუმჯობესების მრავალ პროცესს, რომლებიც გავლენას ახდენს სერვისსა და ფუნქციონირებაზე.

– კლინიკური გაიდლაინების სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება იმ

შემთხვევებისათვის, როდესაც პროექტი ან ღონისძიება მოიცავს კლინიკური პრაქტიკისა და მომსახურების უწყვეტობის გაუმჯობესებას.

• სამუშაო ჯგუფებისა და მათი შემადგენლობის დამტკიცება ხდება ხარისხის კონტროლის კომიტეტის მიერ.

• სამუშაო ჯგუფის წევრები განისაზღვრება გუნდის ხელმძღვანელის, ფასილიტატორისა

და დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

– გუნდის ხელმძღვანელი – ინიშნება დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ;

– გუნდის წევრები – წარმოადგენენ თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან შესაბამის პროცესებში;

– ფასილიტატორი- საჭიროების შემთხვევაში

თავი IV. პასუხისმგებლობები

ა. „ენმედიცის“-ს კომიტეტები, ხელმძღვანელობა და პერსონალი

1. „ენმედიცის“-ს სამედიცინო კომიტეტს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა

და ენიჭება უფლებამოსილება უზრუნველყოს უსაფრთხო, მაღალი ხარისხის და

ეფექტური მომსახურების მიწოდება, და ასევე, ხელი შეუწყოს ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული, კომპლექსური და ინტეგრირებული გეგმის განხორციელებას მომსახურების საუკეთესო ხარისხის მისაღწევად.

2. „ენმედიცის“-ს ხარისხის კონტროლის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს

საუკეთესო ხარისხის მიღწევის სტრატეგიულ მიმართულებებს, ასევე იღებს ანგარიშებს

და ზედამხედველობას უწევს სისტემის მუშაობის ხარისხსა და რისკის შემცირების ღონისძიებებს.

3. კლინიკის პერსონალი და ლიდერები პასუხისმგებელნი არიან ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებაზე და ყველა პაციენტისთვის ერთნაირი, მაღალი სტანდარტის მომსახურების გაწევაზე.

4. კლინიკის ხელმძღვანელობასთან ერთად, სამედიცინო კომიტეტი უზრუნველყოფს პროგრამულ და ფინანსურ მხარდაჭერას ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების, რისკის შემცირების პრიორიტეტებისა და რეკომენდაციების განხორციელებისათვის.

ბ. კლინიკის ხელმძღვანელობა

1. კლინიკის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს რესურსების გამოყოფას და მხარს უჭერს სისტემების მუშაობას დაგეგმვის, მართვის, კოორდინაციის, მომარაგების, შეფასებისა და უსაფრთხო სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებისთვის, პაციენტებისა და მოსახლეობის ჯანდაცვითი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2. კლინიკის ლიდერები:

ა) ადგენენ მოლოდინებს, განსაზღვრავენ ღონისძიებათა პრიორიტეტიზაციას და მეთვალყურეობას უწევენ მათ განხორციელებას, რათა მიღწეულ იქნას პაციენტის მომსახურებისა და უსაფრთხოების საუკეთესო ხარისხი, ხარისხის კონტროლის კომიტეტისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოფენ ისეთი გარემოს შექმნას, რომ ინდივიდები ყველა დისციპლინიდან და დეპარტამენტიდან ჩართულნი იყვნენ ხარისხის გაუმჯობესების ინტეგრირებულ პროცესში, რომელიც ხასიათდება ეფექტური კომუნიკაციითა და შემოქმედებითი აზროვნებით.

გ) განიხილავენ ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის შემცირების შედეგებს და ითვალისწინებენ სტრატეგიული დაგეგმარებისას;

დ) აყალიბებენ პრიორიტეტებს ორგანიზაციის მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებებისათვის, გაუმჯობესების იმ შესაძლებლობებზე ფოკუსირებით, რომლებსაც ყველაზე დიდ გავლენა აქვს პაციენტის მკურნალობასა და მასზე მზრუნველობაზე, პაციენტის/კლიენტის კმაყოფილებაზე, უსაფრთხოებაზე და რესურსების ეფექტიან და ეფექტურ გამოყენებაზე.

3. კომპანიის ლიდერებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ღონისძიებათა საზომი მიზნობრივი ინდიკატორების საბოლოო შერჩევაზე. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ

კლინიკურ და მმართველობით სფეროში ლიდერები იღებენ გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

- გასაზომი პროცესი, პროცედურა ან შედეგი
- „სამეცნიერო ცოდნის“ ან „მტკიცებულების“ ხელმისაწვდომობა გაზომვის მხარდასაჭერად
- როგორ განხორციელდება გაზომვა
- რამდენად შეესაბამება ინდიკატორები ორგანიზაციის ხარისხის შეფასებისა და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო გეგმას
- როგორი იქნება გაზომვების სიხშირე

გ. სამედიცინო კომიტეტი

1. სამედიცინო კომიტეტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს სრულფასოვანი პროგრამის არსებობა, რომელიც პასუხობს პაციენტების მომსახურებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შესაძლებელი იქნება შეფასდეს განხორციელებული გეგმის ეფექტურობა, და შენარჩუნდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინისადმი ერთგულება.

2. სამედიცინო კომიტეტი მონაწილეობს:

ა) პაციენტის მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების

პრიორიტეტების დასახვაში;

ბ) ექიმებისა და სხვა პერსონალისათვის ანგარიშვალდებულების დაკისრებაში მიღებული შედეგებისათვის;

გ) კლინიკური პრივილეგიების მქონე პირთა მიერ, პაციენტებისათვის მიწოდებული

სერვისების კლინიკური მონიტორინგისა და შეფასების ჩატარებაში;

დ) პაციენტების მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების ამაღლების სხვადასხვა დისციპლინების პროექტებს შორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობაში;

ე) პაციენტების მომსახურების საუკეთესო ხარისხის მიღწევის გეგმის შემუშავებასა და შეფასებაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემების გათვალისწინებით.

3. სამედიცინო კომიტეტი წელიწადში 10-ჯერ მაინც იკრიბება საკითხების განსახილველად;

4. სამედიცინო კომიტეტი იბარებს და ისმენს ხარისხის კონტროლის კომიტეტის ანგარიშს საუკეთესო შედეგების მიღწევის/ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შესრულებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

დ. ხარისხის კონტროლის კომიტეტი

1. ხარისხის კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან კლინიკის ყველა ძირითადი დეპარტამენტის/სამსახურის ლიდერები, ხოლო კომიტეტის მუშაობას უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი.

2. ხარისხის კონტროლის კომიტეტის წევრთა მონაწილეობა სავალდებულოა დაგეგმილი სხდომების არანაკლებ 70%-ში.

3. ხარისხის კონტროლის კომეტეტი განსაზღვრავს და კოორდინაციას უწევს ხარისხის

შეფასების, კლინიკური რისკების შეფასების/შემცირებისა და ორგანიზაციის მასშტაბით ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს. კომიტეტის ფუნქციები მოიცავს:

- საუკეთესო ხარისხის მიღწევისა და პაციენტების უსაფრთხოების გეგმის დამტკიცება

და ხარისხის გაუმჯობესების/პაციენტების უსაფრთხოების პროგრამების ანგარიშგების

განრიგის განსაზღვრა ყოველწლიურად.

- იმ საპროექტო წინადადებების მიღება, განხილვა და დამტკიცება ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს ორგანიზაციის ინიციატივებს ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.

- კომპლექსურ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების გაძლიერება, რაც გაარღმავებს გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს და მხარს დაუჭერს ხარისხის გაუმჯებესებასთან, რისკების შემცირებასთან და პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ინტეგრირებას. კლინიკის ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობა, კონკრეტული ხელმძღვანელი პირის შესარჩევად, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციულ მხარდაჭერას სამუშაო ჯგუფისათვის.

- პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრა გეგმის აღსრულების პროცესში

- ისეთი სისტემების განვითარების და ხელმისაწვდომობის ხელისშეწყობა, რომლებიც გააიოლებენ ხარისხის გაუმჯობესების, უსაფრთხოების და რისკის შემცირების შესახებ მონაცემების შეგროვებას, მართვასა და ანალიზს.

- მარეგულირებელი და აკრედიტაციის მოთხოვნებისა და მომსახურების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების რეკომენდაციების ურთიერთ შესაბამისობის მეთვალყურეობა.

- კლინიკის ძირითადი პერსონალის განათლების ხელისშეწყობა ხარისხის გაუმჯობესების, რისკის შემცირებისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების საკითხებთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობის შესაბამისი დელეგირებით.

- კლინიკის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის ყოველწლიური მიმოხილვის ჩატარება, სამედიცინო მომსახურების ხარისხის, რისკის შემცირებისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ორგანიზაციის ხარისხის ინიციატივების შეფასების მიზნით.

- ორგანიზაციის ხარისხის ინიციატივების განსაზღვრა მომდევნო წლისათვის.

- კლინიკის ხელმძღვანელობისთვის იმ რესურსების მოცულობის რეკომენდება, რომლებიც საჭიროა კლინიკისათვის საუკეთესო ხარისხის მიღწევის გეგმის განსახორციელებლად.

- წელიწადში არანაკლებ 8 საკომიტეტო შეხვედრის ორგანიზება, მათ შორის ანგარიშგებით სამედიცინო კომიტეტისადმი.

- სპეციალური გუნდის/სუბ-კომიტეტის განსაზღვრა, რომელიც მოამზადებს და წარუდგენს კომიტეტს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნული მოიცავს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რომელიც დაკავშირებული იქნება ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებთან, რისკის შემცირების სტრატეგიებთან და პაციენტის უსაფრთხოებასთან.

- კონფიდენციალობის დაცვისა და საექსპერტო შეფასებების ღონისძიებების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- საგანგებო შემთხვევების ანალიზის (Analysis of sentinel events) და/ან გამომწვევი მიზეზების ანალიზის (Root cause analysis) და/ან ჩავარდნების ხასიათისა და შედეგების ანალიზის (Failure Mode Effects Analysis) ანგარიშების წარმოების მეთვალყურეობა და რისკის შემცირების სათანადო სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა.

ე. კლინიკის განყოფილებები/დეპარტამენტები

1. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკების შემცირების შესაძლებლობების მიმდინარე შეფასების წარმოება, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ჩათვლით

2. სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვან ასპექტებთან და/ან ძირითად პროცესებთან დაკავშირებული ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების ღონისძიებების წარმართვა. ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების დადგენილ ღონისძიებებში მონაწილეობა.

3. ხარისხის კონტროლის კომიტეტისათვის ანგარიშების წარდგენა დადგენილი გრაფიკის მიხედვით, მოთხოვნისამებრ.

4. სამედიცინო სერვისების განმსაზღვრელი ჩარჩოს დოკუმენტის წარდგენა, რომელიც მოიცავს ხარისხის გაუმჯობესების შეფასების და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების გეგმის თაობაზე წინადადებებს, თითოეულ სფეროში.

5. შესაძლებლობების მოძიება ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების

ინიციატივებს საპასუხოდ, კოლაბორაციული მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

6. მხარდაჭერის მოპოვება ხარისხის კონტროლის დეპარტამენტისგან, მათ მიერ წარდგენილი

ყველა ხარისხის გაუმჯოებესების, პაციენტის უსაფრთხოების და რისკის შემცირების გეგმებზე, შეფასებებსა და ანგარიშებზე.

7. იდენტიფიცირებული პრობლემის ან შესაძლებლობის სტატუსის შემდგომი მეთვალყურეობა და ანალიზი, გაუმჯობესებისა და პრობლემის გადაჭრის დასადასტურებლად.

8. გამარტივებული კომუნიკაციისა და პაციენტებზე ზრუნვის დეპარტამენტშიდა და დეპარტამენტთაშორისი სერვისების მუდმივი გაუმჯობესების ხელშემწყობი გარემოს შენარჩუნება და განვითარება.

თავი V. ეფექტურობის გაზომვა და შეფასება

1. ეფექტურობის გაზომვა წარმოადგენს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების გეგმის ფარგლებში მიღებული შედეგების რეგულარული შეფასების პროცესს. იგი მოიცავს ისეთი პროცესების, სისტემების და შედეგების იდენტიფიცირებას რომლებიც ინტეგრირებულია სერვისების მიწოდების სისტემასთან, ამ პროცესების, სისტემების და შედეგების ინდიკატორების შერჩევასთან და ამ ინდიკატორებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაანალიზებასთან რეგულარული სიხშირით. უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს ღონისძიებების გატარებას საჭიროების მიხედვით, მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული რეზულტატისა და ეფექტურობის გაზრდის გამოვლენილ შესაძლებლობებზე დაფუძნებით.

2. გაზომვისა და შეფასების მიზანია:

- პროცესების ან შედეგების სტაბილურობის შეფასება, რათა განისაზღვროს არის თუ არა შესაძლებელი არასასურველი ხარისხის ვარიაციისა ან ჩავარდნების გამოსწორება სასურველ დონემდე.
- პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, პროცესების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.
- მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შედეგების შეფასება.
- შეფასება იმისა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეფექტურობის გაზრდის მოლოდინებს ახალდანერგილი ან გაუმჯობესებული პროცესები.

3. გაზომვა და შეფასება მოიცავს:

- გასაზომი პროცესის ან შედეგის შერჩევა, პრიორიტეტულობის მიხედვით.
- შერჩეული გასაზომი პროცესის ან შედეგის შესრულების ინდიკატორების განსაზღვრა და/ან დახვეწა.
- მონაცემების აგრეგაციის უზრუნველყოფა, პროცესის ან შედეგის რაოდენობრივი გაზომვისა და სუმარიზაციისათვის.
- შესრულების შეფასება ამ ინიდიკატორებთან მიმართებაში დაგეგმილი და რეგულარული ინტერვალებით.
- საპასუხო ზომების მიღება, როდესაც ინდიკატორები უჩვენებს, რომ პროცესი არ არის სტაბილური, არ სრულდება მოსალოდნელ დონეზე ან ვერ უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.
- ორგანიზაციის ყველა სტრუქტურისათვის ეფექტურობის შეფასების შედეგად მიღებული აღმოჩენების, დასკვნებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი ინფორმირება.

ა. გაზომვის საჭიროების შეფასება

1. ყოველწლიურად, **კომპანია** ხარისხის კონტროლის კომიტეტის მეშვეობით, განსაზღვრავს პრიორიტეტებს მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, ხარისხის გაუმჯობესების ორგანიზაციული ინიციატივებისა და რისკების შემცირების

პროექტებისათვის და ადგენს იმპლემენტაციის პროცესს. ყოველწლიურად შერჩეული უნდა იქნეს მაღალი რისკის ერთი პროცესი, რისკების პროაქტიური შეფასებისთვის.

2კომპანიის ხელმძღვანელობა, ხარისხის კონტროლის კომიტეტისა და სამედიცინო კომიტეტის მეშვეობით, ახორციელებს ორგანიზაციის ეფექტურობის ინდიკატორების მონაცემთა მონიტორინგს, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის კოორდინირებით. გარდა ამისა, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი ადგენს, გამოავლინა თუ არა მონაცემებმა სასურველი სტატისტიკური ცვლილებები და გადახრები, ან სტატისტიკურად უჩვეულო ტენდენციები და ცდომილებები. უჩვეულო ტენდენციების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია ჩატარდეს გამომწვევი მიზეზების მოკვლევა დადგენილი სქემის მიხედვით და უზრუნველყოფილი იქნეს გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. შესაძლოა, ასევე იქნეს ინიცირებული ღონისძიებები სტატისტიკური გადახრის შუალედის და/ან რაოდენობის გასაუმჯობესებლად. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სფეროები, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, შემუშავდება და ხორციელდება სამოქმედო გეგმა. განხორციელებულ ცვლილებათა წარმატებულობის დასადასტურებლად, საჭიროა განმეორებითი შეფასების ჩატარება. ყოველწლიურად, „ენმედიცის“-ს დეპარტამენტები/სამსახურები განსაზღვრავენ შესაძლებლობებს ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის შემცირებისთვის, ახდენენ მიზნების დასახვას და აყალიბებენ მიდგომებს პაციენტების მომსახურებისა და სერვისების გაუმჯობესებისათვის.

3. ინიციატივების იდენტიფიცირებისას გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი ელემენტები:

- პრობლემური პროცესები/პროცედურები
- ფინანსური შედეგები
- ორგანიზაციული შედეგები
- სენსიტიურობა გამოვლენილი საჭიროებებისადმი
- კავშირი ორგანიზაციის მისიასა და ძირითად სტრატეგიებს შორის

4. **კომპანიის** მიერ ორგანიზაციულ ან სტრუქტურულ დონეზე განხორციელებული შეფასებისას, არსებული ფუნქციების, პროცესების, ან ახალი პროგრამების დიზაინის მოდიფიკაციის/დიზაინის ცვლილების საჭიროებასთან დაკავშირებით, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი:

– ყველა მომხმარებლის საჭიროებანი და უსაფრთხოება: პაციენტის, პერსონალის, ვიზიტორების, სამედიცინო პერსონალის და ა.შ.;

– პროექტის შესაბამისობა **კომპანიის** მისიასთან, ფასეულობებთან და სტრატეგიულ მიზნებთან;

– ძირითად მოთამაშეთა საჭიროებები და მოლოდინები (პაციენტები, პერსონალი და სხვები);

– მოქმედი კლინიკური პრაქტიკის სტანდარტები/მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური გაიდლაინები/ საუკეთესო პრაქტიკა და ცნობილი კრიტერიუმები;

– თავსებადობა რაციონალურ ბიზნეს პრაქტიკასთან;

– პაციენტის უსაფრთხოების და პოტენციური რისკების შესახებ არსებული გარე და შიდა ინფორმაციის ინკორპორირება.

ბ. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

1. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ხორციელდება გარე მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ენმედიცის მიერ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით.

2. შეფასების პროცესი არის სისტემატური, ინტერდისციპლინარული და/ან რამდენიმე დეპარტამენტის მონაწილეობით, საჭიროებისდა მიხედვით.

3. გაზომვის პროცესის დროს შეგროვებული მონაცემები კონვერტირდება ინფორმაციად შეფასების და ანალიზის გზით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ა) სტატისტიკური ინსტრუმენტების და მეთოდების გამოყენება გადახრების შესაფასებლად:

ა.ა) გრაფიკები (პროცესის იდენტიფიკაცია)

ა.ბ) ჩავარდნების ხასიათისა და შედეგების ანალიზი (ბარიერები წარმატების მიღწევაში/კრიტიკული გადახრები);

ბ) ჰისტოგრამები (ვარიაციების გრაფიკული რეზიუმე);

გ) პარეტოს დიაგრამა (საკითხების პრიორიტეტიზაცია)

დ) მოძრაობის სქემა (რეზიუმეს დემონსტრირება და მონაცემთა შედარება)

ე) მონაცემთა აგრეგაცია დროის მიხედვით

ვ) კონტროლის სქემა (გადახრებისა და ტენდენციების იდენტიფიკაცია დროის მიხედვით):

ვ.ა) ზოგადი მიზეზი

ვ.ბ) განსაკუთრებული მიზეზი

ზ) შედარების მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორიენტირად და შესაძლებელია მოიცავდეს:

ზ.ა) საცნობარო მონაცემთა ბაზები

ზ.ბ) მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გაიდლაინები ზ.გ) რელევანტური ლიტერატურა/ საუკეთესო პრაქტიკა

ზ.დ) მიმდინარე შიდა პროცესი/მონაცემები შედეგების შესახებ

გ. ეფექტურობის განმსაზღვრელი ინდიკატორის შერჩევა

ეფექტურობის (ანუ ხარისხის) განმსაზღვრელი ინდიკატორი წარმოადგენს რაოდენობრივ ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა ინფორმაციას კლინიკური პროცესის, სერვისების, ფუნქციების ან შედეგების შესრულების შესახებ. ეფექტურობის ინდიკატორის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- შესაბამისობა ორგანიზაციის მისიისადმი;
- შესაბამისობა მენეჯმენტის ამოცანებისადმი;
- კლინიკური მნიშვნელობა – პასუხობს თუ არა ის კლინიკურად მნიშვნელოვან პროცესს რომელიც არის:
    - მნიშვნელოვანი
    - პრობლემური
    - მაღალი რისკის

დ. ეფექტურობის განმსაზღვრელი ინდიკატორის მახასიათებლები

1. ინდიკატორის გამოყენებადობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

o სამეცნიერო სარწმუნოობა: კავშირი გასაზომ პროცესს, სისტემას, კლინიკურ შედეგსა და ინდიკატორს შორის

o ვალიდურობა: აფასებს თუ არა ინდიკატორი იმას, რისი შეფასებისთვისაცაა გამიზნული

o რესურსების ხელმისაწვდომობა: ინდიკატორის გამოყენებით მიღებული შედეგის კავშირი, გაწეულ დანახარჯებთან და არსებულ ადამიანურ რესურსებთან

o მომხმარებლის არჩევანები: რამდენადაა ინდიკატორით გათვალისწინებული სამომხმარებლო ინტერესებისა და უპირატესობის მინიჭების დონე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფების მიხედვით (მაგ: რელიგიური, ეთნიკური, კულტურული).

- მნიშვნელოვნება: არის თუ არა ინიდიკატორის გამოყენებით მიღებული შედეგი ადვილად გასაგები, ზომავს თუ არა ინდიკატორი ისეთ ცვლადს, რომლის კონტროლსაც ისახავს მიზნად პროგრამა და შესაძლებელია თუ არა ამ ცვლადის მნიშვნელობის ცვლილება, ხარისხის გაუმჯობესების რაციონალური ძალისხმევის შედეგად.

2. ეფექტურობის განზომილებებია:

- პროფესიული კომპეტენცია
- ხელმისაწვდომობა
- შედეგიანობა
- პიროვნებათშორისო დამოკიდებულება
- ეფექტურობა
- უწყვეტობა
- უსაფრთხოება
- კომფორტულობა

თავი VI. ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივა

შერჩეული პროცესების ეფექტურობის გაზომვის, შეფასების და ანალიზის შემდეგ, მოგროვილი ინფორმაცია გამოიყენებული უნდა იქნეს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივის განსახორციელებლად. ინიციატივის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღება კლინიკის პრიორიტეტებზე დაფუძნებით. ინიციატივის მიზანია გააუმჯობესოს არსებული სერვისების ეფექტურობა ანუ ხარისხი, ან საფუძველი დაუდოს ახალი სერვისების შექმნას. აღნიშნულისათვის, "ენმედიცი" გამოიყენებს საყოველთაოდ აღიარებულ მოდელს: Plan-Do-Check-Act (PDCA) - დაგეგმე/განახორციელე/გაანალიზე/იმოქმედე.

- P – Plan - დაგეგმე გაუმჯობესება და მონაცემთა უწყვეტი შეგროვება
- D – Do – განახორციელე გაუმჯობესება და შეაფასე
- C – Check – გაანალიზე შედეგები, რათა შეაფასო გაუმჯობესება
- A – Act – იმოქმედე, რომ შეინარჩუნო მიღწეული და უზრუველყო პროცესის სტაბილურობა

თავი VII. კომუნიკაცია

1. ხარისხის კონტროლის კომიტეტი უზრუნველყოფს ზედამხედველობას და ფუნქციონირებს როგორც დაწესებულებაში ხარისხის შესახებ შეგროვილი მონაცემების ცენტრალური დეპოზიტორიუმი და საინფორმაციო ცენტრი. ხარისხის კონტროლის კომიტეტი თვალყურს ადევნებს მონაცემთა შეგროვების პროცესს, შეისწავლის ტენდენციებს და ახდენს ყველა შესაბამისი ინფორმაციის აგრეგაციას ყველა წყაროდან, რათა მოამზადოს და წარადგინოს ანგარიში ტოპ მენეჯმენტისათვის, სამედიცინო კომიტეტისა და სამედიცინო პერსონალისთვის.

2. ვერტიკალური და ჰორიზონტალური კომუნიკაცია წარმოადგენს ხარისხის/პაციენტის უსაფრთხოების/ რისკის შემცირების პროგრამის აუცილებელ და უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს. "ენმედიცი"-ს ყველა თანამშრომელს აქვს სათანადო ხელშეწყობა (თანამშრომელთა შეხვედრების, კომიტეტის სხდომების, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ხარისხთან დაკავშირებული ტენდენციების ამსახველი გრაფიკებისა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული მასალის სახით) გაეცნოს და გაიზიაროს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას.

თავი VIII. განათლება

"ენმედიცი"-ს მთელს პერსონალს ეკისრება პასუხისმგებლობა და ენიჭება უფლებამოსილება, მიიღოს მონაწილეობა კლინიკის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესების გეგმაში. აღნიშნულის მისაღწევად, განხორციელდება უკლებლივ ყველა თანამშრომლის განათლება ხარისხის გაუმჯობესების გეგმის თაობაზე სამსახურში მიღებისას, საწყისი ორიენტაციის ეტაპზე, ასევე სავალდებულო ტრენინგების ყოველწლიური გრაფიკის მიხედვით. თანამშრომელთა განათლება მოიცავს, ხარისხის გაუმჯობესების გეგმის აღწერილობას, მიზნებს და თითოეული თანამშრომელის მასში მონაწილეობის შესაძლებლობებს, მათი სამუშაო პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, ასევე, "ენმედიცი"-ს მიერ გამოყენებული ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიების სწავლებას.

თავი IX. შეფასება

1. ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების გეგმის შესრულების შეფასება უნდა განხორციელდეს ყოველი შესაბამისი კალენდარული წლის ბოლოს. ყოველწლიური

შეფასება სრულდება კლინიკის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის მიერ და ინახება ფაილის სახით (როგორც ელექტრონულად, ასევე ნაბეჭდი), ხარისხის გაუმჯობესების გეგმასთან ერთად.

2. შეფასება აჯამებს კლინიკის ხარისხის გაუმჯობესების გეგმის მიზნებს და ამოცანებს, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, რომლებიც გასული წლის მანძილზე გატარდა, რაც ასევე მოიცავს სამიზნე პროცესს, სისტემებს და შედეგებს, გამოყენებულ ეფექტურობის ინდიკატორებს, გაზომვის შედეგად მიღებულ მაჩვენებლებს, აგრეგირებულ მონაცემებს, შეფასებას და ანალიზის პროცესებს, და მათზე დაფუძნებულ ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივებს. ანუ, მოიცავს:

- წლიურ მიზნებთან/ამოცანებთან მიმართებაში პროგრესის შეჯამება
- თითოეულ მიზანს, თან უნდა დაერთოს მოკლე შემაჯამებელი ტექსტი მიღწეული პროგრესის შესახებს, მათ შორის ტრენინგების მიზან(ებ)თან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის თაობაზე.
- მოკლე შემაჯამებელი ტექსტი, წლის განმავლობაში გამოყენებულ თითოეულ ინდიკატორზე მიღებული მაჩვენებლების შესახებ. შეჯამება უნდა მოიცავდეს, როგორც გაზომვის პროცესის შედეგებს, ასევე მიღებული შედეგების საპასუხო დასკვნებსა და გატარებულ ღონისძიებებს. შეჯამებული უნდა იქნეს კლინიკის პროგრესი ხარისხის ინიციატივებთან მიმართებაში. თითოეულ ინიციატივაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მოკლე აღწერილობა გატარებული ღონისძიებების შესახებ, ინდიკატორების მიხედვით მიღებული შედეგების ჩათვლით. ასევე, ინფორმაცია შემდგომი ნაბიჯების შესახებ, მიღწეული შედეგების შენარჩუნების ღონისძიებები, სადაც მოცემული იქნება რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესების პროცესთან, გასატარებელი ღონისძიებების შედეგებთან და სისტემებთან დაკავშირებით მომავალი წლისათვის.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის თანმიმდევრული განხორციელება გამოიწვევს კმაყოფილი პაციენტის რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდას, რაც, ვიმედოვნებთ, დადებითად აისახება კლინიკის რეპუტაციაზე და შესაბამისად ფინანსურ მაჩვენებლებზე.

4,2 სამედიცინო სერვისების დანერგვა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით

კომანიამ უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების შესაძენად **და მატერიალური ბაზის გასაფართოვებლად** 2022 წლის განმავლობაში განახორციელა 1 595 943 ლარის ინვეტიცია. შვილობილი კომპანია შპს ეიბისი-ში, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს სამედიცინო კლინიკებისათვის პროგრამული უზრუნველყოფა 2022 წელს არ ამოქმედებულა შეაბამისად აქტივობაც არ განუხორციელებია.

2022 წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა ახალ პროექტზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ახალი შენობის აშენებას კლინიკისათვის. ასევე დაიგეგმა ახალი ფილიალის გახსნაც თბილისში დიღმის მასივში.

5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას ამ ეტაპზე აქვს 3 ფილიალი – ბათუმის ენმედიცი და ვაკის (თბილისი) ენმედიცი.


სურათები ბათუმის ფილიალის



სურათები ვაკის ფილიალის



დიღმის ფილიალი



დიდი დიღმის ფილიალი



6. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, ფულადი ნაკადების, ფინანსური რისკების განსაზღვრა და მართვა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება მასზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

გენერალური დირექტორი

ფინასური დირექტორი

ხარისხის მართვის დირექტორი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი " ენმედიცი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ქ. თბილისი

2023 წელი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 10

მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება 11

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 12

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 13

1. იურიდიული სტატუსი და ზოგადი ინფორმაცია 14

2, მომზადების საფუძვლები 15

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა 15

2.2 შეფასების საფუძვლები 15

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 15

4. ტერმინების განმარტებები: 16

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 19

ძირითადი საშუალებები 20

ძირითადი საშუალებების აღიარება და.შეფასება 20

აღიარების შეწყვეტა 21

არამატერიალური აქტივები 22

აღიარება და შეფასება 22

ამორტიზაცია 22

აღიარების შეწყვეტა 22

აქტივების გაუფასურება 23

იჯარა 23

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 24

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 24

სავაჭრო ვალდებულებები 25

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები 25

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები 25

დაბეგვრა 25

ამონაგების აღიარება 26

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი 27

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 28

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი 28

აქტივები 28

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა 30

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა 30

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი 30

მნიშველოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 30

ანგარიშგების მომზადების საფუძველი 30

კაპიტალი 33

ფული და ფულის ექვივალენტები 33

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები 33

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასებების ძირითადი საფუძვლები 34

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 38

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები 44

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები 48

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 49

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი ენდემეცის“ (შემდგომში - „კომპანია“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის ფინანსურ ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ შემუშავებული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი“ რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ პუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშგებაზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებისა და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ჩვენი, როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

ასევე ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისატვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („მსს ფასს“).

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონიერების უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანაგრიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთნ, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომრლიც მოიცავს ჩვენს აუდიტორის დასკვნას (მოსაზრებას).

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ - ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებასა და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითად უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოლინდება თაღლითბით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორლ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ,

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით. თუ დავასკვნით რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებუებებს. თუმცა, ამის შემდგომშ მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებსა და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს გარანტის სახელით

მმართველი პარტნიორი: ნათელა ჭიაბერაშვილი

05 სექტემბერი 2023 წელი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	2022	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	8319702	5743632	5158606
არამატერიალური აქტივები	5			
გრძელვადიანი ინვესტიციები	10	77830	77830	77830
სულ გრძელვადიანი აქტივები		8397532	5821462	5236436
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	1645230	3628304	3153951
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	673524	1013838	564948
მარაგები	8	1300785	1394339	1251773
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		1265611	519119	279433
წინასწარ გადახდილი გადასახადები		231728	91422	27548
გაცემული სესხები	11.1	1130150	45379	56773
სულ მოკლევადიანი აქტივები		**6247028**	**6692401**	**5334426**
სულ აქტივები		14644560	12513863	10570862
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-1375378	-13064	-13064
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		-8421275	-8080229	-7701376
გადაფასების რეზერვი		-324108	-324108	-324108
სულ კაპიტალი		**-10120761**	**-8417401**	**-8038548**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	-4523799	-4096462	-2532314
საგადასახადო ვალდებულებები				0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-4523799	-4096462	-2532314
სულ ვალდებულებები		-4523799	-4096462	-2532314
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**-14644560**	**-12513863**	**-10570862**

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11
მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	-11519457	-10513717
თვითღირებულება	13	6992900	6261054
საერთო მოგება		-4526557	-4252663
სხვა შემოსავლები	12	-59271	0
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	3677780	3150595
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	132478	146556
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		**-775570**	**-955512**
ფინანსური შემოსავალი		-54306	-135514
ფინანსური ხარჯი	17		
წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი		564993	432319
მოგება დაბეგვრამდე		**-264883**	**-658707**
მოგების გადასახადი	18	0	0
წმინდა მოგება		**-264883**	**-658707**
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		**-264883**	**-658707**

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	**-13064**	**-324108**	**-7859299**	**-8196471**
წმინდა მოგება			157923	157923
სხვა სრული შემოსავალი				0
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის 31/12/2020	-13064	-324108	-7701376	-8038548
მოგება/ზარალი			-658707	-658707
სხვა სრული შემოსავალი	0	0		0
პერიოდის სრული შემოსავალი	**0**	**0**	**-658707**	**-658707**
დივიდენდის გამოცხადება			187048	187048
სხვა			92806	92806
2021 წლის 31 დეკემბერი	**-13064**	**-324108**	**-8080229**	**-8417401**
წმინდა მოგება			-264883	-264883
სხვა სრული შემოსავალი	0			
პერიოდის სრული შემოსავალი	**0**	**0**	**-264883**	**-264883**
დივიდენდის გამოცხადება			157466	157466
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-1362314		-233629	-1595943
2022 წლის 31 დეკემბერი	**-1375378**	**-324108**	**-8421275**	**-10120761**

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნ	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპარაციო საქმიანობიდან			
წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა		2128178	2613905
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-3953786	-1952504
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4,/5	-157466	-187048
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	18	-1983074	474353
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	15	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	15	3628304	3153951
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1645230	3628304

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

მთავარი ბუღალტერი ზურაბ ბიბილაშვილი

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

1. იურიდიული სტატუსი და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია მეტაბოლოგია დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“ (ს/კ 206047400) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსებულია 1996 წლის 30 ივლისს. კომპანიის მთავარი საქმიანობის სფერო არის სამედიცინო მომსახურება. ასევე ფარმაცევტული საქმიანობა, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინანდლის ქ #9/11, სათაო ოფისი განთავსებულია იურიდიულ მისამართზე. ასევე კომპანია ფლობს 3 ფილიალს შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, არაყიშვილის ქ. #2 და ქ. ბათუმი,ჯავახიშვილის ქ.#3ა. 2022 წელს გავიხსნა ახალი ფილიალი თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას 38ა.

კომპანია წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ენდოკრინოლოგიურ პროფილზე. გარდა ამისა ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებებს: სტაციონარული მომსახურება, ქირურგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია, პედიატრიული, გადაუდებელი, რადიოლოგოია, ლაბორატორიული და სხვა მომსახურება.

2022 წელში კომპანია მოემსახურა 89280 პაციენტს.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია კობა ბურნაძე;

კომპანიის დირექტორია კობა ბურნაძე.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 01 იანვრისათვის და 31 დეკემრისათვის შეადგენს შესაბამისად 13064 ლარს და 1 375378 ლარს.

კომპანიაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო საშუალოდ 318 თანამშრომელი, ხოლო 2021 წელს საშუალოდ დასაქმებული იყო 294 თანამშრომელი

მფლობელებს შორის წილები განაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კობა ბურნაძე 01030008738	100%	100%
სულ	100%	100%

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
2021 წელში კლინიკამ შეიძინა შპს „ეიბისი“-ს წილის 80% -ი, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს სამედიცინო კლინიკებისათვის პროგრამული უზრუნველყოფა. ამავე წელს დაიგეგმა ახალი ფილიალის გახსნა თბილისში დიღმის მასივში. განვლილ პერიოდში შპს ეიბისი- შეძენილი კომპანიის მიერ აქტივობა არ დაფიქსირებულა.

2, მომზადების საფუძვლები

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (მსს ფასს)

2.2 შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ერთ ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მეხუთე შენიშვნაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

4. ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება- არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება - არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება - არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება - არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს,

მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება - არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები - კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები -ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები -ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა -კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები -ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა -კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა - ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდისატვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას მომავალ პერიოდში.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში., როდესაც შეფასება იქნა გადახედილი.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება და.შეფასება

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ქონების დასახელება	მოსალოდნელი სავარაუდო მომსახურების ხანგრძლივობა
1	2
შენობა და კომერციული ფართები	20-50 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი- და სხვა ინვენტარი	5 -7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შეკეთება განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათ ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება იმ წლის მოგება - ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებისთვის განსაზღვრული

სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ლიცენზიები 5 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა განსხვავების შედგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას, თუ შეფასებული ანაზრაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზრაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს , თუ სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განსაზღვრულია იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხებათ ცვეთა და ისე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებისა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება სპეციფიკური იდენთიფიკაციის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაიანგარიშება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე გადასახადისაგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს,

რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა;
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა;
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;;
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება;
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები.

გადასახადები გარდა მოგებისა, აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომხმარებელს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების ოდენობა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს ან სავარაუდოა, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის. ჯანდაცვის შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებს სამართლიანი ღირებულებებით, ჯანდაცვის შემოსავლები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
შემოსავალი კერძო პაციენტებისგან - კომპანია აღიარებს არადაზღვეული პირების შემოსავალს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის დამტკიცებული ფასების საფუძველზე. ჩვეულებრივ, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით. გაწეული მომსახურება აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

შემოსავლები იურიდიული პირებისგან - კომპანია აღიარებს შემოსავალს ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისას დადებული კონტრაქტის საფუძველზე, ანგარიშსწორება ხდება გარკვეული პერიოდულობით, რომელიც არის ხელშეკრულებით დამტკიცებული.

შემოსავლები სადაზღვეო კომპანიებისაგან - კომპანია აღიარებს ფიზიკურ პირთა შემოსავალს, რომლებიც დაზღვეულია სახვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების საფუძველზე და შეთანხმებულ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

შემოსავლები სახელმწიფო სტრუქტურებისგან - კომპანია აღიარებს იმ პირთა შემოსავალს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების შევსების საფუძველზე და შეთანხმებულ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან. აღნიშნული სამედიცინო დანახარჯები მოიცავს სამედიცინო პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, მასალებს, მარაგების, კომუნალურ და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.702	2.8844
კურსი 20221 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.504

მნიშველოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11
იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

- ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები.

2022 წლის 1 იანვრიდან სასამართლოში განიხილებოდა სამი საქმე შემდეგ მხარეებთან:რომელიც ერთი მორიგებით დასრულდა.ერთი საქმე წაგებული იქნა და ერთი განხილვის პროცესშია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანისა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მუხლი შედგება: დამფუძნებლის მიერ ფულადი შენატანებისგან, 2011 წლიდან მოყოლებული დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან და 2011 წელში შენობის გადაფასებით მიღებული რეზერვისგან. კომპანია მიღებულ მოგებას ძირითადად იყენებს რეინვესტირებისთვის. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. 2022 წელს შპს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1 362314 ლარით კომპანიის მიერ ქ. თბილისი მეფე მირიანის ქ 15-ში შესყიდული კომერციული ფართის ღირებულებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო და სხვა მოკვლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოყვანილი მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქცია თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახული ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლით კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასებების ძირითადი საფუძვლები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ისტორიული ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვივალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულები გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას და განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომელებისთის რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებელს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსებების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველ აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადასახადის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური სპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამარლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შეიძლება იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად („ზარალის შემთხვევები“), რომლებიც მოხვდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზეადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლის მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივიების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირბელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებიშიც არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რევიზიის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახვას ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე - აგმვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად - განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან - საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა – 4

ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა–ნაგებობები	მანქანა–დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	ჯამი
2021 ლის ბოლოს მდგომარეობით	**5013506**	**7558350**	**688363**	**154836**	**1025245**	**0**	**14440300**
შესყიდვა	2879736	1111142	49713	228018	60047	0	4328656
გასვლა	499480	79167		318298	3776		900721
გაუფასურება						0	0
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							0
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	**7393762**	**8590325**	**738076**	**64556**	**1081516**	**0**	**17868235**
დაგროვილი ცვეთა							0
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-1383245**	**-5906993**	**-505426**	**-136102**	**-764902**	**0**	**-8696668**
ცვეთის ხარჯი	-137053	-716557	-70936	-10896	-103480		-1038922
გასული აქტივის დაგროვ. ცვეთა		76667		110390			187057
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-1520298**	**-6546883**	**-576362**	**-36608**	**-868382**	**0**	**-9548533**
საბალანსო ღირებულება							0
2021 წლის ბოლოს	**3630261**	**1651357**	**182937**	**18734**	**260343**	**0**	**5743632**
2022 წლის ბოლოს	**5873464**	**2043442**	**161714**	**27948**	**213134**	**0**	**8319702**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა – 5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2021 წლის ბოლოს			21859	21859
შემოსვლა			0	0
გასვლა			0	0
2022 წლის ბოლოს	0	0	21859	21859
დაგროვილი ამორტიზაცია				0
2021 წლის ბოლოს			21859	21859
2022 წლის ბოლოს	0	0	21859	21859
საბალანსო ღირებულება				0
2021 წლის ბოლოს	0	0	0	0
2022 წლის ბოლოს	0	0	0	0

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არის სრულად ამორტიზირებული არამატერიალური საშუალებები.

შენიშვნა – 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	25130	19452
ფული საბანკო ანგარიშებზე	1620100	3608852
	1645230	3628304

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა – 7 სავაჭრო და სხვა მკლევადიანი მოთხოვნები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	673524	1013544
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	0	0
მოთხოვნები საქარმოს პერსონალის მიმართ	0	294
	673524	1013838

შენიშვნა – 8 მარაგები

ლარში	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია		
ნედლეული	369340	327442
დაუმთავრებელი წარმოება		
საქონელი	368	375
სხვა მარაგები	931077	1066522
	1300785	1394339

შენიშვნა– 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	-4515776	-4096462
მიღებული ავანსები	-6816	0
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		
სხვა ვალდებულებები	-1207	
	-4523799	-4096462

შენიშვნა – 10

	31.12.2022	31.12.2021
რეალური ღირებულება 01/01/2022	77830	
მოგება/ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან	0	77830
რეალური ღირებულება 31/12/2022	77830	77830

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა 11.1

ლარში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2022	31.12.2021
ბანკის სესხები	0	0	0	0
დაკავშირებული მხარეების სესხ	1130150	45379		
ოვერდრაფტები	0	0		
სულ სესხები	1130150	45379	0	0

შენიშვნა – 12 ამონაგები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	-11319807	-10141804
იჯარა და დღგ–ით დასაბეგრი ოპერაციები	-5286	-27355
სხვა საოპარაციო შემოსავლები (აფთიაქი)	-194364	-344558
	-11519457	-10513717

შენიშვნა – 13 თვითღირებულება

ლარში	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქციის თვითღირებულება		
საქონლის თვითღირებულება	395775	190601
მომსახურების თვითღირებულება	6597125	6070453
	6992900	6261054

შენიშვნა – 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
სარეკლამო ხარჯი	132478	133444
საწვავის ხარჯი		
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი		
რეალიზაციის ხარჯი		13112
	132478	*146556*

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა - 15 სხვა ხარჯები

	31.12.2022	31.12.2021
დებიტორული დავალიანებების რეზერვი	0	0
მარაგების გაუფასურება	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი/კანონმდებლობის თანახმად	0	0
ქონების გადასახადი	0	0
	0	**0**

13/1-გაწეული მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
პირდაპირი მასალები	842613	1245478
შრომის ანაზღაურება	3835114	3252934
კომუნალური ხარჯი	172478	
ცვეთა და ამორტიზაცია	839904	828060
დამხმარე მასალები	665488	0
რემონტის ხარჯი	543763	389913
სხვა ხარჯი	93540	544669
	6992900	6261054

შენიშვნა – 17 ფინანსური ხარჯი

ლარი	31.12.2022	31.12.2021
ბანკის სესხის პროცენტი	0	0
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		
სხვა ფინანსური ხარჯები	0	0

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი
წინანდლის ქ. 9/11

შენიშვნა – 16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება	2 812 332.00	2 308 528.00
ცვეთა და ამორტიზაცია	199 018.00	194 595.00
დაზღვევის ხარჯი	972.00	1 468.00
საგადასახადო ხარჯი	10 482.00	842.00
საკონსულტაციო ხარჯი	6 000.00	35 164.00
საკანცელარიო ხარჯი	40 672.00	-
ბანკის მომსახურება	9 430.00	9 323.00
წარმომადგენლობითი ხარჯები	34 138.00	15 975.00
იჯარის ხარჯი	86 659.00	68 113.00
მივლინების ხარჯები	55 986.00	69 624.00
კომუნიკაციის ხარჯები	18 734.00	15 858.00
კომუნალური ხარჯები	19 164.00	178 410.00
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	384 193.00	252 695.00
სულ	**3 677 780.00**	**3 150 595.00**

მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ლარი	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე მოგების ხარჯი	0	0
	0	0

კომპანიამ 2022 წელს გაანაწილა დივიდენდი 157 466 ლარი, რომელიც არ დაიბეგრა მოგების გადასახადით, ვინაიდან გასანაწილებელი მოგება იყო მიღებული 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდის და სუბიექტის მიერ გამოყენებულია სსკ-ის 309-ე მუხლის 92-93[2] პუნქტით განსაზღვრული შეღავათი.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტის მათვარი მიზანია დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

სხვა ბიზნესის მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკი და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სესხები	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	4 523 799.00	4 096 462.00
	4 523 799.00	4 096 462.00

ფინანსური აქტივები

2022 წლის დასაწყისში	მოკლევადიანი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები
	4 687 521.00	
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3 628 304.00	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 013 838.00	0
გაცემული სესხები	45 379.00	0
2022 წლის ბოლოს	**3 448 904.00**	**0**
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1 645 230.00	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	673 524.00	0
გაცემული სესხები	1 130 150.00	0
აქტივების ზრდის ეფექტი	(1 238 617.00)	0

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უთარდება გამოკითხვა სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მომსახურების პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რადგან სესხი სრულად აქვს დაფარული.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	სულ	ლარი	დოლარი	ევრო	GBP	GHF	რუბლი
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	1645230	377829	1267401	0	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	673525	673525					
გაცემული სესხები		1130150	1130150					
სულ ფინანსური აქტივები		3448905	2181504	1267401	0	0	0	0

კომპანიაში საჭიროების მიხედვით ხორციელდება საგარეო-ეკკონომიკური საქმიანობა და ვაჭრობა უცხოური ვალუტით. არსებითია დადგინდეს რა გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე სავალუტო კურსის ცვლილებებს. განიხილავენ სავალუტო რისკის შემდეგ ტიპებს:

- საოპერაციო რისკი;
- ეკონომიკური რისკი.

საოპერაციო რისკი არის ოპერაციის ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღებს შორის პერიოდში ვალუტის კურსის ცვლილების რისკი,საოპერაციო რისკი არის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი- მოგება ან ზარალი. კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს რისკის მინიმუმამდე შემცირება ანუ ჰეჯირება თუ საქმე ეხება:

- მნიშვნელოვან მოცულობას; დროის მნიშვნელოვან პერიოდს; მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ სავალუტო კურსი მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ეკონიმიკური რისკი არის სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების გამო, საქმიანობის ღირებულების ცვალებადობა, ეს არის საოპერაციო რისკის გრძელვადიანი ვერსია.

ეკონიმიკური რისკის საფრთხის წინაშე კომპანია შეიძლება ორი-პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღმოჩნდეს:

პირდაპირი გზა გულისხმობს, რომ ადგილობრივი ვალუტის გამყარების შემთხვევაში , უცხოელ კონკურენტებს შეეძლებად გაყიდვების გაზრდა .

სავალუტო რისკის საფრთხე შემოისაზღვრება მხოლოდ ანგარიშზე არსებული წმინდა ნაშთით.

ამრიგად სავალუტო რისკი წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ერთი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მეორესთან მიმართებაში. მიზანშეწონილია საწარმომ ჩამოაყალიოს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის იდენთიფიცირებას, მისი გამომწვევი მიზეზის დადგენას, რისკის გაზომვის , კონტროლირებისა და მისი გავლენის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანას.

სავალუტე რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიაროზის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

	აშშ დოლარის ცვლილების გავლენა 20%-ით გაუფასურების შემთხვევაში			აშშ დოლარის ცვლილების გავლენა 20%-ით გამყარების შემთხვევაში		
მოგება/ზარალი			-390883			-586334
მოგება/ზარალ	469060	390883	78177	469060	586334	-117274

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს. 2022 წელს კომპანიამ ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მიიღო 564993 ლარი ზარალი (781504-216511).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულება არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებტან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ემოსვლა შესაძლებელია კომპანიაში, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასტან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა ცვლილებას.

ანარიცხები წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულეება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე

შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია,
მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ს/ნ 206047400 მის. ქ. თბილისი წინანდლის ქ. 9/11

დავალიანებას,, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წელს კომპანია გეგმავს ახალი ფილიალის გახსნას ქ. თბილისში.

ასევე ფართოვდება სათაო ფილიალის შენობა და სერვისების არეალი (თბილისი, წინანდლის ქუჩა).

შპს ვ.ივერიელის სახ. ენდოკრინოლოგია-
მეტაბოლოგია- დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში აუდიტორის წერილთან ერთად



V. Iverieli Endocrinology, Metabology, Dietology center "E N M E D I C"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდულის პასუხისმგებლობის საზოგადოება ვ. ივერიელის სახ. ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი „ ენმედიცი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიში მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 06 სექტემბერს :

გენერალური დირექტორი კობა ბურნაძე

ფინანსური დირექტორი ზურაბ ბიბილაშვილი

1. კომპანიის დამფუძნებლები

- კობა ბურნაძე -წილი-100%

ძირითადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ცენტრი „ენმედიცი“ დაარსდა 1999 წელს, ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიური განყოფილების ბაზაზე. თანდათან ცენტრის სამედიცინო მომსახურება გაფართოვდა სხვადასხვა კლინიკური დარგების მიმართულებით. ამჟამად დაწესებულება შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

- ამბულატორიული დეპარტამენტი
  - ენდოკრინოლოგიური განყოფილება
  - ექიმი სპეციალისტები
  - დიაგნოსტიკური განყოფილება
  - ვაკის ენმედიცი
  - ბათუმის ენმედიცი

- სტაციონარული დეპარტამენტი
  - ენდოკრინოლოგიური სტაციონარი
  - ქირურგია:
    - ენდოკრინოლოგიური ქირურგია
    - მუცლის ღრუს ქირურგია
    - გინეკოლოგიური ქირურგია
    - მამოლოგია
  - ოფთალმოქირურგია
  - რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია

- ლაბორატორია
  - კლინიკური ლაბორატორია
  - მორფოლოგიური ლაბორატორია
  - ლაბორატორიის ფილიალები
  - კურიერული მომსახურება

- ადმინისტრაცია
  - ბუღალტერია
  - იურისტ(ებ)ი
  - საწყობი (ლაბორატორიის მიმართულება/ლოჯისტიკა - გამგე, მენეჯერი)
  - სამეურნეო ნაწილი (უფროსი, დაქირავებული მუშაკები საჭიროებისამებრ)
  - კადრების მენეჯერი/HR

- კვების ბლოკი

- მენეჯერები
  - რეგისტრატურის მენეჯერი
  - შესყიდვების მენეჯერი
  - დაზღვევასთან ურთიერთობის მენეჯერი
  - სახელმწიფო პროგრამების მენეჯერი

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
  - სოციალური ქსელების მენეჯერი
  - პრესასა და ტელევიზიასთან ურთიერთობის მენეჯერი
  - ცხელი ხაზი (ქოლ-ცენტრი)

- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
  - თსსუ რეზიდენტურის მიმართულება
  - უმცროსი ექიმების მიმართულება
  - უსგ/უპგ პროგრამების მიმართულება
  - სამეცნიერო კონფერენციები
  - კლინიკური კვლევები

კომპანია წარმოადგენს ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ მრავალპროფილურ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას, სადაც შესაძლებელია ამბულატორიული მომსახურებისა და ლაბორატორიული კვლევების სრული სპექტრის მიღება.

კომპანიის ულტრათანამედროვე დიაგნოსტიკური ლაბორატორია დაკომპლექტებულია ბოლო თაობის ანალიზატორებით. გამოკვლევების სრული ავტომატიზაცია, კომპიუტერული მართვა, ყველა ტექნოლოგიური პროცესისა და გამოკვლევების უნიკალური მეთოდიკები, უმაღლესი პროფესიონალიზმის კადრები, უზრუნველყოფს შედეგების მაღალ ხარისხსა და სიზუსტეს.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში შექმნილია სამედიცინო მომსახურების და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების კომიტეტი (შემდგომში ხარისხის მართვის კომიტეტი), რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის ყოველდღიური მუშაობა კლინიკაში.

აღნიშნული სახელძღვანელო დეტალურად ასახავს მოთხოვნებსა და პოლიტიკას კონკრეტული დაწესებულებისათვის, რომელიც მიმართულია მომხმარებლის სრული კმაყოფილების მისაღწევად და ექვემდებარება მომხმარებლისა და ISO 9001:2008-ის მოთხოვნებს.

დაწესებულებამ დანერგა და გაითავისა ბიზნეს პროცესის სქემა, რომელიც დაფუძნებულია ხარისხის მართვის სისტემაზე ISO 9001:2008.

კომპანია აკ.ვ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია,დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები, მოწყობილობები და პერსონალი სათანადოდ ლიცენზირებული და სერტიფიცირებულია. პირველ რიგში, „ენმედიცი“ აკმაყოფილებს ყველა სამედიცინო და იურიდიულ მოთხოვნას, რომელიც დადგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

დაწესებულების ისტორია

ცენტრი აკადემიკოს ვაჟა ივერიელის (ლეკიშვილის) სახელს ატარებს. მის სახელთანაა დაკავშირებული კლინიკის ისტორიაც. იგი ჩამოყალიბდა თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ერთ-ერთი განყოფილების ბაზაზე, სადაც დიდი მეცნიერის, პედაგოგისა და კლინიცისტის, ვაჟა ივერიელის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კლინიკურ ენდოკრინოლოგიას ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში. 60-იანი წლების ბოლოს განყოფილებაში ფუნქციონირებას იწყებს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრა, რამდენიმე წელიწადში ამავე ბაზაზე გაიხსნა საქართველოში პირველი ენდოკრინოლოგიური განყოფილება, რომელიც შემდგომში საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში პირველ დამოუკიდებელ ენდოკრინოლოგიურ კლინიკად ჩამოყალიბდა. შემდგომი წლების განმავლობაში კლინიკის ბაზაზე თბილისის სამედიცინო აკადემიის ორი კათედრა ფუნქციონირებდა: ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის კათედრა აკადემიკოს ივერიელის ხელმძღვანელობით და ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების ენდოკრინოლოგიის კათედრა პროფესორ დავით მეტრეველის ხელმძღვანელობით. კლინიკა დღესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზას წარმოადგენს, სადაც მიმდინარეობს დიპლომისშემდგომი მზადება სხვადასხვა საექიმო სპეციალობაში.

კომპანია რეგისტრირებულია 1999 წლის 11 აგვოისტოს დღეს ცენტრი წარმოადგენს ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ მრავალპროფილურ დაწესებულებას ამბულატორიული და სტაციონარული სერვისებით, მძლავრი ლაბორატორიით.

კომპანიას ყავს შვილობილი საწარმო სადაც წილის 80%-ს ფლობს. 2022 წელს შვილობილ კომპანიას საქმიანობა არ განხორციელებულა.

ხარისხი

კლინიკა „ენმედიცი“-ს მუშაობა ეფუძნება ხარისხის პოლიტიკას, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს, რომ ჩვენი მომსახურება და პროდუქტები სრულად შეესაბამებოდეს

მომხმარებლის მოთხოვნებს, როგორც ხარისხის, ისე ფასის მიხედვით. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ პაციენტის კმაყოფილების მაღალ დონეს. სწორედ ამ მიზნის მიღწევისათვის შრომობს ჩვენი თითოეული თანამშრომელი.

სერვისები

ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:

• *ბავშვთა ენდოკრინოლოგია*	• *ოტორინოლარინგოლოგია*
• *თერაპია*	• *ოფთალმოლოგია*
• *ქირურგია*	• *ანგიოლოგია*
• *ნევროლოგია*	• *დერმატოლოგია*
• *ბავშვთა ნევროლოგია*	• *საოჯახო მედიცინა*
• *გინეკოლოგია*	• *პედიატრია*
• *რეპროდუქტოლოგია*	• *ჰეპატოლოგია*
• *სექსოლოგია*	• *ნეფროლოგია*
• *მამოლოგია*	• *კარდიოლოგია*
• *მამოლოგია*	• *ფსიქოლოგიური სამსახური*

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება

• ენდოკრინოლოგიური ქირურგია	• მამოლოგია
• მუცლის ღრუს ქირურგია	. თვალის ქირურგია
• ონკოქირურგია	• რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია
• ღვიძლის სიმსივნეების აბლაცია - რადიოსიხშირული/მიკროტალღური	• ენდოკრინოლოგიური სტაციონარი
• გინეკოლოგიური ქირურგია	• ონკოგინეკოლოგია

დიაგნოსტიკური სამსახურები:

• ციფრული რენტგენი	• ელექტროკარდიოგრამა
• რენტგენოსკოპია/გრაფია	• 24 საათიანი ეკგ და არტერიული წნევის ჰოლტერის მონიტორინგი

• რენტგენოკონტრასტული კვლევები	• ეკგ დატვირთვის ტესტი ტრედმილით
• ექოსკოპია (ყველა სისტემა)	• კოლპოსკოპია
• გოჯ-მხარის ინდექსის განსაზღვრა	• ჰისტეროსკოპია
• ენდოსკოპია	• კლინიკური ლაბორატორია
• ეზოფაგოგასტროსკოპია	• ჰისტომორფოლოგია
• კოლონოსკოპია	• იმუნოჰისტოქიმია
• დენსიტომეტრია	• ციტოლოგია
• ფიბროელასტოგრაფია (ფიბროსკანი)	• ვირუსული გენეტიკური მასალის დეტექცია პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით
• ასპირაციული ბიოფსია	• ელექტროენცეფალოგრაფია-ეგგ

კომპანიის კრედო

ის, რისი განხორციელებისკენაც ისწაფვის „ენმედიცი“ ადვილი ჩამოსაყალიბებელია, მაგრამ რთული მისაღწევია. ჩვენი მისიაა პაციენტების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. ჩვენი მისიის განხორციელებაში სამ ძირითად პრინციპს ვეყრდნობით:

ინოვაცია. ხედვა. პროფესიონალიზმი.

მიზანი

პროდუქტისა და მომსახურების ხარისხი უნდა ემთხვეოდეს უმაღლეს სტანდარტებს, რომლებიც დაწესებულია ორგანიზაციის მიერ და აგრეთვე მომხმარებელთა მოთხოვნებს.

შესაძლებლობები

დაწესებულება წარმოადგენს ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ მრავალპროფილურ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას, სადაც შესაძლებელია ამბულატორიული მომსახურებისა და ლაბორატორიული კვლევების სრული სპექტრის მიღება.

„ენმედიცი“ სამედიცინო მომსახურების კომპანიაა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსურ, მოქნილ, საერთაშორისო სტანდარტების სამედიცინო მომსახურებას ეკონომიურ ფასებად საქართველოს დედაქალაქში მდებარე მრავალპროფილიან კლინიკაში.

ამ ეტაპზე ორგანიზაცია აერთიანებს სათაო კლინიკას - ამბულატორიულ-სტაციონარული სერვისებით და ბათუმის ენმედიცსა და ვაკის ენმედიცს (თბილისში), სადაც გთავაზობთ მომსახურების შემდეგ სახეებს:

სერვისები

სათაო კლინიკა **თბილისი**	
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:	
• ენდოკრინოლოგია • ბავშვთა ენდოკრინოლოგია • თერაპია • ქირურგია • ნევროლოგია • ბავშვთა ნევროლოგია • გინეკოლოგია • რეპროდუქტოლოგია • სექსოლოგია • მამოლოგია	•ოტორინოლარინგოლოგია • ოფთალმოლოგია • ანგიოლოგია • დერმატოლოგია • საოჯახო მედიცინა • პედიატრია • ჰეპატოლოგია • ნეფროლოგია • კარდიოლოგია • ფსიქოლოგიური სამსახური
სტაციონარული სამედიცინო მომსახურება:	
• ენდოკრინოლოგიური ქირურგია • მუცლის ღრუს ქირურგია • ონკოქირურგია • ოპერაციები ღვიძლზე • ღვიძლის სიმსივნეების აბლაცია - რადიოსიხშირული/მიკროტალღური	• გინეკოლოგიური ქირურგია • ონკოგინეკოლოგია • მამოლოგია • თვალის ქირურგია • რეანიმაცია/ინტენსიური თერაპია • ენდოკრინოლოგიური სტაციონარი
დიაგნოსტიკური სამსახურები:	
• ციფრული რენტგენი: • რენტგენოსკოპია/გრაფია • რენტგენოკონტრასტული კვლევები • დენსიტომეტრია • ექოსკოპია (ყველა სისტემა) • გოჯ-მხარის ინდექსის განსაზღვრა • ენდოსკოპია • ეზოფაგოგასტროსკოპია • კოლონოსკოპია • ფიბროელასტოგრაფია (ფიბროსკანი) • კოლპოსკოპია	• ელექტროკარდიოგრამა • 24 საათიანი ეკგ და არტერიული წნევის ჰოლტერის მონიტორინგი • ეკგ დატვირთვის ტესტი ტრედმილით • ჰისტეროსკოპია • კლინიკური ლაბორატორია • ჰისტომორფოლოგია • იმუნოჰისტოქიმია • ციტოლოგია • ასპირაციული ბიოფსია • ელექტროენცეფალოგრაფია-ეგგ
ლაბორატორიული სამსახური:	
• ბიოქიმია • ჰემატოლოგია	

- იმუნოლოგია
- ბაქტერიოლოგია
- ჰისტო-მორფოლოგია
- ციტოლოგია
- გენეტიკა
- იზოსეროლოგია
- კოაგულოლოგია
- ალერგოლოგია

ვაკის ენმედიცი თბილისი	
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:	
• ოჯახის ექიმი • ენდოკრინოლოგია • ბავშვთა ენდოკრინოლოგია • თერაპია • კარდიოლოგია • ნევროლოგია • ბავშვთანევროლოგია • გინეკოლოგია	• მამოლოგია • ოფთალმოლოგია • ოტორინოლარინგოლოგია • დერმატოლოგია • პედიატრია • ფიზიოთერაპია
დიაგნოსტიკური სამსახური	
• დენსიტომეტრია • ექოსკოპია - ყველა სისტემის კვლევა; საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებები ექოსკოპიის კონტროლით.	
ლაბორატორიული სამსახური	
• სისხლის აღება და სხვა ბიოლოგიური მასალის აღება და ტრანსპორტირება სათაო ლაბორატორიაში	

ბათუმის ენმედიცი ბათუმი	
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება:	
• ოჯახის ექიმი • იმუნიზაცია • ენდოკრინოლოგია • თერაპია • კარდიოლოგია • ნევროლოგია • ბავშვთა ნევროლოგია • ბავშვთა ალერგოლოგია	• გინეკოლოგია • ოფთალმოლოგია • ოტორინოლარინგოლოგია • დერმატოლოგია • ბავშვთა ქირურგია • ქირურგია • ფსიქიატრია
დიაგნოსტიკური სამსახური	
• ექოსკოპია - ყველა სისტემის კვლევა; • საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებები ექოსკოპიის კონტროლით.	
ლაბორატორიული სამსახური	
• კლინიკური ლაბორატორიული მომსახურება • სისხლის აღება და ტრანსპორტირება სათო ლაბორატორიაში	

ლაბორატორია

ლაბორატორიას შეუძლია შემოგთავაზოთ დაახლოებით 1000 მდე სახეობის გამოკვლევა დიაგნოსტიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა: ბიოქიმია, ჰემატოლოგია, იმუნოლოგია, ბაქტერიოლოგია, მორფოლოგია, გენეტიკა, იზოსეროლოგია, კოაგულოლოგია, ალერგოლოგია. კლინიკა ,,ენმედიცი"–ს ლაბორატორია სარგელობს მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული სამედიცინო ბრენდების ავტომატიზირებული ანალიზატორებით. მათ შორისაა: **Abbott, Seimens Healthcare Diagnostics, Instrumentation Laboratory, Bayer Diagnostics, Dako, Spinreact, BPS Biosed, Radim** და სხვა. თანამედროვე მედიცინაში დიაგნოსტიკური ინფორმაციის 80% მიიღება დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში. მსოფლიო ლიდერების აღჭურვილობა და მსოფლიო ბრენდების მიერ წარმოებული რეაგენტები - არის შედეგების სიზუსტის გარანტი. სანდო და მაღალი ხარისხის ამომწურავი დიაგნოსტიკური შედეგების და ლაბორატორიული მომსახურების წარმოება კლინიკური ლაბორატორიის ფარგლებში.

1.0 ხარისხის პოლიტიკა

კომპანიის მუშაობა ეფუძნება ხარისხის პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ჩვენი მომსახურება და პროდუქტები სრულად შეესაბამებოდეს მისი კლიენტების მოთხოვნებს. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ პაციენტების კმაყოფილების უმაღლეს დონეს და აღნიშნული დონის მიღწევისათვის ვქმნით დამხმარე მართვისა და ბიზნესის ოპერაციულ სისტემებს.
ჩვენ გვჯერა, რომ პაციენტებთან და მომწოდებლებთან ერთად მუშაობა დაგვეხმარება აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციაში, და მუდმივად ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობის თითოეული სფერო.
ჩვენი ხარისხის პოლიტიკა ეფუძნება 4 ძირითად პრინციპს:
1. შესაბამისობა კლიენტების მოთხოვნებთან - ჩვენ სრულად ვახდენთ იდენტიფიცირებას და ვექვემდებარებით მათ საჭიროებებს
2. თვალყურს ვადევნებთ ჩვენი საქმიანობის პროცესს, ვახდენთ შეცდომების პოტენციალის იდენტიფიცირებას და ვატარებთ აუცილებელ ღონისძიებებს მათ სალიკვიდაციოდ
3. ჩვენ უზრუნველვყოფთ, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე ყველა თანამშრომლის მხრიდან მასზე დაკისრებული ფუნქციების მაღალ დონეზე ცოდნას და სათანადო შესრულებას.
4. ყველა მუშაკი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე

ხარისხის პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისთვის ვასრულებთ შემდეგი ტიპის ოპერაციებს:

1. პერსონალს ეკისრება პასუხისმგებლობა, რათა მოახდინოს მომხმარებლის მოთხოვნების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს, რომ ჩატარდეს ზუსტი პროცედურები აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
2. ხორციელდება მიზნების დასახვა, განსაზღვრა და მონიტორინგი, რომლებიც საჭიროა იმისათვის რათა მოთხოვნები იქნას დაცული და მუდმივი ხარისხის გაუმჯობესების პროცესები ტარდებოდეს მოცემული პოლისის თანახმად
3. ხარისხის პოლიტიკის მიზნები და პრინციპები მუდმივად არის გამოცხადებული და ხელმისაწვდომი თითოეული მომსახურე პერსონალისთვის
4. ტრენინგი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია რათა მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს
5. კლინიკა „ენმედიცი“ ექვემდებარება ხარისხის მართვის სისტემის კონტროლსა და დისციპლინებს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ISO 9001:2008-ის სტანდარტებს

6. მუდმივად ხდება სერვისების განახლება და გაუმჯობესება, რათა ვუზრუნველყოთ რომ სამუშაო შესრულდეს ყველაზე ფინანსურად მომგებიანი და დროული გზით, რასაც თავის მხრივ სარგებელი მოაქვს ჩვენი მომხმარებლისთვის.
7. ვუზრუნველყოფთ რომ პერსონალს საფუძვლიანად ესმოდეს და სრულად ახორციელებდეს ჩვენი კომპანიის პოლისებსა და მიზნებს, აგრეთვე იყოს უნარიანი რომ ეფექტურად შეასრულოს მისი მოვალეობები მიმდინარე ტრენინგებისა და განვითარების პროგრამების პარალელურად.

2.1 მისია:

კლინიკა „ენმედიცი“-ს მისიას წარმოადგენს სანდო და გარანტირებულად მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება თითოეული მომხმარებლისთვის, რომელიც დაფუძნებულია კლასიკური მედიცინის საუკეთესო ტრადიციებზე, მაღალ პროფესიონალიზმზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ თანამედროვე მიდგომების გამოყენებაზე, დიაგნოსტიკისა და კვლევის უახლეს მეთოდებზე, ულტრათანამედროვე აპარატურაზე.

კლინიკა „ენმედიცი“-ს მისიაა

- ხელი შეუწყოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტიკას, მკურნალობას და მონიტორინგს
- განავითაროს და განახორციელოს დაავადების მართვის სტრატეგიები ისე რომ შემცირდეს ხარჯები და უკეთესი მომსახურეობა მიეწოდებოდეს პაციენტს
- მოხდეს მომსახურების ფასების შემცირება სტანდარტიზირებით და ლაბორატორიული სერვისების ინტეგრირებით
- შემოსავლის გაზრდა პროგრამული სერვისების გაძლიერებით

უახლოეს მომავალში კლინიკას დაგეგმილი აქვს სტაციონარული დეპარტამენტის გაფართოება.

კლინიკა „ენმედიცი“-ში ფუნქციონირებს თანამედროვე დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რომელიც დაკომპლექტებულია ბოლო თაობის ანალიზატორებით. გამოკვლევების სრული ავტომატიზაცია, კომპიუტერული მართვა, ყველა ტექნოლოგიური პროცესისა და გამოკვლევების უნიკალური მეთოდიკები, შესაბამისად პროფესიონალი კადრები არის შედეგების მაღალი ხარისხის და სიზუსტის გარანტი.
ლაბორატორიას შეუძლია შემოგთავაზოთ დაახლოებით 1000 მდე სახეობის გამოკვლევა დიაგნოსტიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა: ბიოქიმია, ჰემატოლოგია, იმუნოლოგია, ბაქტერიოლოგია, მორფოლოგია, იზოსეროლოგია, კოაგულოლოგია, ალერგოლოგია.
კლინიკა „ენმედიცი“-ს ლაბორატორია სარგებლობს მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული სამედიცინო ბრენდების ავტომატიზირებული ანალიზატორებით. მათ

შორისაა **Abbott, Seimens Healthcare Diagnostics, Instrumentation Laboratory, Bayer Diagnostics, Dako, Spinreact, BPS Biosed, Radim** და სხვა.
თანამედროვე მედიცინაში დიაგნოსტიკური ინფორმაციის 80%-ის მიღება დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში, მსოფლიო ლიდერების აღჭურვილობა და მსოფლიო ბრენდების მიერ წარმოებული რეაგენტები – არის შედეგების სიზუსტის გარანტი.
კლინიკა „ენმედიცი“-ში **საქართველოში პირველად** დაინერგა კვლევის იმუნოჰისტოქიმიური მეთოდი. დღეისათვის, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, იგი გამოიყენება რუტინულ დიაგნოსტიკაში. დღეისათვის კლინიკა „ენმედიცი“-ში ფუნქციონირებს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მორფოლოგიური კვლევის ცენტრი, სადაც ხორციელდება ძუძუს სიმსივნეების, ლიმფოპროლიფერაციული დაავადებების, ენდოკრინოლოგიური, შარდ-სასქესო სისტემის, გასტროინტესტინალური ტრაქტის, ჰემობლასტოზების, ნერვული, რბილი ქსოვილების და სხვა ორგანოების მორფოლოგიური დიაგნოსტირება ჰისტოქიმიის და იმუნოჰისტოქიმიის გამოყენებით.
ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზის სისწორე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჰისტოლოგიური პრეპარატების ხარისხზე, ამიტომ ჩვენი ცენტრის დევიზია - ***„ხარისხიდან -სანიმუშობამდე“.***
ასევე პირველად საქართველოში დაინერგა საკვების მიმართ ინტოლერანტობის ტესტი, რომელიც ეფუძნება IgG -ის დონის განსაზღვრას სისხლში 221 საკვები პროდუქტის მიმართ.
კლინიკას გააჩნია ფილიალი, სადაც ასევე შესაძლებელია ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მომსახურების მიღება.
კომპანია აკრედიტირებულია.

5.1 ორგანიზაცია და მენეჯმენტი

დაწესებულების დირექტორს გააჩნია პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება რათა უზრუნველყოს, რომ ყველა სამედიცინო მომსახურება, რასაც გვთავაზობს კლინიკა „ენმედიცი“ ემთხვეოდეს პაციენტთა საჭიროებებს და აგრეთვე, რომ დაწესებულების შტატი იყოს სრულად პასუხისმგებელი პაციენტის მზრუნველობაზე.
დაწესებულების დირექტორი და ტოპ მენეჯმენტი პასუხისმგებელია და უზრუნველყოფს რომ დაწესებულების დაგეგმარება ემთხვეოდეს ISO 9001:2008-ის სტანდარტებს.
ხარისხის მართვის სამსახური პასუხისმგებელია და უზრუნველყოს, რომ ხარისხის პოლიტიკა იყოს დაწესებულების მიზნების შესაბამისი და ხელს უწყობდეს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებასა და განახლებას.
დაწესებულების მენეჯმენტი პასუხისმგებელია, რომ შეინარჩუნოს ეფექტურობა, ადეკვატურობა და გაუმჯობესება ხარისხის მართვის სისტემის. რაც მოიცავს შემდეგს:

1. დაწესებულების პერსონალისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება და რესურსებით უზრუნველყოფა, რათა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები
2. გარკვეული ღონისძიებების ჩატარება, რომ მენეჯმენტსა და პერსონალზე არ იმოქმედოს და არ იქონიოს უარყოფითი გავლენა რაიმე შიდა თუ გარე კომერციულმა, ფინანსურმა ან რაიმე სხვა ფაქტორმა, რაც უარყოფითად აისახება მათი მუშაობის ხარისხზე
3. პოლისები და პროცედურები რათა უზრუველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობა
4. პოლისები და პროცედურები ისეთი აქტივობების თავიდან ასაცილებლად, რაც შეამცირებს ლაბორატორიის რწმენას მის კომპეტენციაში, მიუკერძოებლობასა და ოპერაციულ სისრულეში
5. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი კავშირი ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან
6. პერსონალის სპეციფიური მოვალეობები, უფლებამოსილება და ურთიერთდამოკიდებულება
7. შტატის ადეკვატური ტრენინგი და შესაბამისი ზედამხედველობა კომპეტენტური პირის მიერ, რომელიც არის კვალიფიციური და გათვითცნობიერებული დაწესებულების მიზნებში, სპეციფიური გამოკვლევის პროცედურებსა და შედეგების შეფასებაში
8. ტექნიკური მენეჯმენტი, რომელიც სრულად არის პასუხისმგებელი მიმდინარე ტექნიკურ ოპერაციებზე, და ისეთი რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც აუცილებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესანარჩუნებლად
9. ხარისხის მართვის სამსახურის შექმნა, რომელიც იქნება უფლებამოსილი და მოვალე, რომ თვალყური ადევნოს შეესაბამება თუ არა მუშაობა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნებს.

მენჯმენტის მიმოხილვა

დაწესებულების მენეჯერები და ხარისხის მართვის კომიტეტი პერიოდულად ატარებენ კრებებს გარკვეული პროცესების განსახილველად.
მენეჯმენტის კრებები მხედველობაში იღებს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- წინა მენეჯმენტის მიმოხილვის შედეგების შემდგომი დაკვირვება
- ჩატარებული კორექციული და პრევენციული ქმედებების სტატუსი
- საბოლოო შიდა აუდიტის შედეგები
- შეფასება გარე სტრუქტურების მიერ
- გარე ხარისხის შეფასების გამოსავალი და სხვა ინტერ-ლაბორატორიული შედარებები
- შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ტიპში ნებისმიერი ცვლილება
- გამოხმაურება, რომელიც მოიცავს საჩივრებს და სხვა შესაბამის ფაქტორებს, ექიმების, პაციენტების და გარეშე პირებისაგან

- მიღებული სამედიცინო მომსახურებით პაციენტის კმაყოფილების შეფასებისათვის შემუშავებულია სპეციალური კითხვარები.
- ხარისხის მაჩვენებლები ლაბორატორიის მუშაობის მონიტორინგზე
- შეუსაბამობები
- მუდმივი გაუმჯობესების პროცესების შედეგები
- მომწოდებლების შეფასება

აღნიშნული კრებების აღმოჩენები და მათგან გამომდინარე ქმედებები, უნდა იქნას დაფიქსირებული და ხარისხის მმართველობამ უნდა უზრუნველყოს, რომ იქნას განხორციელებული დროულად.

შტატის განათლება და ტრენინგი

სამედიცინო და ადმინისტრაციულ მომსახურებაში უმაღლესი ხარისხის უზრუნველსაყოფად კლინიკა „ენმედიცი“ ზრუნავს მომსახურე პერსონალის უწყვეტ განათლებაზე, მათი ცოდნის გაღრმავებასა და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ასევე ახდენს :

- პერსონალის კომპეტენციის იდენტიფიცირება, რომელიც ატარებს ტესტირებას
- სპეციფიური სამუშაოებისა და მოვალეობების იდენტიფიცირება პერსონალისთვის, მათი გამოცდილების, განათლების, ტრენინგის ან სპეციფიური უნარებისა თუ შესაძლებლობების მიხედვით
- ტრენინგებით უზრუნველყოფა, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს
- უზრუნველყოფა იმისა, რომ შტატი იყოს გარკვეული, მათი ქმედებების შესაბამისობასა და მნიშვნელობაზე და თუ როგორ ემსახურებიან ხარისხის მიზნების მიღწევას
- ტრენინგის ეფექტურობის შეფასება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება
- განათლების, ტრენინგის, უნარებისა და გამოცდილების შესაბამისი დოკუმენტაციის შენარჩუნება

2.0 ხარისხის დაზღვევა

კლინიკის ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებს (ხარისხის სახელმძღვანელო, პროცედურები, პოლისები ჩანაწერები და სხვ.), შტატის ტრენინგით, კორექციული ქმედებებით, შიდა აუდიტით, ჩანაწერების კონტროლით და პროცესების კონტროლით, რომ კლინიკის საქმიანობა მუდმივად შესაბამისობაში იყოს ISO 9001:2008 სტანდარტებთან.

ამისთვის კლინიკაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის დაზღვევის პროცესები, რომლებიც იყოფა სამ ფაზად; პრე-ანალიტიკური, ანალიტიკური და პოსტ-ანლიტიკური.

აღნიშნული სექციის შესაბამისი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურებია:

შეცდომების მართვა – SOP-AU #13
შიდა აუდიტი – SOP -TD QCU #03

ინფრასტუქტურა

დაწესებულების მენეჯმენტი საზღვრავს, უზრუნველყოფს და ინარჩუნებს ისეთ ინფრასტრუქტურას, როგორიც შეესაბამება მომსახურება/პროდუქტის მოთხოვნებს და მოიცავს:

- შენობა, სამუშაო სივრცე და ასოცირებული ნაგებობები
- ანალიტიკური აღჭურვილობა (აპარატურა და პროგრამული რესურსები)
- დამხმარე მომსახურება (ტრანსპორტი და კომუნიკაციები)
- სამუშაო გარემო

სამუშაო გარემო

დაწესებულების მენეჯმენტი საზღვრავს და მართავს სამუშაო გარემოს, ასევე ატარებს აუდიტს რათა მიღწეულ იქნას მომსახურება/პროდუქტის შესაბამისობა მოთხოვნებთან. აღნიშნული აუდიტი მოიცავს: ა)ინფრასტრუქტურა, ბ)ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, გ)სამუშაო ეთიკა დ)ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმე სექციის შესაბამისი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურები:

შეცდომების მართვა – SOP-AU N13
შიდა აუდიტი – SOP-TD QCU N 03

ინსტრუმენტები

კლინიკა „ენმედიცი“ იყენებს ისეთი დონის აღჭურვილობას, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებს შეესაბამება და არის პერსონალისა და პაციენტების უსაფრთხოების გარანტი გამოკვლევების ჩატარების პროცესში. არსებობს აღჭურვილობის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხდება აპარატურის გამოყენება კომპანიაში და მოიცავს შემდეგს:

- დაგეგმილი გამოყენების განსაზღვრა და სელექცია
- არჩევის კრიტერიუმები, ვადა
- შტატის ტრენინგი
- ტექნიკური მოვლა, მომსახურება და შეკეთება
- პრობლემური საკითხების გადაჭრა
- ინსტრუმენტის შეცდომების და გაფუჭების ჩანაწერები და შესაბამისი კორექციული ქმედებები
- დაგეგმილი ჩანაცვლება და გადაგდება (ნაწილების)
- მნიშვნელოვანი გაფუჭებისას ანგარიშის წარდგენა

დაწესებულების მენეჯმენტი უზრუნველყოფს, რომ აღჭურვილობასთან დაკავშირებული ჩანაწერები და ფორმები ინახებოდეს და ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნისამებრ.

რეაგენტების და სხვა მოხმარების მასალების მართვა

არსებობს სპეციალური წესები, შექმნილი კლინიკა "ენმედიც"ის მიერ, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგენტების და სხვა ფართო გამოყენების მასალების მართვა, შენახვისა და ანალიზების ჩატარების პერიოდში. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია რეაგენტების ვარგისიანობის და ხელმისაწვდომობის, ასევე კალიბრაციისა და ხარისხის კონტროლის მასალის უზრუნველყოფა. შესყიდვების დეპარტამენტის პირველადი პასუხისმგებლობაა მიღებული მასალების იდენთიფიცირება, შემოწმება და შენახვა მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად. კლინიკას გააჩნია მომმარაგებელთა მართვის პროცესი, სადაც მათი გადარჩევა და შეფასება ხდება, რაც ეფუძნება შიდა კრიტერიუმებს და ტარდება პერიოდულად საჭიროებისამებრ. აგრეთვე ახსნილია თუ როგორ უნდა მოხდეს მასალის განაწილება საჭიროებისამებრ. ხდება ყველა ჩანაწერის შენახვა და დაარქივება. გამოყენებადი მასალა სწორად უნდა იყოს იდენტიფიცირებული მიღების თარიღით, ლოტის ნომრებით, პირველი გამოყენებით და ვადით.

ლაბორატორიული გამოკვლევის პროცედურების გადარჩევა და დამტკიცება

ლაბორატორიის მენეჯმენტი ახდენს გადარჩევას და ირჩევს ახალ გამოკვლევის პროცედურას, რომელიც შეესაბამება მომხმარებლისა და ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. არჩეული მეთოდი ან პროცედურა შედის კომპანიის კომპეტენციაში და უნდა იყოს დამტკიცებული მის წარდგენამდე. დამტკიცების მეთოდის და სხვა მონაცემების სათანადო ჩანაწერები საჭიროებისამებრ შენახულია მომავალში ფაქტობრივი მტკიცებულების არსებობისათვის. კომპანიაში ყველა არსებული გამოკვლევის პროცედურა არის დამტკიცებული და ყველა გამოკვლევისათვის არის შესაბამისი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურა და სათანადო ფორმები. ყველა ამჟამინდელი გამოკვლევის პროცედურები კლინიკაში ინახება და ხელმისაწვდომია ლაბორატორიის შესაბამის სექციებში.

უსაფრთხოება

კომპანიას აქვს გამოცემული და დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს და შეინარჩუნოს უსაფრთხო სამუშაო გარემო პაციენტებისათვის, შტატისა და ნებისმიერი პერსონალისთვის, რომელიც დაშვებულია კლინიკაში. უსაფრთხოების პოლიტიკა არის შემდეგნაირი:

კომპანია პერსონალს სთავაზობს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო ადგილებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გაიდლაინები საზღვრავს აუცილებელ სტანდარტებს თანამშრომელთა ჯანდაცვისა და უსაფრთხოებისთვის. აღნიშნულ სტანდარტებს, შესაძლოა დაემატოს გარკვეული სტანდარტები კანონმდებლობის მიერ, ასევე კონკრეტული კლინიკის უსაფრთხოების პოლისები და განყოფილების პროცედურები.

კომპანია მაქსიმალურად ცდილობს მოახდინოს შესაძლებელი ოკუპაციური ზიანის პრევენცია. მენეჯმენტს ევალება გადაჭრას ჯანდაცვის და უსაფრთხოების პრობლემები თანამშრომლებთან კოოპერატიული მიდგომით, ჩაატარონ სამუშაო ადგილების ინსპექცია, სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების მონიტორირება, ჯანდაცვის და უსაფრთხოების პროგრამის აუდიტირება, აგრეთვე იყოს ჩართული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესების პროცესებში.

კომპანია მუდმივად ატარებს ტრენინგებს და აძლევდეს მოტივაციას თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობისათვის. აგრეთვე ხელს უწყობს, რათა განაახლოს და გააღრმავოს მათი ცოდნა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. უსაფრთხოების ცოდნა და მისი შესრულება შერწყმულია ოპერაციულ პროცესებთან.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ ყველა მისი მუშაკი მუშაობდეს უსაფრთხოდ და უსაფრთხოება იყოს მათთვის პრიორიტეტი ყველა სამუშაოსთან დაკავშირებულ ქმედებებში. თანამშრომლები კარგად იცნობენ მიღებულ უსაფრთხოების მოთხოვნებს და მათი სამუშაოს შესაბამის ორგანიზაციულ პოლისებს, რათა წინასწარ გაითვალისწინონ თითოეული სამუშაოსთვის უსაფრთხოების საჭიროებები. ისინი აკეთებენ რეპორტს რისკ ფაქტორების ან აღმოჩენილი დარღვევების შესახებ, აგრეთვე ხელს უწყობენ თანამშრომელთა და მენეჯმენტის ინიციატივებს, რაც შეეხება სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას.

გამოკვლევის პროცედურების ნუსხა

კომპანიას გააჩნია დამოწმებული სტანდარტულ ოპერაციული პროცედურები თითოეული გამოკვლევის ჩატარებისათვის, რაც მოიცავს შემდეგს:

- გამოკვლევის მიზანი
- პრინციპი პროცედურისა, რომელიც გამოიყენება გამოკვლევაში
- ნიმუშის მოთხოვნები და იდენტიფიკაციის მნიშვნელობა
- აღჭურვილობა და სპეციალური მარაგი
- რეაგენტები, კალიბრატორების სტანდარტები, და შიდა ხარისხის კონტროლის მასალა
- შესაბამისი სამუშაო ინსტრუქციები
- გამოკვლევის ლიმიტები
- ჩანაწერები და შედეგების გამოთვლა
- რეფერენს ლიმიტების ანგარიში
- პერსონალის პასუხისმგებლობა სანებართვო პირობებზე, ანგარიშგებასა და რეპორტების მონიტორირებაში

- რისკების და უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ზომები

ლაბორატორიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ გამოკვლევის პროცედურის შემცველობა იყოს სრული და განახლებული. თითოეული სტანდარტულ ოპერაციული პროცედურის მიმოხილვა ხდება წელიწადში ერთხელ, და მოწმდება ლაბორატორიის მენეჯმენტის მიერ.

ვალიდაციის შედეგები

ყველა სამედიცინო აღჭურვილობა კლინიკაში გადის პრევენციული მოვლის პროგრამას რათა აწარმოონ სწორი და უტყუარი ანალიზის პასუხები, პაციენტის უსაფრთხოებისათვის.

არსებობს დადგენილი და დამტკიცებული პოლისები, რომლებიც ასწავლის ლაბორატორიის პერსონალს, თუ როგორ მოახდინონ ანგარიშგება და მოიქცნენ არასწორი ანალიზების პასუხების შემთხვევაში. მას შემდეგ როცა ლაბორატორიის პერსონალი გადახედავს შედეგებს და დარწმუნდება რომ არ არის არანაირი შეუსაბამობა ან დეფექტი, დამატებით უნდა მოხდეს ყველა ანალიზის პასუხების მიმოხილვა და ვალიდაცია კლინიკის სამედიცინო დირექტორის მიერ, აგრეთვე არსებობს ლაბორატორიის ინფორმაციული სისტემის მენეჯმენტი კლინიკაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მომსახურება იყოს უფრო დახვეწილი, შემცირდეს დროის დაკარგვა ანალიზების ჩატარების დროს და მივიღოთ საიმედო ანალიზის შედეგები.

საკორექციო ქმედებები და საჩივრები

დაწესებულების მენეჯმენტი ჩართულია ნებისმიერი პრობლემისა თუ საჩივრის გადაჭრაში, იქნება ეს საჩივარი შიდა თუ გარე. პრობლემის წამოჭრისთანავე დაწესებულების მენეჯმენტი ახდენს მის დოკუმენტირებას და აკისრებს ვალდებულებას კონკრეტულ პირს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემის გადაჭრა მოიცავს მისი გამომწვევის საფუძვლიან ანალიზს, კორექციულ და პრევენციულ ქმედებებს.

კლინიკა „ენმედიცი“-ს – შეცდომების მართვის პოლიტიკა საზღვრავს შემდეგ მოთხოვნებს:

- შეუსაბამობათა მიმოხილვა (მომხმარებელთა საჩივრების ჩათვლით)
- საჭირო მოქმედებათა შეფასება, რათა შეუსაბამობები აღარ განმეორდეს
- საჭირო კორექციული და პრევენციული ქმედებების განსაზღვრა და განხორციელება
- მიღებული კორექციული და პრევენციული ქმედებების მიმოხილვა
- შეუსაბამობის მოხდენის საპრევენციო ქმედების საჭიროების შეფასება

აუდიტი

კლინიკაში ტარდება შიდა აუდიტი, რათა განისაზღვროს შეესაბამება თუ არა ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001:2008-ისა მოთხოვნებს და არის თუ არა ეფექტურად განხორციელებული და შენარჩუნებული. ხარისხის კომიტეტი განავითარებს აუდიტის გეგმას ყოველწლიურად, სადაც მხედველობაში მიიღება ქმედებების სტატუსი და მნიშვნელობა და აგრეთვე ის სფეროები სადაც უნდა ჩატარდეს აუდიტი, ასევე შედეგები მანამადე ჩატარებული აუდიტის. აუდიტის გეგმის განხილვა ხდება ყოველი ჩატარებული აუდიტის შემდეგ და საჭიროებისამებრ ხდება მისი განახლება. ხდება განსაზღვრა აუდიტის კრიტერიუმების, მიზნის, სიხშირის და მეთოდების. შიდა აუდიტირების პოლიტიკა განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს და მოთხოვნებს აუდიტის ჩასატარებლად, შედეგების ჩასანიშნად და ანგარიშის წარსადგენად. პასუხისმგებელი მენეჯერები ატარებენ დროულ კორექციულ ქმედებებს აუდიტის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად. შემდგომი ქმედებები მოიცავს კორექციული მოქმედებების განხორციელების კონტროლს და კონტროლის შედეგების ანგარიშს.

დაწესებულების ინფორმაციული სისტემის მართვა

როგორც ყველა სხვა თანამედროვე სამედიცინო დაწესებულება, კლინიკა „ენმედიცი“ იყენებს ინფორმაციულ სისტემას კლინიკის ყველა ასპექტში, რაც მოიცავს: პაციენტების რეგისტრირებას (კონსულტაციები/გამოკვლევები), ნიმუშების მიღება, აღება, ანალიზი, შედეგების რეპორტი.

ეთიკა

დაწესებულების მენეჯმენტს აქვს დაფუძნებული პრინციპები და სტანდარტები, რომლითაც შიდა შტატი ხელმძღვანელობს და პრაქტიკაში ახორციელებს მათ მოვალეობებსა და ყოველდღიურ ქმედებებს. მოცემულია შემდეგი ეთიკური წესები პერსონალისთვის:

- სამედიცინო პერსონალმა უნდა შეინარჩუნოს მკაცრი კონფიდენციალურობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
- იყოს პასუხისმგებელი მომსახურების ხარისხისა და სიზუსტის, აგრეთვე ანალიზების, რომლებსაც ისინი აწარმოებენ
- შეინარჩუნონ რეპუტაცია პატიოსნების, ხელშეუხებლობის და სანდოობის
- დაამყარონ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ჯანდაცვის პროფესიონალებთან და კოლეგებთან
- ხელი შეუწყონ საზოგადოების ზოგად კეთილდღეობას




ADVIA Centaur XP

კომპანია მომხმარებელს თავაზობს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას.

ამიტომ ცენტრის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში, სემინარებში, კონფერენციებში სადაც იღებენ ახალ ინფორმაციას და აწვდიან თავიანთ გამოცდილებას კოლეგებს.

2017- 2018 წლებში გარდა ადგილობრივი კონფერენციებისა, ჩვენმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებში:

(გთხოვთ, იხილოთ მცირედი ჩამონათვალი)

2017

1. 6th EASD postgraduate Course on Clinical Diabetes and its Complications, Kiev, Ukraine
2. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its complications, Tbilisi, Georgia
3. Diabetes Mellitus, Master class, Tbilisi, Georgia
4. 3rd EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its Complications Sofia, Bulgaria
5. 2nd EASD Oskar Minkowski Diabetes Clinical Research Course, Kaunas, Lithuania
6. 3rd European Young Endocrine Scientist Meeting, Modena, Italy
7. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its complications, Tashkent, Uzbekistan
8. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its complications, Prague, Czech Republic
9. 51st Annual meeting of the European Association for the Study of Diabetes, Stockholm, Sweden
10. The 5th World Congress on Controversies to Consensus in Diabetes, Obesity and Hypertension, Istanbul, Turkey

2018

1. 18th Congress of European Society for Sexual Medicine, Madrid, Spain
2. ESE Basic Course on Endocrine and Neuroendocrine Cancer, Porto, Portugal
3. World congress on Osteoporosis, Osteoarthritis and Musculoskeletal diseases 2016, Malaga, Spain
4. EASD DF workshop I&K - Certificate of active participation, Portoroz, Slovenia
5. EASD Postgraduate Course on Clinical Diabetes and its Complications Belgrade, Serbia

6. 39th Annual meeting of the European Thyroid Association, Copenhagen, Denmark

ექიმების უმეტესობა არის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ასოციაციის წევრი, მათ შორის:

- საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოება
- საქართველოს ექიმთა ასოციაცია
- European Association for the Study of Diabetes
- European Thyroid Association
- American Association of Clinical Endocrinologists

დაწესებულებამ ჩაატარა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია. მ.შ. დიაბეტის საერთაშორისო დღესთან და ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

პარტნიორები

მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურების გასაწევად და მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით რეგულარულად ხდება ექიმების გადამზადება, ტრენინგები, ცოდნის გაცვლა. ჩვენი პარტნიორია ლონდონის კინგს კოლეჯი. ჩვენი ორიენტირება მომხმარებლებზე იცავს მომხმარებლის კონფიდენციალობას, რასაც ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ემატება. ანგარიშვალდებულება მომხმარებელთა გაზრდილი მნიშვნელობითა და ეკონომიურობით ყველა ჩვენს გადაწყვეტილებაში და საქმიანი პრაქტიკის გამჭვირვალობა ჩვენი საქმიანობის ძირითადი მახასიათებლებია, ხოლო ყველა საქმიანობა და ოპერაცია ხორციელდება უმაღლესი ეთიკის სტანდარტების შესაბამისად, ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციის მკაცრი დაცვით.

ობიექტების მოშორებული მდებარეობის, რისკ ფაქტორების, არახელსაყრელი ამინდის პირობების, სახიფათო სამუშაო გარემოს და სათანადო სამედიცინო დაწესებულებების არარსებობის გამო პროექტის ჯანდაცვის მიზნები ფოკუსირებული უნდა იყოს სამედიცნო მხარდაჭერის უნაკლო და ინტეგრირებული სისტემისა და საევაკუაციო მომსახურების გაწევაზე და მიზნები უნდა იყოს შემდეგი:

- პირველად სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს პროექტის სამუშაო გუნდის პერსონალისთვის ობიექტზე და თბილისში.

- სათანადო სამედიცინო პროვაიდერების ქსელის განვითარება და ორგანიზება მეორადი დახმარების გაწევასთან ერთად, სტაციონარული მკურნალობა/სპეციალისტთან გაგზავნა, ინტეგრირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით.

- ადგილზე ჩატარებულ იქნება სასწრაფო სამედიცინო რეაგირება, რეანიმაცია და

სტაბილიზაცია, სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის სკრინინგი.

- ადგილობრივი სამედიცინო მომსახურება - ადგილობრივ კლინიკებს უნდა შეეძლოთ სწრაფი რეაგირება შემთხვევის ადგილზე და გადაუდებელი/ტრავმატოლოგიური მომსახურების გაწევა. ნებისმიერი დაზარალებული შეიძლება გადაყვანილ იქნას განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში შემდგომი მკურნალობის, სტაბილიზაციისა და სამედიცინო ევაკუაციისთვის.

- სამედიცინო ევაკუაციები - იმ პაციენტებისთვის, რომლებიც სერიოზულად ავად არიან ან სერიოზული ტრავმა აქვთ მიღებული, საჭირო იქნება სათანადო დაწესებულებაში სამედიცინო ევაკუაციის ორგანიზება და კოორდინაცია. ადგილობრივი პერსონალისთვის ეს იქნება კომპანიის კლინიკა ან/და შესაფერისი/სასურველი კლინიკა საქართველოში. საერთაშორისო უფლებამოსილი პირებისთვის/ პეროსონალითვის ეს შეიძლება იყოს სამედიცინო ცენტრი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

- საწარმოო ჯანდაცვის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

- სამედიცინო და ჯანდაცვის საკითხებში საკონსულტაციო წვდომა კომპანიის პროექტის სამედიცინო და ჯანდაცვის საკითხებზე რეკომენდაციების, მითითებების მისაღებად და კოორდინაციისთვის, სამედიცინო და გადაუდებელი შემთხვევების მაღალხარისხიანი და დაუყოვნებელი მართვისთვის უშუალოდ შემთხვევის ადგილიდან სათაო ოფისში და პირიქით.

- ფართო სპექტრის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგის პროგრამები -

კომპანიას აქვს რესურსები პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგის პროგრამებით კონტრაქტორის პერსონალის უზრუნველსაყოფად ობიექტებზე და ასევე საკუთარ ობიექტებზე.

საწარმოო ჯანდაცვის მომსახურება

კომპლექსური საწარმოო ჯანდაცვის პროგრამა შემუშავებულ და განხორციელებულ იქნება პროექტისთვის. ეს მოიცავს დასაქმებამდე სამედიცინო შემოწმებებს ობიექტზე და მის მიღმა, პროექტზე სამუშაოდ მოსული მთელი პერსონალის სკრინინგისთვის.

გეგმა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პროცედურებით, კომპანიის მოთხოვნისთანავე:

- დასაქმებისწინა სკრინინგები
- პერიოდული სკრინინგი
- ავადმყოფობის შემდგომი სკრინინგი
- სკრინინგი უცხოეული სპეციალისტების თანამდებობაზე დანიშვნამდე
- რესპირატორული საშუალებების შერჩევა
- მეხანძრეები და საავარიო ბრიგადის წევრები
- ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული შემოწმებები, აუდიტები და კვლევები
- წყლის შემოწმება
- ჯანდაცვის განვითარებისა და განათლების პროგრამები მნიშვნელოვან საკითხებზე (გრიპის პრევენცია, სიცხისა და გაციების პრევენცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, აივ, ჯანმრთელობა და ჰიგიენა, ცოფი, მალარია და ა.შ.)
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება
- პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი
- კომპანიის მოთხოვნისამებრ ტესტირების ჩატარება ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე (დასაქმებისწინა, პერიოდული, ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, სამსახურში დაბრუნებისას, რეაბილიტაციის პერიოდში, 100% უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არაგეგმიური და ა.შ.) "ენმედიცის" თბილისის კლინიკაში და ობიექტებზე არსებულ კლინიკებში.
- იმუნიზაცია /ვაქცინაცია (პროფილაქტიკური და პოსტ-კონტაქტური)
- მოგზაურობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია

თანამშრომლების სკრინინგი უნდა ჩატარდეს ან "ენმედიცის“სამედიცინო დაწესებულებაში თბილისში ან ობიექტებზე არსებულ კლინიკებში, მათ განაწილებამდე. ყველა ანგარიში და შედეგი ეგზავნება პროექტის სამედიცინო მენეჯერს თბილისში განხილვისა და ვარგისიანობის დამოწმებისთვის. მიმდინარე სამედიცინო სკრინინგები ჩატარდება სათანადო სიხშირითა და პოზიციის მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, საკვები მრეწველობის ან საზოგადოებრივი კვების სფეროს მუშაკის სამედიცინო სკრინინგი ყოველ 6 თვეში ჩატარდება. "ენმედიცის“ თბილისის კლინიკაში სკრინინგს ატარებს OGUK-ის რეგისტრირებული ექიმი.

სამუშაო გამოცდილება

კომპანიას მასშტაბური პროექტების მხარდაჭერის ფართო გამოცდილება აქვს.

იგი ამჟამად წარმოადგენს ექსკლუზიურ სამედიცინო პროვაიდერს საქართველოში დასავლეთის მიმართულების მილსადენისა და „ბიპის“ პროექტების საოპერაციო ფაზისთვის.

რატომ უნდა გვენდოთ ჩვენ?

კომპანია ფლობს:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვებს:

- სტაციონარული დაწესებულების ნებართვას (სანებართვო მოწმობა **N000066**)

ნებართვის დანართებს შემდეგ საქმიანობებში:

- ქირურგიული პროფილის მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003206**)
- სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003207**)
- რეანიმაციული მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003208**)
- ოფთალმოლოგიური პროფილის მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003195**)
- რენტგენოლოგიური მომსახურება (სანებართვო მოწმობის დანართი **N003196**)
- ორგანოებისა და ქსოვილების აღება, შენახვა, გადანერგვა (სანებართვო მოწმობის დანართი **N003673)**
- ლაბორატორიული მომსახურება კლინიკური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობის დანართი **N004451)**
- ლაბორატორიული მომსახურება ბიოქიმიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობის დანართი **N004452)**
- ლაბორატორიული მომსახურება იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობის დანართი **N004453)**
- ავტორიზებული აფთიაქის ნებართვას (სანებართვო მოწმობა **N000047;**
- მზა წამლის ფორმების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) გაცემა (სანებართვო მოწმობის დანართი **N00237**)
- პათოლოგიური საქმიანობის ლიცენზიაა (სალიცენზიო მოწმობა **N000032**)
- ციტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა (სალიცენზიო მოწმობის დანართი **N 000049**)
- მოლეკულურ- პათოლოგიური დიაგნოსტიკა (სალიცენზიო მოწმობის დანართი **N000050**)
- ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა (სალიცენზიო მოწმობის დანართი **N000048**)
- დიალიზი (სანებართვო მოწმობის დანართი **N005761**)

გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს ლიცენზიას:

- მაიონებელიგამოსხივების გენერატორისსამედიცინო მიზნით გამოყენება (სალიცენზიო მოწმობა **N000223**)

23 წლიანი არსებობის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ინფრასტრუქტურა პაციენტებსა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უკეთესი ზრუნვისთვის. ყველა სამედიცინო მომსახურების გაერთიანება „ერთი ქოლგის ქვეშ“ უფრო მეტ მოქნილობასა და კონტროლს გვანიჭებს შედეგზე.

კომპანიას მინიჭებული აქვს ევროპული აკრედიტაცია და მიღებული აქვს საერთაშორისო ,,ევროპული ხარისხის ჯილდო.“

კლინიკის JCI აკრედიტაცია განიხილება სამედიცინო მომსახურების ხარისხის დემონსტრირებისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებად. სამედიცინო ცენტრ „ენმედიცი“-ში - აუდიტორთა რამდენიმეკაციანი ჯგუფის მიერ შეფასებული იქნება კლინიკის მიერ წარმოებული საქმიანობის სრული სპექტრი შემდეგი მიმართულებების მიხედვით: პაციენტის უსაფრთხოება, ჯანმრთელობის შეფასებისა და მკურნალობის სქემები, მედიკამენტების მენეჯმენტი, ინფექციების პრევენცია და კონტროლი, ქირურგიული და საანესთეზიო სერვისები, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული სადიაგნოსტიკო სერვისები, საექთნო მოვლა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების უფლებების დაცვა, სამედიცინო ჩანაწერების წარმოება და კომუნიკაცია, სამედიცინო პერსონალის განათლება და კვალიფიკაცია, შენობის ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო ოპერირება, კლინიკური მენეჯმენტის ეფექტურობა.

სამედიცინო ცენტრმა „ენმედიციმ“ წარმატებით გაიარა აუდიტი და მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია. შესაბამისად „ენმედიცი “ წარმოადგენს პირველ კლინიკას საქართველოში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ჰოსპიტალური სერვისების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი საერთაშორისო სტანდარტების კრიტერიუმებს.

ჩვენი წინა გამოცდილების თანახმად, "ენმედიცის“ პერსონალს გავლილი აქვს სათანადო ტრენინგი, პრაქტიკა და სათანადო კვალიფიკაცია გააჩნია. პერსონალი იცნობს და გამოცდილია არსებით სტანდარტებში, გაიდლაინებსა თუ მოთხოვნებში.

ენმედიცის “ მთავარ ექიმს - ბატონ კობა ბურნაძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს კლინიკების დაფუძნებასა და მართვაში, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისა და შრომის ჰიგიენის დაცვის მომსახურების განხორციელებასთან ერთად.

"ენმედიცის“ 23 წლიანი გამოცდილება აქვს სამედიცინო მომსახურების გაწევაში

„ენმედიცის“ შეუძლია დაუყოვნებელი და ეფექტური რეაგირება კონტრაქტორის მომსახურების მოთხოვნებზე მორგებისთვის.

ISOS-თან ჩვენი პარტნიორობის შედეგად ყველა საერთაშორისო ევაკუაცია უნაკლოდ განხორციელდა და გარდა ამისა, ეს პარტნიორობა საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ

კომპანია უცხოელი ექიმით მოთხოვნისამებრ და მსოფლიოს მასშტაბით წვდომის წერტილებით პროფესიული სამედიცინო რჩევისა და კონსულტაციისთვის.

2. კომპანიის მენეჯმენტი

o გენერალური დირექტორი

o ადმინისტრაციული დირექტორი

o ფინასური დირექტორი

o სამედიცინო დირექტორი

o ხარისხის მართვის დირექტორი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

- მართებული პოლიტიკის არჩევა, თანმიმდევრული განხორციელება, შედეგების შეფასება
- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების

განხორციელება

- კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობა
- კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესება და ზედამხედველობა

3. განვლილი პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები

ვალუტა ლარი

მოგება-ზარალი

#	დასახელება	2022	2021
1	სამედიცინო შემოსავლები	11319807	10141804
2	საერთო მოგება	4526557	4252663
3	წმინდა მოგება	264883	658707

ბალანსი

	2021	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები	8397532	5821462	5236436
მიმდინარე აქტივები	6247028	6692401	5334426
სულ აქტივები	14644560	12513863	10570862

გრძელვადიანი ვალდებულებებბი	0	0	0
მიმდინარე ვალდებულებები	4523799	4096462	2532314
კაპიტალი	10120761	8417401	8038548
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	14644560	12513863	10570862

სამომავლო გეგმები

4.1 სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

4,2 სამედიცინო სერვისების დანერგვა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება , პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა .ამ შედეგების მისაღწევად მენეჯმენტი ხელმძღვანელობს სპეციალური გეგმით.

კომპანიის ყველა თანამშრომელი მონაწილეობას ღებულობს მიმდინარე და სისტემური ხასიათის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაოებში. ჩვენი ძალისხმევა ფოკუსირებულია უშუალოდ პაციენტისათვის მომსახურების მიწოდების პროცესზე და ხელს შეუწყობს ოპტიმალური შედეგების დადგომასა და ეფექტური ბიზნეს პრაქტიკის დამკვიდრებას. აღნიშნულის აღსრულება ხორციელდება საექსპერტო შეფასებებით, კლინიკური შედეგების განხილვით, შეუსაბამობათა ანალიზით, გაწეული მუშაობის ანალიზით და ხარისხის გაუმჯობესების სხვა შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

კომპანია ერთგულია მიზნის, უზრუნველყოს კომფორტული და უსაფრთხო

გარემოს შექმნა პაციენტების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის, სამედიცინო/ჯანდაცვითი ნაკლოვანებებისა და შეცდომების იდენტიფიკაციის, შეფასების, კონტროლისა და პრევენციის კომპლექსური პროგრამების მეშვეობით, პროცესებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად მთელ ორგანიზაციაში. აღნიშნული მისიის შესასრულებლად, ჩვენს მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების მიზანია, რომ იყოს:

უსაფრთხო

პაციენტების ტრავმატიზმის და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება, სამედიცინო მომსახურებისას

ეფექტური

მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული სერვისების მიწოდება მათთვის ვინც რეალურ სარგებელ მიიღებს და უსარგებლო სერვისებისაგან თავის შეკავება

პაციენტზე ორიენტირებული

პაციენტის ინდივიდუალური პრეფერენციების, საჭიროებებისა და ფასეულობების შესაბამისი მომსახურების გაწევა და უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა კლინიკური გადაწყვეტილების სათავეში იყოს პაციენტის ღირებულებები

დროული

მოცდის დროისა და პოტენციურად საზიანო დაყოვნებების შემცირება

ხარჯთ-ეფექტური

ფუჭი ხარჯების თავიდან აცილება, მათ შორის აღჭურვილობის, მარაგების, იდეებისა და ენერგიის ჩათვლით

თანასწორი

მიწოდებული მომსახურების ხარისხის ვარიაციის დაუშვებლობა, ისეთი პერსონალური მახასიათებლების მიხედვით როგორიცაა სქესი, ეთნიკურობა, გეოგრაფიული მდებარეობა და სოციალურ-ეკონომიური სტატუსი

გეგმა წარმოადგენს ჩვენი კლინიკის ერთგულების დემონსტრირებას მიწოდებული

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისადმი. მკურნალობისა და მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებისადმი. გეგმაში მოცემულია პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიწოდებული სერვისების ოპტიმიზაციისა და პაციენტების მაღალი კმაყოფილების მიღწევის მიზნები და სტრატეგიები.

თავი I. პრინციპები

ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის განხორციელებისას, კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა • ტოპ მენეჯმენტის, მმართველი სამედიცინო რგოლისა და ყველა თანამშრომლის ერთგულება და ჩართულობა მომსახურების საუკეთესო ხარისხის მისაღწევად

ბ • საქმიანობის ფოკუსირება ხარისხის გრძელვადიან და უწყვეტ განვითარებაზე, რათა გაუმჯობესდეს სისტემები და პროცესები, შემცირდეს რისკები პაციენტებისა და პერსონალისათვის და უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხო გარემო ყველასათვის

გ• სამედიცინო მომსახურების საუკეთესო ხარისხის მიღწევის გეგმა წარმოადგენს ჩვენი მისიის, აღიარებული ფასეულობებისა და დასახული სტრატეგიული მიზნების უტილიზაციას. იგი გულისხმობს სისტემურ მიდგომას შესაძლებლობების რეალიზაციისადმი, რათა მიღწეული იქნეს გაუმჯობესება და გამოსწორდეს შეცდომები, და არა , ვინმე იქნეს დადანაშაულებული.

დ. პაციენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება სამედიცინო მომსახურებისას

მუდმივი სწავლება და წვრთნა ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების სფეროებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კლინიკის მიერ ინიცირებული აქტივობების

ე მხარდაჭერა დროული ტრენინგებით

• პერსონალის საერთო პასუხისმგებლობას მიკუთვნებული ღონისძიებების კოორდინაცია და კომუნიკაცია, რათა პაციენტისთვის გაწეული სერვისების ხარისხის ამაღლების, პაციენტის

ვ უსაფრთხოების, კლიენტთა მომსახურებისა და რესურსების ადექვატური გამოყენების შესაძლებლობების პროაქტიური იდენტიფიკაცია და კვლევა იქნეს უზრუნველყოფილი

ზ• პატივისცემა ყველა თანამშრომლისა და სამედიცინო პერსონალისადმი, მათი ცოდნისა და

წვლილის შეტანისთვის პაციენტის მკურნალობასა და უსაფრთხოებაში.

თ• შეფასება, პროექტის პრიორიტიზაცია და მიზნების ჩამოყალიბება უნდა ეფუძნებოდეს

სათანდო მონაცემებს, ხოლო საჭიროებისას, დაექვემდებაროს სტანდარტიზაციას

თავი II. გეგმის მიზნები

მიზანი 1

• მიღწეული იქნეს ისეთი შედეგები, რომელიც შეესაბამება უმაღლეს ხარისხსა და უსაფრთხოებას, და აკმაყოფილებს ჩვენი კლიენტების გაზრდილ მოლოდინებს

მიზანი 2

• უზრუნველყოფილი იქნეს პროცესების შეფასების, გაუმჯობესებისა და რისკის შემცირების ეფექტიანი და ხარჯთ- ეფეტური მექანიზმების გამოყენება

მიზანი 3

• ხელი შეეწყოს ინტერდისციპლინურ ჯგუფებს, არსებული პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებასა და მყარი უსაფრთხოების მიღწევაში

მიზანი 4

• მხარდაჭერილი იქნეს პროცესები რომლებიც შეესაბამება მარეგულირებელ, სალიცენზო და სააკრედიტაციო მოთხოვნებს.

თავი III. გამოყენების სფერო

სამედიცინო ცენტრი „ენმედიცის“ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს არსებული სისტემების, პროცესებისა და შედეგების მიმდინარე შეფასებას და გაუმჯობესებას, შიდა და გარე ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, იმისათვის, რომ შემცირდეს შეცდომების რაოდენობა და შენარჩუნდეს/გაუმჯებესდეს პაციენტის უსაფრთხოება. გეგმა მოიცავს კლინიკის ყველა დეპარტამენტს, გამონაკლისის გარეშე.

1. დეპარტამენტები/სამსახურები უნდა მონაწილეობდნენ ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც უკავშირდება ხარისხს, რისკის შემცირებას, პაციენტის უსაფრთხოებას, კლიენტის მომსახურებას და რესურსების სათანადო გამოყენებას. ეს მონაწილეობა მოიცავს (თუმცა არ არის შეზღუდული), შემდეგ სფეროებს:

ა) კლინიკური სფერო:

- პაციენტის შეფასება;
- ლაბორატორიული სერვისები;
- რადიოლოგია და გამომსახველობითი სადიაგნოსტიკო სერვისები:
- ქირურგიული პროცედურები;

- ანტიბიოტიკებისა და სხვა მედიკამენტების გამოყენება;
- ანესთეზიისა და სედაციის გამოყენება;
- სისხლისა და სისხლის პროდუქტების გამოყენება;
- სამედიცინო ჩანაწერების ხელმისაწვდომობა, შინაარსი და გამოყენება;
- ინფექციის პრევენცია და კონტროლი, ზედამხედველობა და ანგარიშგება;
- კლინიკური კვლევები.

~ბ) მმართველობითი სფერო:

- პაციენტის მომსახურებისათვის აუცილებელი, რუტინული საჭიროების მასალებისა და მედიკამენტების შესყიდვები;
- წარმოებული საქმიანობის ანგარიშგება კანონმდებლობისა და სარეგულაციო მოთხოვნების მიხედვით:
- რისკის მენეჯმენტი;
- უტილიზაციის მენეჯმენტი;
- პაციენტისა და მისი ოჯახის მოლოდინები და კმაყოფილება;
- თანამშრომელთა მოლოდინები და კმაყოფილება;
- ფინანსური მენეჯმენტი;

გ) JCI – პაციენტის უსაფრთხოების საერთაშორისო მიზნები:

IPSG.1 პაციენტის იდენტიფიკაცია კორექტულად

IPSG.2 კომუნიკაციის ეფექტურობის გაუმჯობესება

IPSG.3 მაღალი რისკის მედიკამენტების უსაფრთხოების გაუმჯობესება

IPSG.4 ქირურგიული ჩარევის ჩატარების უზრუნველყოფა კორექტულ ადგილზე,

კორექტული პროცედურით, კორექტული პაციენტისათვის

IPSG.5 სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების რისკის შემცირება

IPSG.6 პაციენტის დაზიანების რისკის შემცირება წაქცევების შედეგად

2. ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფები

- ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება პროექტის მიზნების

მიხედვით.

– ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პროექტი ან ღონისძიება გულისხმობს ცვლილებას

და/ან გაუმჯობესებას ერთ-ერთ პროცესში, სადაც ორი ან მეტი სერვისის გადაიკვეთება;

– რეკონსტრუქციის სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პროექტი ან ღონისძიება მოიცავს კონსტრუქციისა და დიზაინის ცვლილებისა და/ან გაუმჯობესების მრავალ პროცესს, რომლებიც გავლენას ახდენს სერვისსა და ფუნქციონირებაზე.

– კლინიკური გაიდლაინების სამუშაო ჯგუფების ფორმირება ხდება იმ

შემთხვევებისათვის, როდესაც პროექტი ან ღონისძიება მოიცავს კლინიკური პრაქტიკისა და მომსახურების უწყვეტობის გაუმჯობესებას.

• სამუშაო ჯგუფებისა და მათი შემადგენლობის დამტკიცება ხდება ხარისხის კონტროლის კომიტეტის მიერ.

• სამუშაო ჯგუფის წევრები განისაზღვრება გუნდის ხელმძღვანელის, ფასილიტატორისა

და დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

– გუნდის ხელმძღვანელი – ინიშნება დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ;

– გუნდის წევრები – წარმოადგენენ თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან შესაბამის პროცესებში;

– ფასილიტატორი- საჭიროების შემთხვევაში

თავი IV. პასუხისმგებლობები

ა. „ენმედიცის“-ს კომიტეტები, ხელმძღვანელობა და პერსონალი

1. „ენმედიცის“-ს სამედიცინო კომიტეტს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა

და ენიჭება უფლებამოსილება უზრუნველყოს უსაფრთხო, მაღალი ხარისხის და

ეფექტური მომსახურების მიწოდება, და ასევე, ხელი შეუწყოს ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული, კომპლექსური და ინტეგრირებული გეგმის განხორციელებას მომსახურების საუკეთესო ხარისხის მისაღწევად.

2. „ენმედიცის“-ს ხარისხის კონტროლის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს

საუკეთესო ხარისხის მიღწევის სტრატეგიულ მიმართულებებს, ასევე იღებს ანგარიშებს

და ზედამხედველობას უწევს სისტემის მუშაობის ხარისხსა და რისკის შემცირების ღონისძიებებს.

3. კლინიკის პერსონალი და ლიდერები პასუხისმგებელნი არიან ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებაზე და ყველა პაციენტისთვის ერთნაირი, მაღალი სტანდარტის მომსახურების გაწევაზე.

4. კლინიკის ხელმძღვანელობასთან ერთად, სამედიცინო კომიტეტი უზრუნველყოფს პროგრამულ და ფინანსურ მხარდაჭერას ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების, რისკის შემცირების პრიორიტეტებისა და რეკომენდაციების განხორციელებისათვის.

ბ. კლინიკის ხელმძღვანელობა

1. კლინიკის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს რესურსების გამოყოფას და მხარს უჭერს სისტემების მუშაობას დაგეგმვის, მართვის, კოორდინაციის, მომარაგების, შეფასებისა და უსაფრთხო სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებისთვის, პაციენტებისა და მოსახლეობის ჯანდაცვითი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2. კლინიკის ლიდერები:

ა) ადგენენ მოლოდინებს, განსაზღვრავენ ღონისძიებათა პრიორიტეტიზაციას და მეთვალყურეობას უწევენ მათ განხორციელებას, რათა მიღწეულ იქნას პაციენტის მომსახურებისა და უსაფრთხოების საუკეთესო ხარისხი, ხარისხის კონტროლის კომიტეტისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოფენ ისეთი გარემოს შექმნას, რომ ინდივიდები ყველა დისციპლინიდან და დეპარტამენტიდან ჩართულნი იყვნენ ხარისხის გაუმჯობესების ინტეგრირებულ პროცესში, რომელიც ხასიათდება ეფექტური კომუნიკაციითა და შემოქმედებითი აზროვნებით.

გ) განიხილავენ ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის შემცირების შედეგებს და ითვალისწინებენ სტრატეგიული დაგეგმარებისას;

დ) აყალიბებენ პრიორიტეტებს ორგანიზაციის მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებებისათვის, გაუმჯობესების იმ შესაძლებლობებზე ფოკუსირებით, რომლებსაც ყველაზე დიდ გავლენა აქვს პაციენტის მკურნალობასა და მასზე მზრუნველობაზე, პაციენტის/კლიენტის კმაყოფილებაზე, უსაფრთხოებაზე და რესურსების ეფექტიან და ეფექტურ გამოყენებაზე.

3. კომპანიის ლიდერებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ღონისძიებათა საზომი მიზნობრივი ინდიკატორების საბოლოო შერჩევაზე. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ

კლინიკურ და მმართველობით სფეროში ლიდერები იღებენ გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

- გასაზომი პროცესი, პროცედურა ან შედეგი
- „სამეცნიერო ცოდნის“ ან „მტკიცებულების“ ხელმისაწვდომობა გაზომვის მხარდასაჭერად
- როგორ განხორციელდება გაზომვა
- რამდენად შეესაბამება ინდიკატორები ორგანიზაციის ხარისხის შეფასებისა და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო გეგმას
- როგორი იქნება გაზომვების სიხშირე

გ. სამედიცინო კომიტეტი

1. სამედიცინო კომიტეტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს სრულფასოვანი პროგრამის არსებობა, რომელიც პასუხობს პაციენტების მომსახურებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შესაძლებელი იქნება შეფასდეს განხორციელებული გეგმის ეფექტურობა, და შენარჩნუნდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინისადმი ერთგულება.

2. სამედიცინო კომიტეტი მონაწილეობს:

ა) პაციენტის მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების

პრიორიტეტების დასახვაში;

ბ) ექიმებისა და სხვა პერსონალისათვის ანგარიშვალდებულების დაკისრებაში მიღებული შედეგებისათვის;

გ) კლინიკური პრივილეგიების მქონე პირთა მიერ, პაციენტებისათვის მიწოდებული

სერვისების კლინიკური მონიტორინგისა და შეფასების ჩატარებაში;

დ) პაციენტების მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების ამაღლების სხვადასხვა დისციპლინების პროექტებს შორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობაში;

ე) პაციენტების მომსახურების საუკეთესო ხარისხის მიღწევის გეგმის შემუშავებასა და შეფასებაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემების გათვალისწინებით.

3. სამედიცინო კომიტეტი წელიწადში 10-ჯერ მაინც იკრიბება საკითხების განსახილველად;

4. სამედიცინო კომიტეტი იბარებს და ისმენს ხარისხის კონტროლის კომიტეტის ანგარიშს საუკეთესო შედეგების მიღწევის/ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შესრულებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

დ. ხარისხის კონტროლის კომიტეტი

1. ხარისხის კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან კლინიკის ყველა ძირითადი დეპარტამენტის/სამსახურის ლიდერები, ხოლო კომიტეტის მუშაობას უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი.

2. ხარისხის კონტროლის კომიტეტის წევრთა მონაწილეობა სავალდებულოა დაგეგმილი სხდომების არანაკლებ 70%-ში.

3. ხარისხის კონტროლის კომეტეტი განსაზღვრავს და კოორდინაციას უწევს ხარისხის

შეფასების, კლინიკური რისკების შეფასების/შემცირებისა და ორგანიზაციის მასშტაბით ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს. კომიტეტის ფუნქციები მოიცავს:

- საუკეთესო ხარისხის მიღწევისა და პაციენტების უსაფრთხოების გეგმის დამტკიცება

და ხარისხის გაუმჯობესების/პაციენტების უსაფრთხოების პროგრამების ანგარიშგების

განრიგის განსაზღვრა ყოველწლიურად.

- იმ საპროექტო წინადადებების მიღება, განხილვა და დამტკიცება ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს ორგანიზაციის ინიციატივებს ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.

- კომპლექსურ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების გაძლიერება, რაც გაარღმავებს გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს და მხარს დაუჭერს ხარისხის გაუმჯებესებასთან, რისკების შემცირებასთან და პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ინტეგრირებას. კლინიკის ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობა, კონკრეტული ხელმძღვანელი პირის შესარჩევად, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციულ მხარდაჭერას სამუშაო ჯგუფისათვის.

- პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრა გეგმის აღსრულების პროცესში

- ისეთი სისტემების განვითარების და ხელმისაწვდომობის ხელისშეწყობა, რომლებიც გააიოლებენ ხარისხის გაუმჯობესების, უსაფრთხოების და რისკის შემცირების შესახებ მონაცემების შეგროვებას, მართვასა და ანალიზს.

- მარეგულირებელი და აკრედიტაციის მოთხოვნებისა და მომსახურების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების რეკომენდაციების ურთიერთ შესაბამისობის მეთვალყურეობა.

- კლინიკის ძირითადი პერსონალის განათლების ხელისშეწყობა ხარისხის გაუმჯობესების, რისკის შემცირებისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების საკითხებთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობის შესაბამისი დელეგირებით.

- კლინიკის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის ყოველწლიური მიმოხილვის ჩატარება, სამედიცინო მომსახურების ხარისხის, რისკის შემცირებისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ორგანიზაციის ხარისხის ინიციატივების შეფასების მიზნით.

- ორგანიზაციის ხარისხის ინიციატივების განსაზღვრა მომდევნო წლისათვის.

- კლინიკის ხელმძღვანელობისთვის იმ რესურსების მოცულობის რეკომენდება,

რომლებიც საჭიროა კლინიკისათვის საუკეთესო ხარისხის მიღწევის გეგმის განსახორციელებლად.

- წელიწადში არანაკლებ 8 საკომიტეტო შეხვედრის ორგანიზება, მათ შორის

ანგარიშგებით სამედიცინო კომიტეტისადმი.

- სპეციალური გუნდის/სუბ-კომიტეტის განსაზღვრა, რომელიც მოამზადებს და წარუდგენს კომიტეტს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნული მოიცავს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რომელიც დაკავშირებული იქნება ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებთან, რისკის შემცირების სტრატეგიებთან და პაციენტის უსაფრთხოებასთან.

- კონფიდენციალობის დაცვისა და საექსპერტო შეფასებების ღონისძიებების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- საგანგებო შემთხვევების ანალიზის (Analysis of sentinel events) და/ან გამომწვევი მიზეზების ანალიზის (Root cause analysis) და/ან ჩავარდნების ხასიათისა და შედეგების ანალიზის (Failure Mode Effects Analysis) ანგარიშების წარმოების მეთვალყურეობა და რისკის შემცირების სათანადო სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა.

ე. კლინიკის განყოფილებები/დეპარტამენტები

1. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკების შემცირების შესაძლებლობების მიმდინარე შეფასების წარმოება, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ჩათვლით

2. სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვან ასპექტებთან და/ან ძირითად პროცესებთან დაკავშირებული ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების ღონისძიებების წარმართვა. ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების დადგენილ ღონისძიებებში მონაწილეობა.

3. ხარისხის კონტროლის კომიტეტისათვის ანგარიშების წარდგენა დადგენილი გრაფიკის მიხედვით, მოთხოვნისამებრ.

4. სამედიცინო სერვისების განმსაზღვრელი ჩარჩოს დოკუმენტის წარდგენა, რომელიც მოიცავს ხარისხის გაუმჯობესების შეფასების და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების გეგმის თაობაზე წინადადებებს, თითოეულ სფეროში.

5. შესაძლებლობების მოძიება ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების

ინიციატივებს საპასუხოდ, კოლაბორაციული მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

6. მხარდაჭერის მოპოვება ხარისხის კონტროლის დეპარტამენტისგან, მათ მიერ წარდგენილი

ყველა ხარისხის გაუმჯოებესების, პაციენტის უსაფრთხოების და რისკის შემცირების გეგმებზე, შეფასებებსა და ანგარიშებზე.

7. იდენტიფიცირებული პრობლემის ან შესაძლებლობის სტატუსის შემდგომი მეთვალყურეობა და ანალიზი, გაუმჯობესებისა და პრობლემის გადაჭრის დასადასტურებლად.

8. გამარტივებული კომუნიკაციისა და პაციენტებზე ზრუნვის დეპარტამენტშიდა და დეპარტამენტთაშორისი სერვისების მუდმივი გაუმჯობესების ხელშემწყობი გარემოს შენარჩუნება და განვითარება.

თავი V. ეფექტურობის გაზომვა და შეფასება

1. ეფექტურობის გაზომვა წარმოადგენს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების გეგმის ფარგლებში მიღებული შედეგების რეგულარული შეფასების პროცესს. იგი მოიცავს ისეთი პროცესების, სისტემების და შედეგების იდენტიფიცირებას რომლებიც ინტეგრირებულია სერვისების მიწოდების სისტემასთან, ამ პროცესების, სისტემების და შედეგების ინდიკატორების შერჩევასთან და ამ ინდიკატორებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაანალიზებასთან რეგულარული სიხშირით. უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს ღონისძიებების გატარებას საჭიროების მიხედვით, მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული რეზულტატისა და ეფექტურობის გაზრდის გამოვლენილ შესაძლებლობებზე დაფუძნებით.

2. გაზომვისა და შეფასების მიზანია:

- პროცესების ან შედეგების სტაბილურობის შეფასება, რათა განისაზღვროს არის თუ არა შესაძლებელი არასასურველი ხარისხის ვარიაციისა ან ჩავარდნების გამოსწორება სასურველ დონემდე.

- პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, პროცესების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

- მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შედეგების შეფასება.

- შეფასება იმისა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეფექტურობის გაზრდის მოლოდინებს ახალდანერგილი ან გაუმჯობესებული პროცესები.

3. გაზომვა და შეფასება მოიცავს:

- გასაზომი პროცესის ან შედეგის შერჩევა, პრიორიტეტულობის მიხედვით.

- შერჩეული გასაზომი პროცესის ან შედეგის შესრულების ინდიკატორების განსაზღვრა

და/ან დახვეწა.

- მონაცემების აგრეგაციის უზრუნველყოფა, პროცესის ან შედეგის რაოდენობრივი გაზომვისა და სუმარიზაციისათვის.

- შესრულების შეფასება ამ ინიდიკატორებთან მიმართებაში დაგეგმილი და რეგულარული ინტერვალებით.

- საპასუხო ზომების მიღება, როდესაც ინდიკატორები უჩვენებს, რომ პროცესი არ არის სტაბილური, არ სრულდება მოსალოდნელ დონეზე ან ვერ უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

- ორგანიზაციის ყველა სტრუქტურისათვის ეფექტურობის შეფასების შედეგად მიღებული აღმოჩენების, დასკვნებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი ინფორმირება.

ა. გაზომვის საჭიროების შეფასება

1. ყოველწლიურად, კომპანია ხარისხის კონტროლის კომიტეტის მეშვეობით, განსაზღვრავს პრიორიტეტებს მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, ხარისხის გაუმჯობესების ორგანიზაციული ინიციატივებისა და რისკების შემცირების

პროექტებისათვის და ადგენს იმპლემენტაციის პროცესს. ყოველწლიურად შერჩეული უნდა იქნეს მაღალი რისკის ერთი პროცესი, რისკების პროაქტიური შეფასებისთვის.

2კომპანიის ხელმძღვანელობა, ხარისხის კონტროლის კომიტეტისა და

სამედიცინო კომიტეტის მეშვეობით, ახორციელებს ორგანიზაციის ეფექტურობის ინდიკატორების მონაცემთა მონიტორინგს, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის კოორდინირებით. გარდა ამისა, ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი ადგენს, გამოავლინა

თუ არა მონაცემებმა სასურველი სტატისტიკური ცვლილებები და გადახრები, ან სტატისტიკურად უჩვეულო ტენდენციები და ცდომილებები. უჩვეულო ტენდენციების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია ჩატარდეს გამომწვევი მიზეზების მოკვლევა დადგენილი სქემის მიხედვით და უზრუნველყოფილი იქნეს გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. შესაძლოა, ასევე იქნეს ინიცირებული ღონისძიებები სტატისტიკური გადახრის შუალედის და/ან რაოდენობის გასაუმჯობესებლად. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სფეროები, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, შემუშავდება და ხორციელდება სამოქმედო გეგმა. განხორციელებულ ცვლილებათა წარმატებულობის დასადასტურებლად, საჭიროა განმეორებითი შეფასების ჩატარება. ყოველწლიურად, „ენმედიცის“-ს დეპარტამენტები/სამსახურები განსაზღვრავენ შესაძლებლობებს ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის შემცირებისთვის, ახდენენ მიზნების დასახვას და აყალიბებენ მიდგომებს პაციენტების მომსახურებისა და სერვისების გაუმჯობესებისათვის.

3. ინიციატივების იდენტიფიცირებისას გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი ელემენტები:

- პრობლემური პროცესები/პროცედურები
- ფინანსური შედეგები
- ორგანიზაციული შედეგები
- სენსიტიურობა გამოვლენილი საჭიროებებისადმი
- კავშირი ორგანიზაციის მისიასა და ძირითად სტრატეგიებს შორის

4. კომპანიის მიერ ორგანიზაციულ ან სტრუქტურულ დონეზე განხორციელებული შეფასებისას, არსებული ფუნქციების, პროცესების, ან ახალი პროგრამების დიზაინის მოდიფიკაციის/დიზაინის ცვლილების საჭიროებასთან დაკავშირებით, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი:

– ყველა მომხმარებლის საჭიროებანი და უსაფრთხოება: პაციენტის, პერსონალის,

ვიზიტორების, სამედიცინო პერსონალის და ა.შ.;

– პროექტის შესაბამისობა კომპანიის მისიასთან, ფასეულობებთან და სტრატეგიულ მიზნებთან;

– ძირითად მოთამაშეთა საჭიროებები და მოლოდინები (პაციენტები, პერსონალი და სხვები);

– მოქმედი კლინიკური პრაქტიკის სტანდარტები/მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური გაიდლაინები/ საუკეთესო პრაქტიკა და ცნობილი კრიტერიუმები;

– თავსებადობა რაციონალურ ბიზნეს პრაქტიკასთან;

– პაციენტის უსაფრთხოების და პოტენციური რისკების შესახებ არსებული გარე და შიდა ინფორმაციის ინკორპორირება.

ბ. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

1. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ხორციელდება გარე მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ენმედიცის მიერ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით.

2. შეფასების პროცესი არის სისტემატური, ინტერდისციპლინარული და/ან რამდენიმე დეპარტამენტის მონაწილეობით, საჭიროებისდა მიხედვით.

3. გაზომვის პროცესის დროს შეგროვებული მონაცემები კონვერტირდება ინფორმაციად შეფასების და ანალიზის გზით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ა) სტატისტიკური ინსტრუმენტების და მეთოდების გამოყენება გადახრების შესაფასებლად:

ა.ა) გრაფიკები (პროცესის იდენტიფიკაცია)

ა.ბ) ჩავარდნების ხასიათისა და შედეგების ანალიზი (ბარიერები წარმატების მიღწევაში/კრიტიკული გადახრები);

ბ) ჰისტოგრამები (ვარიაციების გრაფიკული რეზიუმე);

გ) პარეტოს დიაგრამა (საკითხების პრიორიტეტიზაცია)

დ) მოძრაობის სქემა (რეზიუმეს დემონსტრირება და მონაცემთა შედარება)

ე) მონაცემთა აგრეგაცია დროის მიხედვით

ვ) კონტროლის სქემა (გადახრებისა და ტენდენციების იდენტიფიკაცია დროის მიხედვით):

ვ.ა) ზოგადი მიზეზი

ვ.ბ) განსაკუთრებული მიზეზი

ზ) შედარების მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორიენტირად და შესაძლებელია მოიცავდეს:

ზ.ა) საცნობარო მონაცემთა ბაზები

ზ.ბ) მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გაიდლაინები ზ.გ) რელევანტური ლიტერატურა/ საუკეთესო პრაქტიკა

ზ.დ) მიმდინარე შიდა პროცესი/მონაცემები შედეგების შესახებ

გ. ეფექტურობის განმსაზღვრელი ინდიკატორის შერჩევა

ეფექტურობის (ანუ ხარისხის) განმსაზღვრელი ინდიკატორი წარმოადგენს რაოდენობრივ ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა ინფორმაციას კლინიკური პროცესის, სერვისების,

ფუნქციების ან შედეგების შესრულების შესახებ. ეფექტურობის ინდიკატორის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- შესაბამისობა ორგანიზაციის მისიისადმი;
- შესაბამისობა მენეჯმენტის ამოცანებისადმი;
- კლინიკური მნიშვნელობა – პასუხობს თუ არა ის კლინიკურად მნიშვნელოვან პროცესს რომელიც არის:
    - მნიშვნელოვანი
    - პრობლემური
    - მაღალი რისკის

დ. ეფექტურობის განმსაზღვრელი ინდიკატორის მახასიათებლები

1. ინდიკატორის გამოყენებადობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

o სამეცნიერო სარწმუნოობა: კავშირი გასაზომ პროცესს, სისტემას, კლინიკურ შედეგსა და ინდიკატორს შორის

o ვალიდურობა: აფასებს თუ არა ინდიკატორი იმას, რისი შეფასებისთვისაცაა გამიზნული

o რესურსების ხელმისაწვდომობა: ინდიკატორის გამოყენებით მიღებული შედეგის კავშირი,

გაწეულ დანახარჯებთან და არსებულ ადამიანურ რესურსებთან

o მომხმარებლის არჩევანები: რამდენადაა ინდიკატორით გათვალისწინებული სამომხმარებლო ინტერესებისა და უპირატესობის მინიჭების დონე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფების მიხედვით (მაგ: რელიგიური, ეთნიკური, კულტურული).

o მნიშვნელოვნება: არის თუ არა ინიდიკატორის გამოყენებით მიღებული შედეგი ადვილად გასაგები, ზომავს თუ არა ინდიკატორი ისეთ ცვლადს, რომლის კონტროლსაც ისახავს მიზნად პროგრამა და შესაძლებელია თუ არა ამ ცვლადის მნიშვნელობის ცვლილება, ხარისხის გაუმჯობესების რაციონალური ძალისხმევის შედეგად.

2. ეფექტურობის განზომილებებია:

- პროფესიული კომპეტენცია
- ხელმისაწვდომობა
- შედეგიანობა
- პიროვნებათშორისო დამოკიდებულება
- ეფექტურობა
- უწყვეტობა
- უსაფრთხოება
- კომფორტულობა

თავი VI. ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივა

შერჩეული პროცესების ეფექტურობის გაზომვის, შეფასების და ანალიზის შემდეგ, მოგროვილი ინფორმაცია გამოიყენებული უნდა იქნეს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივის განსახორციელებლად. ინიციატივის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღება კლინიკის პრიორიტეტებზე დაფუძნებით. ინიციატივის მიზანია გააუმჯობესოს არსებული სერვისების ეფექტურობა ანუ ხარისხი, ან საფუძველი დაუდოს ახალი სერვისების შექმნას. აღნიშნულისათვის, ”ენმედიცი” გამოიყენებს საყოველთაოდ აღიარებულ მოდელს: Plan-Do-Check-Act (PDCA) - დაგეგმე/განახორციელე/გაანალიზე/იმოქმედე.

• P – Plan - დაგეგმე გაუმჯობესება და მონაცემთა უწყვეტი შეგროვება

• D – Do – განახორციელე გაუმჯობესება და შეაფასე

• C – Check – გაანალიზე შედეგები, რათა შეაფასო გაუმჯობესება

• A – Act – იმოქმედე, რომ შეინარჩუნო მიღწეული და უზრუველყო პროცესის სტაბილურობა

თავი VII. კომუნიკაცია

1. ხარისხის კონტროლის კომიტეტი უზრუნველყოფს ზედამხედველობას და ფუნქციონირებს როგორც დაწესებულებაში ხარისხის შესახებ შეგროვილი მონაცემების ცენტრალური დეპოზიტორიუმი და საინფორმაციო ცენტრი. ხარისხის კონტროლის კომიტეტი თვალყურს ადევნებს მონაცემთა შეგროვების პროცესს, შეისწავლის ტენდენციებს და ახდენს ყველა შესაბამისი ინფორმაციის აგრეგაციას ყველა წყაროდან, რათა მოამზადოს და წარადგინოს ანგარიში ტოპ მენეჯმენტისათვის, სამედიცინო კომიტეტისა და სამედიცინო პერსონალისთვის.

2. ვერტიკალური და ჰორიზონტალური კომუნიკაცია წარმოადგენს ხარისხის/პაციენტის უსაფრთხოების/ რისკის შემცირების პროგრამის აუცილებელ და უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს. ”ენმედიცი”-ს ყველა თანამშრომელს აქვს სათანადო ხელშეწყობა (თანამშრომელთა შეხვედრების, კომიტეტის სხდომების, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ხარისხთან დაკავშირებული ტენდენციების ამსახველი გრაფიკებისა და ოფიცილურ ვებ-გვერდზე განთავსებული მასალის სახით) გაეცნოს და გაიზიაროს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას.

თავი VIII. განათლება

”ენმედიცი”-ს მთელს პერსონალს ეკისრება პასუხისმგებლობა და ენიჭება უფლებამოსილება, მიიღოს მონაწილეობა კლინიკის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესების გეგმაში. აღნიშნულის მისაღწევად, განხორციელდება უკლებლივ ყველა თანამშრომლის განათლება ხარისხის გაუმჯობესების გეგმის თაობაზე სამსახურში მიღებისას, საწყისი ორიენტაციის ეტაპზე, ასევე სავალდებულო ტრენინგების ყოველწლიური გრაფიკის მიხედვით. თანამშრომელთა განათლება მოიცავს, ხარისხის გაუმჯობესების გეგმის აღწერილობას, მიზნებს და თითოეული თანამშრომელის მასში მონაწილეობის შესაძლებლობებს, მათი სამუშაო პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, ასევე, ”ენმედიცი”-ს მიერ გამოყენებული ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიების სწავლებას.

თავი IX. შეფასება

1. ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების გეგმის შესრულების შეფასება უნდა განხორციელდეს ყოველი შესაბამისი კალენდარული წლის ბოლოს. ყოველწლიური

შეფასება სრულდება კლინიკის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის მიერ და ინახება ფაილის სახით (როგორც ელექტრონულად, ასევე ნაბეჭდი), ხარისხის გაუმჯობესების გეგმასთან ერთად.

2. შეფასება აჯამებს კლინიკის ხარისხის გაუმჯობესების გეგმის მიზნებს და ამოცანებს, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, რომლებიც გასული წლის მანძილზე გატარდა, რაც ასევე მოიცავს სამიზნე პროცესს, სისტემებს და შედეგებს, გამოყენებულ ეფექტურობის ინდიკატორებს, გაზომვის შედეგად მიღებულ მაჩვენებლებს, აგრეგირებულ მონაცემებს, შეფასებას და ანალიზის პროცესებს, და მათზე დაფუძნებულ ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივებს. ანუ, მოიცავს:

- წლიურ მიზნებთან/ამოცანებთან მიმართებაში პროგრესის შეჯამება
- თითოეულ მიზანს, თან უნდა დაერთოს მოკლე შემაჯამებელი ტექსტი მიღწეული

პროგრესის შესახებს, მათ შორის ტრენინგების მიზან(ებ)თან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის თაობაზე.

- მოკლე შემაჯამებელი ტექსტი, წლის განმავლობაში გამოყენებულ თითოეულ

ინდიკატორზე მიღებული მაჩვენებლების შესახებ. შეჯამება უნდა მოიცავდეს, როგორც გაზომვის პროცესის შედეგებს, ასევე მიღებული შედეგების საპასუხო დასკვნებსა და გატარებულ ღონისძიებებს. შეჯამებული უნდა იქნეს კლინიკის პროგრესი ხარისხის ინიციატივებთან მიმართებაში. თითოეულ ინიციატივაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მოკლე აღწერილობა გატარებული ღონისძიებების შესახებ, ინდიკატორების მიხედვით მიღებული შედეგების ჩათვლით. ასევე, ინფორმაცია შემდგომი ნაბიჯების შესახებ, მიღწეული შედეგების შენარჩუნების ღონისძიებები, სადაც მოცემული იქნება რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესების პროცესთან, გასატარებელი ღონისძიებების შედეგებთან და სისტემებთან დაკავშირებით მომავალი წლისათვის.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის თანმიმდევრული განხორციელება გამოიწვევს კმაყოფილი პაციენტის რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდას, რაც, ვიმედოვნებთ, დადებითად აისახება კლინიკის რეპუტაციაზე და შესაბამისად ფინანსურ მაჩვენებლებზე.

4,2 სამედიცინო სერვისების დანერგვა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით

კომანიამ უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების შესაძენად და მატერიალური ბაზის გასაფართოვებლად 2022 წლის განმავლობაში განახორციელა 1 595 943 ლარის ინვეტიცია. შვილობილი კომპანია შპს ეიბისი-ში, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს სამედიცინო კლინიკებისათვის პროგრამული უზრუნველყოფა 2022 წელს არ ამოქმედებულა შეაბამისად აქტივობაც არ განუხორციელებია.

2022 წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა ახალ პროექტზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ახალი შენობის აშენებას კლინიკისათვის. ასევე დაიგეგმა ახალი ფილიალის გახსნაც თბილისში დიღმის მასივში.

5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას ამ ეტაპზე აქვს 3 ფილიალი – ბათუმის ენმედიცი და ვაკის (თბილისი) ენმედიცი.

სურათები ბათუმის ფილიალის



სურათები ვაკის ფილიალის



დიღმის ფილიალი



დიდი დიღმის ფილიალი



6. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, ფულადი ნაკადების, ფინანსური რისკების განსაზღვრა და მართვა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება მასზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

გენერალური დირექტორი

ფინასური დირექტორი

ხარისხის მართვის დირექტორი